ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 მარტი **პარასკევი** 2013
№049 (13 965) ფასი 80 თეთრი

# ეს უკვე რეკორდია

## 11 საკონტროლო გასროლა ევრობასკეტის წინ

### ბრაუნმა არაო. ფედერაცია პულენის შემცვლელს ეძებს



## სისხლიანი გამარჯვება



ვიქტორ სანიკიძე (№13) და ბობი ბრაუნი „ფენერბაჰჩესთან" მატჩის შემდეგ

ევროლიგაზე F ჯგუფში მეშვიდე მატჩი მოიგო **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ" - „ფენერბაჰჩეს" 87:69 სძლია.

ვიქტორი თამაშში მეორე პერიოდიდან აქტიურად ჩაერთო, 8 წუთში 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და ამდენივე ჩაჭრა მოაგროვა, თუმცა მეოთხედის ბოლოს ფარქვეშ ბრძოლისას თავი გაუტყდა და მოედანი დასისხლიანებულმა დატოვა. მეორე ტაიმში აღარ უთამაშია.

**გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა" სტუმრად „ბეშიქთაშს" აჯობა - 79:60. ქართველმა ცენტრმა 8 წუთში თითო ქულა-მოხსნა-ჩაჭრა-დაფარება გაიფორმა.

ვაჟა სიმონიშვილი

## დღეს იტალიაში მთავარი მატჩია



# ნაპოლი VS იუვენტუსი



# SUPERლადო

### პოლონელებმა დვალიშვილი სპაიდერმენს შეადარეს

2

# კრიზისი თუ ეპოქის დასასრული?



თვისუფალი დარტყმა

რუბრიკის პრემიერა 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ



# ზურაბ მენთეშაშვილი: საკუთარ თავს შეღავათი არ უნდა გაუწიო

**რუსთავის „მეტალურგმა“ 33 წლის ზურაბ მენთეშაშვილი რომ დაიმატა, გუშინდელ „ლელოშიც“ გაუწყეთ.**

**მენთეშაშვილი მრავალმხრივი ნახევარმცველია, ჩაშლაც ეხერხება და ბურთის შემაგრებაც. კარიერის უმეტესი წლები უცხოეთში გაატარა, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელიც იყო, მოკლედ, ბევრისმნახველი ფეხბურთელია, ასეთები კი განსაკუთრებულად ფასობენ.**

**გამოცდილება ფეხბურთშიც ძალიან ბევრს ნიშნავს, გამოცდილი მოთამაშე სხვაზე უკეთ კითხულობს თამაშს, კონკრეტულ ეპიზოდს, სიტუაციას...**

**მენთეშაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

**- რუსთავის „მეტალურგში“ მისვლამდე „ზესტაფონის“ ფეხბურთელი იყავი. მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი დასრულებული არ იყო, „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს შორის უთანხმოება რომ მოხდა. კლუბმა და ფეხბურთელებმა მოგვიანებით კომპრომისი გამონახეს, თუმცა ზურაბ მენთეშაშვილს „ზესტაფონის“ დატოვებამ მოუწია, რატომ?**

- ეს უკვე წარსულია და აღარ მინდა, ისევ შევეხო ამ თემას.

**- „მეტალურგში“ როგორ აღმოჩნდი, ვინ იყო ამ ტრანსფერის ინიციატორი?**

- შემოთავაზება კლუბიდან წამოვიდა, „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი ყიფიანი დამიკავშირდა და მეც მყისვე დავთანხმდი.

**- არცთუ მცირე პაუზა გამოგივიდა, სპორტულ ფორმას როგორ ინარჩუნებდი? ახლა როგორ კონდიციაში ხარ?**

- ნელ-ნელა შევდივარ ოპტიმალურ ფორმაში. ფიზიკურად ცუდად ნამდვილად არ ვარ მომზადებული, რადგან არ გავჩერებულვარ, ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. თუმცა 23 დეკემბრის აქეთ არ მითამაშია, შეკრებაც არ გამივლია და რა თქმა უნდა, ეს გავლენას ახდენს ფეხბურთელის მზადყოფნაზე.

**- 2 მარტს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში „მეტალურგი“ ბათუმის „დინამოს“ უმასპინძლებს - რამდენად არის შესაძლებელი, რომ ამ შეხვედრაში ითამაშო?**

- არ ვიცი, ეს ხომ მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვნახოთ, შესაძლოა ვითამაშო...

**- ბევრი სეზონი გითამაშია საზღვარგარეთ - ლატვია, რუსეთი, ისრაელი... როგორ ფიქრობ, მწვრთნელ-ფეხბურთელების ანაზღაურების გარდა კიდევ რითი ჩამორჩებით სხვა ქვეყნებს, რა არის ჩვენი მთავარი პრობლემა?**

- საქართველოში სათანადო ინფრასტრუქტურა არ არის, ეს არის ჩვენი უმთავრესი პრობლემა. ამ საკითხის მოგვარებას საქართველოში კაციშვილი არ აქცევს ყურადღებას, ცხადია, ფინანსური მხარეც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**- საკუთარ თავს როგორ აფასებ, უწინდელივით გაქვს იმის ჯანი, რომ დიდად დაიტვირთო მოედანზე თუ უფრო კლასის, გამოცდილების ხარჯზე თამაშობ?**

- დატვირთვების მხრივ პრობლემა ნამდვილად არ მაქვს, მე კი არა, 38 წლის ხალხი თამაშობს ფეხბურთს. არ არის ისე, რომ მხოლოდ კლასის, გამოცდილების ხარჯზე ვითამაშო. არავის მოტყუებას არ ვაპირებ და მათ შორის არც საკუთარი თავის. როცა შეატყობ, რომ დატვირთვებს ვერ უძლებ, ფეხბურთელობას თავი უნდა დაანებო. ერთი სიტყვით, საკუთარ თავს შეღავათი არ უნდა გაუწიო.

**- გასაგებია, თუმცა არიან ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც მოედანზე სხვებზე ნაკლებს დარბიან და ფაქტობრივად მოთამაშე-მწვრთნელები არიან, თანაგუნდელებს კარნახობენ, სასარგებლო რჩევებს აძლევენ...**

- ეგ თავისთავად ხდება, გამოცდილი ფეხბურთელი ნებისმიერი გუნდისთვის საჭიროა, გამოცდილი ფეხბურთელების გარეშე ახალგაზრდებს წინსვლა ვერ ექნებათ. ხანდახან ისეც ხდება, რომ მოედანზე ახალგაზრდა ფეხბურთელი კარნახობს მასზე ასაკოვანს და ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, თანაგუნდელები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ, მთავარია, რომ ფეხბურთი გესმოდეს.

**- ფეხბურთი ყველას თავისებურად ესმის. როგორ ფიქრობ, ბოლო ორ წელიწადში რომელი გუნდი თამაშობდა საუკეთესო ფეხბურთს საქართველოს ჩემპიონატში?**

- „ზესტაფონი“, ეს გუნდი კლასიან, ტექნიკურ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა.

**- „მეტალურგის“ ახალი სახე კი ალბათ მალე გამოჩნდება. გუნდი ქვედა ექვსეულშია და თუ ევროსარბიელზე გასვლას აპირებს, ეს თასის გათამაშებიდან უნდა მოახერხოს. მერვედფინალის პირველ შეხვედრაში „მეტალურგი“ ბათუმის „დინამოსთან“ 1:2 დამარცხდა...**

- დიდია იმის შანსი, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავიდეთ, ამისთვის 1:0-იც გვყოფნის, უფრო მოწინააღმდეგე უნდა ფრთხილობდეს.

**- ეროვნულ ნაკრებში აღარ გიწვევენ, ამას უფრო ასაკს დააბრალებდი?**

- ყველა მწვრთნელს თავისი აზრი აქვს, ვფიქრობ, არ ვჯდები იმ სტანდარტებში, რაზეც თემურ ქეცბაია აკეთებს აქცენტს, ალბათ დიდ როლს ასრულებს ისიც, რომ 30 წელს ვარ გადაცილებული...

**დავით თავართქილაძე**

● გამოხმაურება

### მერაბ თევზაძის პასუხი ქეცბაიას

# მე, ფეხბურთელი ნაფტალინიდან, შეგახსენებთ...



წინა პლანზე: თემურ ქეცბაია, მეორე რიგში: მამუკა ფანცულაია, მერაბ თევზაძე, ზაურ ხაპოვი

"ლელოს" "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის'' ერთ-ერთი დამფუძნებელი **მერაბ თევზაძე** დაუკავშირდა. ვეტერანი ფეხბურთელი აღშფოთებულია 22 თებერვალს ტელეკომპანია "მზეზე'' საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **თემურ ქეცბაიას** განცხადებებით.

*"ქეცბაია გამოეხმაურა "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" განცხადებას ჩვენს ფეხბურთში შექმნილ სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ყველას შეიძლება გააჩნდეს საკუთარი აზრი და პოზიცია, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად მინდა ვთქვა: პოლემიკა და სხვადასხვა პოზიციაზე ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთს შეურაცხყოფა მივაყენოთ. ბატონმა თემურმა კი იმ დღეს ჩვენზე თქვა: არ ვიცი, სად უთამაშიათ და, საერთოდ, ვინ არიან ეს "ნაფტალინიდან ამოღებულებიო".*

*მართალი გითხრათ, მისმა სიტყვებმა და საუბრის აგრესიულმა ტონმა "ქომაგთა ლიგის'' წევრების აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, მისი აგრესიის ახსნა შესაძლებელია - თემურ ქეცბაია იცავდა ბატონ დომენტი სიჭინავას, კაცს, რომელიც ფაქტობრივად, მისი დამსაქმებელია, თანაც, არცთუ ისე ცუდი პირობებით. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვინ ვართ და რომელი ნაფტალინიდან ამოგვიღეს, მინდა გითხრათ შემდეგი: ბატონო თემურ, თქვენ იმ ასაკში არ ბრძანდებით, რომ მეხსიერებამ გიღალატოთ, მაგრამ, თუ მაინც გულმავიწყობა შეგეპარათ, მე, მერაბ თევზაძემ, სპორტის ოსტატმა, მინდა მოგაწოდოთ ერთი სურათი, რომელზეც თქვენ, მე, მამუკა ფანცულაია და ზაურ ხაპოვი ერთად ვართ აღბეჭდილი. შეგახსენებთ, რომ 1989 წელს (ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობამდე ერთი წლით ადრე) თბილისის "დინამოს'' შემადგენლობაში ერთად ვიყავით "გერმანულ ნაფტალინში'' შეკრებაზე"* - ამბობს მერაბ თევზაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი




# დვალიშვილი სპაიდერმენს შეადარეს

### ლეგიასთან ადაპტაცია არ გამჭირვებია

არახალია: **ლადო დვალიშვილმა** ვარშავას „ლეგიაში“ თამაში ისე დაიწყო, საუკეთესო სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდა! ქართველმა ფორვარდმა ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ჩატარებულ პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში გოლი გაიტანა და საგოლე გადაცემა მიითვალა: პოლონეთის თასზე „ლეგიამ“ „ოლიმპიას“ 4:1 მოუგო. დვალიშვილმა კი თავი 90-ე წუთზე გამოიჩინა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ვარშავულ კლუბში პირველი შეხვედრა ექსტრაკლასაში 23 თებერვალს "კორონასთან" ჩაატარა, როცა მოედანზე მხოლოდ 83-ე წუთზე გამოჩნდა.

მანამდე ორ საკონტროლო შეხვედრაში სამი გოლი შეაგდო: "რაკოვთან" (3:1) დუბლი მიითვალა, ხოლო მეორე ლიგის "მოტორის" კარი ერთხელ აილო (2:1).

საინტერესოა, რომ "ლეგიას" მთავარმა მწვრთნელმა **იან ურბანმა** გუნდი 4-3-3 სისტემით ათამაშა, დვალიშვილი კი, არა ცენტრალურ თავდამსხმელად, არამედ მარჯვენა შემტევად დააყენა - ცენტრში "ლეგიას" კაპიტანი **მარეკ საგანოვსკი** იყო. მან ანგარიში სწორედ ქართველის გადაცემით გაათანაბრა - ლადო საჯარიმოში მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და იდეალური გადაცემით მეკარესთან ერთი-ერთზე დატოვა - 1:1.

ვინც ამ შეხვედრის ფრაგმენტები იხილა, დაგვეთანხმება, რომ ქართველი "ლეგიაში" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო: 4-ჯერ სცადა "ოლიმპიას" კარის აღება, გაუთავებლად მოძრაობდა, ხშირად, საგანოვსკისთან ერთად ცენტრიდან უტევდა, ბოლო წუთზე კი ორი მცველი მოძრაობაზე დაიჭირა, ეფექტურად ჩამოიცილა და შემოტრიალებისას ბურთი დაუცველ კუთხეში ბილიარდისტის სიზუსტით გაისროლა - გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა.

ვისაც მეხსიერება არ ღალატობს, ემახსოვრება, რომ დვალიშვილისთვის ახალ კლუბში თავის გამოჩენა უჩვეულო ამბავი სულაც არ არის. სადაც კი მივიდა, ყველა კლუბში ძალზე ეფექტურად და შედეგიანად იწყებდა: ასე იყო რიგის "სკონტოში", ჰაიფას "მაკაბიში", ვარშავის "პოლონიაში". ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ახალ კლუბში ადაპტაციის პრობლემა არ აქვს.

*"გუნდშიც ძალიან კარგად მიმიღეს და არც ადაპტაცია გამჭირვებია. ისევ პოლონეთში, ისევ ვარშავის კლუბში ვთამაშობ, გარემო ნაცნობია და ეტყობა, ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინა"* – გვითხრა დვალიშვილმა, როდესაც ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ.

ერთი სახალისო დეტალიც: პოლონურ ფორუმებსა და "ფეისბუკზე" "ლეგიას" გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სურათი, რომელიც დღეს ამ მასალას ახლავს – დვალიშვილი "სპაიდერმენის" ფორმაში შემოსეს, რადგან ყოველთვის მოედნის იმ წერტილში ჩნდება, სადაც გუნდს უჭირს თუ სჭირდება.

დანარჩენზე კომენტარი ზედმეტია – აშკარაა, რომ ლადო პოლონეთში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი

# უეფაამ ოთხთა თასის კენჭისყრა დანიშნა



თბილისში გასამართი ფუტსალის ოთხთა ფინალის კენჭისყრის თარიღი უკვე ცნობილია. ამის შესახებ, უეფას ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. კენჭისყრა თბილისში, 27 მარტს, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართება. ღონისძიება თბილისის დროით საღამოს 19:00 საათზე დაიწყება.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ცერემონიის საპატიო ელჩები და ღონისძიების წამყვანები **შოთა და არჩილ არველაძეები** იქნებიან.

კენჭისყრას დაესწრებიან უეფასა და ოთხთა ფინალში მონაწილე გუნდების - „ბარსელონას“, „ქაირატისა“ და მოსკოვის „დინამოს“ წარმომადგენლები.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# ნიკა კაჭარავა რუბინის 72-ე ნომერია


ნიკა კაჭარავა

**ნიკა კაჭარავა** ყაზანის "რუბინის" დუბლშემადგენლობის ფეხბურთელი გახდა: 18 წლის ტანმაღალი თავდამსხმელი (194 სმ) 27 თებერვალს გუნდის განაცხადში შეიყვანეს და 72-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

"დინამოს" ყოფილი ფეხბურთელისა და ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **კახა კაჭარავას** ვაჟის ტრანსფერზე რუსული კლუბის ვებგვერდზე მითითებულია, რომ მისი ბოლო კლუბი თბილისის "დინამო" იყო. თუმცა ნიკა დიდი ხანია, რაც თბილისელთა შემადგენლობაში აღარ ვარჯიშობს - ის გაზაფხულამდე თბილისის "დინამო 2"-ში მართლაც ირიცხებოდა, მაგრამ შარშან რამდენიმე თვე შვეიცარიაში იმყოფებოდა; თავიდან ჩელენჯლიგის "კიასოში" ვარჯიშობდა. მაგრამ სათამაშო პრაქტიკის მისაღებად სამოყვარულო "ვანდიშში" გაანათხოვრეს. ეგაა, სამოყვარულო გუნდის უცხოელ მოთამაშეს 3 თვეზე მეტხანს გაჩერების უფლება არ აქვთ და ზაფხულში იძულებული გახდა, საქართველოში ჩამოსულიყო. შვეიცარიაში დაბრუნდების იმედი რომ გადაეწურა, პირველი ლიგის "გაგრაში" ჩაირიცხა.

ნიკა კაჭარავა სა;ქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრია და ხორვატიაში გამართულ ელიტრაუნდის შესარჩევ ეტაპზე სამივე მატჩი ითამაშა ხორვატიის, აზერბაიჯანისა და ისლანდიის ნაკრებებთან. ამ ბოლო შეხვედრაში **ბაჩანა არაბულს** საგოლე გადაცემა გაუკეთა.

სხვათა შორის, ნიკა თურქეთში "რუბინის" ახალგაზრდული გუნდის პირველი შეკრების დასრულებამდე ოთხი დღით ადრე ჩავიდა. ამის შემდეგ ორიოდე დღე ინდივიდუალურად ემზადებოდა და ყაზანელებმა მასზე დაკვირვების გაგრძელება მეორე შეკრებაზე გადაწყვიტეს.

შედეგად, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი დაიტოვა. შევიტყვეთ, რომ ნიკამ კონტრაქტი ნახევარი წლით გააფორმა, ზაფხულში კი მხარეები ხელახლა დაილაპარაკებენ.

ქართველი 19-წლამდელები მალე ბელგიაში ელიტრაუნდის შეხვედრებს გამართავენ და ეს ამბავი ამიტომაც გვახარებს: ინგლისთან, ბელგიასა და შოტლანდიასთან შეხვედრამდე რაც მეტი კარგად მომზადებული მოთამაშე გვეყოლება, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის მით მეტი რეალური შანსი გაგვიჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

საავარაუდო ტრანსფერი

# დვალი და სკონტო: ლიცენზირების მოლოდინი

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრების მცველი **ლაშა დვალი** რიგის "სკონტოში" რომ ჩაირიცხა, ეს "ლელოს" მკითხველმა უკვე იცის. ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი ფეხბურთელით ინგლისის პრემიერლიგის „რედინგი" დაინტერესდა და სათამაშო პრაქტიკის მისაღებად რიგის „სკონტოში" გაუშვეს.

დვალი იმედოვნებს, რომ ინგლისში თამაშის უფლების მისაღებად, გარკვეული პერიოდი ლატვიაში ითამაშებს, იცხოვრებს და ევროკავშირის ამ წევრი ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს, რაც "რედინგში" გადასვლას გაუადვილებს – ეს ნაბიჯიც ინგლისელებთან შეათანხმა.

„ლელო" მისი საკითხით კიდევ ერთხელ დაინტერესდა, რადგან ახალგაზრდა ქართველი მცველი ლატვიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს შეუერთდა, მაგრამ საერთაშორისო ცნობარებს ჯერ დვალი კლუბის წევრად არ ჩაუწერიათ.


ლაშა დვალი

რიგის „სკონტომ" შეკრება თებერვალში თურქეთში მოაწყო და ლაშაც გუნდს გაჰყვა, მაგრამ ქართველ მცველს ჯერ ლატვიურ კლუბთან კონტრაქტი არ გაუფორმებია. საქმე ისაა, რომ "სკონტოს" ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ამის გამო, ლიცენზირებას ვერ გადის. შესაბამისად, დღემდე ლატვიის ფედერაცია კლუბს ვერც ლიცენზირების სერტიფიკატს აძლევს და ვერც ტრანსფერების განხორციელების უფლებას.

მაგრამ რიგელები ფინანსური პრობლემების მოგვარებას ჩემპიონატის დაწყებამდე იმედოვნებენ და წესითა და რიგით, დვალი გუნდის წევრი მალე ოფიციალურად გახდება.

საინტერესო ამბავია: ლატვიის ფეხბურთის ფედერაციას სწორედ "სკონტოს" დამფუძნებელი **გუნტის ინდრიქსონი** პრეზიდენტობს. მაგრამ მოწესრიგებულმა ბალტიისპირელებმა სისტემა ისეააწყვეს და ლიცენზირების ისეთი მკაცრი წესები დაამკვიდრეს, რომ ინდრიქსონი თავისიანებს ვერ ეხმარება. ეს ისე, ზოგიერთის საყურადღებოდ.

შეგახსენებთ, რომ "სკონტოს" მთავარი მწვრთნელი **თამაზ პერტია** გახლავთ, რომელმაც გუნდში კიდევ 2 ქართველი თავდამსხმელი მიიწვია: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატი, 18 წლის **გიორგი გიორგაძე** და 19 წლის **ლევანი ჭაჭიაშვილი**. ეს უკანასკნელი, ერთი ხანობა, ტაშკენტის "ფახთაქორის" დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა. მათ ტრანსფერებსაც ლიცენზირების პრობლემა აბრკოლებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ნიქაბაძე დაბრუნდა, ჩანგელია ეკრანასშია

**მცირე** ხნის წინ ვწერდით ლიტვის A ლიგის გარგჟდაის "ბანგაში" რამდენიმე ქართველის ჩარიცხვის შესახებ. ორიოდე დღეში კიდევ ბევრი რამ შეიცვალა და ახლა, ფაქტობრივად, ეს გუნდი ქართველების ნავსაყუდელს დაემსგავსა.

"ბანგას" მთავარი მწვრთნელი ლიტვის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ვაიდას ჟუტაუტასია**, რომელმაც ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე რამდენიმე ქართველი გასინჯა და უმრავლესობა დატოვა: **თამაზ ჩარგეიშვილის, გიორგი ქავთარაშვილისა** და **ირაკლი ლერკენაშვილის** შემდეგ მიიყვანეს 1993 წელს დაბადებული ქართველი მცველი **გიორგი გიორგაძე** და **ბექა კობიაშვილი**.

"ბანგადან" წასვლა სურდა **გიორგი ნიქაბაძესაც**, მაგრამ რუსეთის პირველი ლიგის კლუბებში, "ხიმკისა" და ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასში" არ დაიტოვეს და 22 წლის ფეხბურთელი ისევ ლიტვურ კლუბს დაუბრუნდა. ცენტრალური მცველის **ნიკა მგელაძის** ამბავი ცნობილია, ის ცხინვალის "სპარტაკში" გადავიდა.

"ბანგაში" ისინჯებოდა "ზუგდიდის" და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **მურთაზ ჩანგელია**, რომელიც ამჟამად მეორე ლიტვურ კლუბში, "ეკრანასშია".

გუშინ "ბანგა" პოლონეთის პირველი ლიგის გდინიის "არკას" საკონტროლო შეხვედრაში დაუპირისპირდა და 3:1 გაიმარჯვა. ძირითადში დაიწყო თამაში ლერკენაშვილმა, რომელმაც ისევ დუბლი შეასრულა. არ უთამაშია ჩარგეიშვილს, რომელიც კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დაშავდა და მკურნალობს.

დაბოლოს: "ბანგას" გულშემატკივრებმა ფორუმებზე გავრცელეს ინფორმაცია, თითქოს, გუნდის შესყიდვით უცნობი ქართველი ბიზნესმენი დაინტერესდა. თუმცა, გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ქართველების სიმრავლის გამო გავრცელებული ჭორია.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ


ზვიად ჯელაძე

**საქართველოს** თასის პირველი მერვედფინალური შეხვედრებიდან ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური შედეგი ქუთაისში დაფიქსირდა, სადაც პირველლიგელმა "გაგრამ" "ტორპედოსთან" 1:1-ს მიაღწია და ამით მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსიც გაუჩნდა.

ხვალ "გაგრა" "ტორპედოს" საპასუხო მატჩში "მიხეილ მესხზე" უმასპინძლებს. ამ მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინ "ლელოს" რესპონდენტი გუნდის მთავარი მწვრთნელი ზვიად ჯელაძეა, რომელსაც როგორც ქუთაისელებთან განვლილი და მოსალოდნელი შეხვედრების შესახებ, ასევე "გაგრასთან" დაკავშირებულ სხვა საინტერესო თემებზე ვესაუბრეთ.

# ზვიად ჯელაძე: ქუთაისურმა შედეგმა ფავორიტად არ გვაქცია

**- უპირველესად, ქუთაისში გამართული მატჩი შეაფასეთ.**

- გვქონდა დრო იმისთვის, რომ მეტოქე სათანადოდ შეგვესწავლა, ამასთანავე, "ტორპედოსთან" წინა სეზონებში ნათამაშები შეხვედრებიც გავაანალიზეთ და ვფიქრობ, სწორი დასკვნები გავაკეთეთ. პირველ ტაიმში მეტოქის უპირატესობა აშკარა იყო, "გაგრას" ფეხბურთელებს კი ნერვიულობა ეტყობოდათ. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ თამაშის ხარისხი მკვეთრად გავაუმჯობესეთ და ანგარიშიც გავათანაბრეთ. მთლიანობაში, საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთი იყო.

**- მატჩის ბოლოს "გაგრას" გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლო...**

- დიახ, ჯონ ჯერემიას დარტყმაზე "ტორპედოს" მეკარე ომარ მიგინეიშვილმა სასწაულებრივი რეაქცია გამოამჟღავნა. იგი ჩვენს ჩემპიონატში აშკარად გამორჩეული გოლკიპერია და ამ მატჩში თავისი მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

**- სტუმრად მიღწეული დადებითი შედეგი თქვენს ფეხბურთელებს, ალბათ, უფრო დიდ ფსიქოლოგიურ წნეხში აქცევს.**

- ასეა, მაგრამ ვფიქრობ, ამ დაძაბულობას ბიჭები გაუძლებენ. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სტუმრად მიღწეულმა 1:1-მა წყვილის ფავორიტად გვაქცია. მთავარი ბრძოლა თბილისში გაიმართება და ყველაფერი აქ გადაწყდება. აქ კიდევ უფრო მძიმე დაპირისპირება გველის, თუმცა იმედიანად ვართ განწყობილი და ვნახოთ, თავის შანსს უკეთ რომელი გუნდი გამოიყენებს.

**- ორი წლის წინ "გაგრამ" საქართველოს თასი მოიპოვა და ფინალში სწორედ "ტორპედოს" სძლია. მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელის, უკრაინელი ანატოლი პისკოვეცის თანაშემწე იყავით. გაქვთ იმის იმედი, რომ ტიტულისთვის წელსაც იბრძოლებთ?**

- სანამ შანსი გვაქვს, მის გამოყენებას მაქსიმალურად ვეცდებით. ჯერ მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად გველის ბრძოლა და თუ ეს ეტაპი გადავლახეთ, შემდეგ უკვე მორიგი ბარიერის დაძლევაზე ვიფიქრებთ.

**- რა სხვაობასა და მსგავსებას ხედავთ ახლანდელ და ორი წლის წინანდელ "გაგრას" შორის?**

- კლუბის კონცეფცია და განვითარების გზა უცვლელია, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა მწვრთნელს თავისი გემოვნება აქვს. მაშინდელი შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ შემოგვრჩა, თუმცა ამჟამინდელი შემადგენლობა კიდევ უფრო ახალგაზრულია.

**- ნიგერიელი ლეგიონერების, ჯონ ჯერემიასა და უმარ მაგაჯის სათამაშო ფორმას როგორ შეაფასებთ?**

- ჯერემია კარგ ფორმაშია და გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგაჯიმ კი მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ თამაში ცოტა ხნის წინ განაახლა და ჯერ ოპტიმალურ კონდიციებში არ არის, თუმცა მისი იმედიც არანაკლებ გვაქვს.

**- "გაგრა" ამ ზამთარში უცხოურ შეკრებაზე არ წასულა. ეს კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით ხომ არ არის გამოწვეული?**

- არა, ამ კუთხით ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე უცხოური შეკრება პრიორიტეტული არ იყო. საბედნიეროდ, ამინდებმა ხელი შეგვიწყო და მუხრანში სეზონის მეორე ნახევრისთვის სათანადოდ მოვემზადეთ.

**- უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შანსებს როგორ აფასებთ?**

- ამჟამად ჩვენი სატურნირო მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, მაგრამ პირველი ლიგის დასრულებამდე ბევრი მატჩია დარჩენილი და სიტუაციის საჩვენოდ შემობრუნებას ვეცდებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი


ავთანდილ ენდელაძე


კახაბერ მეშველიანი

# ორი კონტრაქტი

"ზესტაფონმა" კიდევ ერთ ახალ ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი, მეორეს კი ხელშეკრულება გაუხანგრძლივა.

ფეროელთა ახალწვეულია 18 წლის ნახევარმცველი **ავთანდილ ენდელაძე**, რომელსაც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში უთამაშია, "ზესტაფონამდე" კი "ზუგდიდის" ღირსებას იცავდა. მასთან კლუბმა სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ენდელაძე "ზესტაფონში" 26-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. ავთო ცნობილი ქართველი გოლეადორის, **ზვიად ენდელაძის** ვაჟია, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა ზესტაფონის "მარგვეთის" ღირსებას.

20 წლის მეკარემ, **კახაბერ მეშველიანმა** "ზესტაფონთან" კონტრაქტი 2018 წლამდე გაახანგრძლივა. იგი ფეროელთა წევრი უკვე რამდენიმე სეზონია, გუნდიდან **ზურაბ მამალაძის** წასვლის შემდეგ კი უკვე მეორე მეკარის სტატუსი აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი

# საფეხბურთო გაზაფხული

საქართველოში საფეხბურთო სეზონი ნელ-ნელა „ხურდება": წინა პარასკევს სუპერთასის მატჩი გაიმართა, ამ კვირაში თასის მეოთხედფინალისტები გამოვლინდებიან (პირველი მერვედფინალური შეხვედრები სამშაბათს ჩატარდა. საპასუხო — შაბათს, 2 მარტს იქნება); აი, ასე — თითქმის ორთვიანი პაუზა დასრულდა და მომავალ კვირაში, კერძოდ, 9 მარტს საქართველოს ჩემპიონატიც განახლდება. შეგახსენებთ, რომ მეორე ეტაპზე ორი საინტერესო გათამაშება გველოდება: ზედა ექვსეულის ინტრიგაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუმცა არანაკლებ დაძაბულ პაექრობებს უნდა ველოდოთ ქვედა ექვსეულშიც.

ჩემპიონატის განახლებას ვრცელ მასალას მივუძღვნით: რა ცვლილებები მოხდა ზამთრის პაუზის დროს ამა თუ იმ გუნდში, როგორ მოემზადნენ, რა მიზნები ექნებათ და ასე შემდეგ; აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, „ლელო", ტრადიციულად, ვრცლად და სრულად რომ გააშუქებს ჩემპიონატის მიმდინარეობას: ორივე ექვსეულის შეხვედრების დეტალურ აღწერასაც ვგულისხმობთ და ტურის სიმბოლური ნაკრების გამოქვეყნებასაც. რაც მთავარია, რთული მათემატიკური გამოთვლებიც აღარ დაგვჭირდება: წინა სეზონისაგან განსხვავებით, ჩემპიონატის რეგლამენტი ამჯერად მარტივად და „ადამიანურადაა" გათვლილ-გაწერილი! ანუ, მეორე ეტაპზე ყველა გუნდს გადაჰყვა პირველ ეტაპზე მოგროვებული ქულები თუ ბურთები; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატსაც ერთი და, რაც მთავარია, რეალური ცხრილი ექნება (უფრო ზუსტად, ორი — ზედა და ქვედა ექვსეულის გუნდებისათვის). არადა, შარშან რომ „ვირტუალურ" ცხრილს ვაქვეყნებდით ხოლმე, გულშემატკივრები კი არა, ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ გუნდის ხელმძღვანელსაც ვერ გაერკვია სინამდვილეში რომელ ადგილზე რომელი გუნდი იმყოფებოდა! თუმცა, საბედნიეროდ, ის უაზრო „ნოვაცია" წარსულს ჩაბარდა და იმის იმედიც დავიტოვოთ, რომ ჩემპიონისა თუ პრიზიორების ვინაობა მწვანე მოედანზე გადაწყდება და არა — კაბინეტში; იმის იმედიც უნდა გვქონდეს, რომ „ზემოდან" არავინ ჩაერევა ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში, — ოღონდ, ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატსა თუ თასის გათამაშებას ვგულისხმობთ; ანუ, ნამდვილად აღარ უნდა გამეორდეს ისეთი პრეცედენტები, როცა მოედანს მიღმა (უფრო ზუსტად — „ზემოთ) წყდებოდა ამა თუ იმ სეზონში თასი რომელ გუნდს უნდა მოეგო, რომელი გუნდი უნდა გავარდნილიყო (ან არ გავარდნილიყო) უმაღლესი ლიგიდან და ასე შემდეგ. ჰო, კალენდარიც უნდა ვახსენოთ: წესითა და რიგით, ჩვენი გუნდების ხელმძღვანელებს, მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონდეთ; მეორე ეტაპის კალენდარს მალე გამოვაქვეყნებთ და ამაში თავად დარწმუნდებით: ჩემპიონატის მატჩები კვირაში ერთხელ (ისიც, შაბათ-კვირას) ჩატარდება, სათასო დაპირისპირებები კი შუა კვირაშია ჩასმული. ერთადერთი, რაზეც, შესაძლოა, რომელიმე გუნდის წარმომადგენელმა დაიწუწუნოს, აპრილის თვეა, როცა სათასო ნახევარფინალების ჩათვლით ოთხ გუნდს ექვს-ექვსი მატჩის ჩატარება მოუწევს 24 დღის განმავლობაში. თუმცა, ამ შემთხვევაში რამდენიმე „მოდური" საფეხბურთო ტერმინი („გადაღლილობა", „შემჭიდროებული გრაფიკი" და ასე შემდეგ) აქტუალური აღარ უნდა იყოს: უმაღლესი ლიგის თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ზამთრის პაუზა ნაყოფიერად გამოიყენა და შეკრება უცხოეთში გაიარა! ჰო, მსგავსი რამ საქართველოს ჩემპიონატის 23-წლიან ისტორიაში არ გვახსენდება: 12-დან ცხრა გუნდი (თბილისის „დინამო", „დილა", „ტორპედო", „ჩიხურა", „ზესტაფონი", „ზუგდიდი", „მეტალურგი", „სიონი", ბათუმის „დინამო") უცხოეთში მოემზადა სეზონის განახლებისათვის (თბილისის „დინამომ" სულაც ორი თურქული შეკრება „მოასწრო"); ანუ, ფიზიკური კონდიციების პრობლემა სალაპარაკო-საწუწუნო თემა აღარ უნდა იყოს, ისე როგორც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი: გუნდი თუ სრულფასოვან უცხოურ შეკრებას გაივლის, ესე იგი, ფინანსური პრობლემაც არ უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, წლევანდელი ზამთარი იმითაც იყო გამოსარჩევი, რომ უმაღლესი ლიგის გარდა, უცხოურ შეკრებაზე... პირველი ლიგის გუნდებიც იმყოფებოდნენ: „ლოკომოტივი", „სპარტაკი", „სასკო", „შუქურა". თუმცა, ეს კიდევ არაფერი: ასევე ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, როცა ქართული გუნდების უცხოურ შეკრებას ქართველი ჟურნალისტი აშუქებდა! არადა, თითქმის ყველგან (საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ქვეყნებშიც), ეს მართლაც ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ დღემდე ქართული მასმედია ამით განებივრებული არ ყოფილა და აი, „პირველი მერცხალიც" გამოჩნდა! ჩვენი კოლეგა, „მსოფლიოს სპორტის" ჟურნალისტი **ილია ნანობაშვილი** არცთუ მცირე ხნით იმყოფებოდა თურქეთში, ქართული გუნდების სპარინგ-მატჩებსაც ესწრებოდა და საინტერესო რესპონდენტებსაც „პოულობდა".

...დღეიდან გაზაფხული იწყება, სამაგიეროდ სატრანსფერო სეზონი მთავრდება: ქართულმა გუნდებმა უნდა იჩქარონ, თავიანთთვის სასურველი ფეხბურთელის გადმობირება რომ შეძლონ. ისე, ამ ზამთარს ქართულ სატრანსფერო „ბაზარზე" არნახული აქტივობა შეინიშნებოდა და ამაში აქვე მოცემული ცხრილით დარწმუნდებით. „შიდა გადაადგილებებს" თავი რომ დავანებოთ, ჩვენს ჩემპიონატში ახალი ლეგიონერების გამოჩენაც დიდ ინტერესს იწვევს: **უსტრარიცი, ლოსანო** (ორივე — ესპანეთი), **პეტკოვი** (ბულგარეთი), **გრაიციარი** (სლოვაკეთი) და სხვა.

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**



ესპანელი ლოსანო (მარცხნივ) საქართველოს ჩემპიონატი ითამაშებს
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მზადება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>კახა კაჭარავა | კობახიძე (ალანია, რუსეთი), მამალაძე (დილა), მენთეშაშვილი (მეტალურგი), ელიავა (სიონი, იჯარით), მილხრაუმი (დინამო თბ), შარვაძე (მერანი), კიკნაველიძე (დინამო ბთ) | ლ. კუტალია, ენდელაძე (ორივე ზუგდიდი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), რეკრუკი (?), ლოსანო (მურსია, ესპანეთი), პეტკოვი (ბულგარეთი), ტურავა (?) | სპარტაკი 0:2<br>დინამო ბთ 5:0<br>29 იანვრიდან - ანთალიაში<br>ყარაბახი (აზერბაიჯანი) 0:2<br>რუხი (პოლონეთი) 0:0<br>ვორსკლა (უკრაინა) 1:1<br>ლეხია (პოლონეთი) 1:1<br>ტორპედო (ბელარუსი) 2:1<br>**დილა 0:0 (პ. 4:2)**<br>**გურია 1:0** |
| მეტალურგი<br>გიორგი ყიფიანი | დ. ჯანელიძე (თურანი, აზერბაიჯანი), ი. მაისურაძე (დილა), ტატანაშვილი (დინამო თბ), თექთურმანიძე (დინამო თბ, იჯარა დაუმთავრდა), ჰოსმანი (?), კაკუშაძე (?), გიორ. გურეშიძე (?) | კორღალიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), ახალკაცი (დილა), მ. ალავიძე (?), ფიფია (თურანი, აზერბაიჯანი), მენთეშაშვილი (ზესტაფონი) | 12 იანვრიდან - რუსთავში<br>სტუ 5:0<br>ვიტ ჯორჯია 2:1<br>1 თებერვლიდან - ანთალიაში<br>გურნიკი (პოლონეთი) 0:1<br>აკადემია (მოლდოვა) 1:2<br>პოჰანგი (კორეა) 1:0<br>მეტალურგი (რუსეთი) 1:0<br>**დინამო (ბთ) 1:2** |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | იოსელიანი (კეჩკემეტი, უნგრეთი) | გ. ონიანი (დილა), ცინცაძე (დაუგავა, ლატვია) | 18 იანვრიდან - ქუთაისში<br>სამტრედია 0:2,<br>საპოვნელა 13:0<br>შუქურა 2:0<br>სამგურალი 7:0<br>1 თებერვლიდან - ესპანეთში<br>რაპიდი (რუმინეთი) 1:1, პენ 4:3<br>დინამო (რუმინეთი) 1:2<br>დინამო (კიევი) 2:4<br>ოცელული (რუმინეთი) 1:1<br>სტრომსგოდსეტი (ნორვ.) 1:1<br>**გაგრა 1:1** |
| დინამო (თბ)<br>დუშან უჰრინი (უმცროსი) | ვოსკობოინიკოვი (?), იაგუე (?), ლექვთაძე (სიონი, იჯარით), რობერტინიო (ინტერი, აზერბაიჯანი), თექთურმანიძე (?), რეხვიაშვილი (?) | შაშიაშვილი (დილა), მილხრაუმი (ზესტაფონი), ტატანაშვილი (მეტალურგი), გრაიციარი (სპარტა, ჩეხეთი), თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარა დაუმთავრდა), შინდაგორიძე (?), დიასამიძე (დინამო ბთ), მენდი (?), უსტარიცი (ესპანეთი) | 15 იანვრიდან - თბილისში<br>21 იანვრიდან - ანთალიაში<br>შახტიორი (ყაზახეთი) 0:1<br>ვორსკლა (უკრაინა) 0:2<br>ილიჩივეცი (უკრაინა) 2:2<br>5 თებერვლიდან - ანთალიაში<br>ამკარი (რუსეთი) 1:1<br>პოლონია (პოლონეთი) 2:1<br>ტირასპოლი (მოლდოვა) 2:2<br>ზარია (უკრაინა) 0:4<br>**კოლხეთი 1:0** |
| დილა<br>ვალდას ივანაუსკასი | გ. დარასელია (მთ. მწვრთნელი, სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), შაშიაშვილი (დინამო თბ), სკენდერი (სონდერიისკე, დანია), სალუქვაძე, ხოჯავა (ორივე სკა ხაბაროვსკი), ს. გურული (დინამო (ბთ), გ. ონიანი (ტორპედო), ახალკაცი (მეტალურგი), შ. კაშია (ჩიხურა), კლიმიაშვილი (?) | ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი) ი. მაისურაძე (მეტალურგი), კვახაძე (უგუნდოდ), მამალაძე (ზესტაფონი), თოთაძე (დინამო ბთ), ი. ლომიძე (?), ლობე (კამერუნი), არაბული (?) | 17 იანვრიდან - თბილისში<br>ვიტ ჯორჯია 2:0<br>21 იანვრიდან - თურქეთში<br>ნოიდშდატდი (ავსტრია) 1:1<br>ბარუერი (ბრაზილია) 2:1<br>სალუტი (რუსეთი) 1:1<br>ბოლესლავი (ჩეხეთი) 3:2<br>რადნიჩკი (სერბეთი) 0:1<br>**ზესტაფონი 0:0 (პ 2:4)**<br>**სამტრედია 6:0** |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე დინამო ბთ), ცხადაია (სიონი), | ზამ. ჯანაშია (?), როსინი (?) | 19 იანვრიდან - ფოთში<br>სამტრედია 2:1<br>გურია 2:2<br>სქური 1:0<br>მერანი 1:0<br>**დინამო (თბ) 0:1** |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | გ. ჟვანია (დინამო ბთ), მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია) | გ. მეგრელაძე (უგუნდოდ), კრისი (ნიგერია), შარვაძე (ზესტაფონი), ხუბუა (სიონი) | 20 იანვრიდან - მარტვილში<br>კოლხეთი (ფ) 0:1<br>12 თებერვლიდან - ურეკში<br>გურია 2:1<br>არარატი (სომხეთი) 2:2 |
| სიონი<br>არმაზ ჭელიძე | ქუცურუა (?), ჭედია (?), ჩიკვილაძე (?), დ. ლომაია (?), ხუბუა (მერანი), მაჭავარიანი (?), რ. ჯიქია (?), ფეიქრიშვილი (?), ჭანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარა დაუმთავრდა), თარხნიშვილი (ვენტსპილსი, ლატვია) | ბიბილეიშვილი (სტუ), ფოფხაძე (ზუგდიდი), მიკუჩაძე (ისრაელი), ელიავა (ზესტაფონი, იჯარით), მერლანი (ზუგდიდი), ლექვთაძე (დინამო თბ, იჯარით), ახალაია (უგუნდოდ), ცხადაია (კოლხეთი), ჩივაძე (უგუნდოდ), ჰაიდუჩეკი (პოლონეთი), საპირი (ისრაელი), ფალავანდიშვილი (?) | 18 იანვრიდან - თბილისში<br>ზოოვეტი 2:1<br>სასკო 4:0<br>ჩიხურა 2:1<br>გაგრა 0:2<br>5 თებერვლიდან - თურქეთში<br>ტორპედო (მოსკ., რუსეთი) 0:0<br>რადი (სერბეთი) 2:1<br>ედინსტვო (ჩერნოგორია) 2:2<br>**ზუგდიდი 3:0** |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | ჩიმაკაძე (დინამო ბთ), ზაქრაძე (?), ლანიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), მჭედლიშვილი (მერანი) | 16 იანვრიდან - მცხეთაში<br>სტუ 3:0<br>დილა 0:2<br>ჩიხურა 2:1<br>გაგრა 2:0<br>**სპარტაკი 1:1** |
| ზუგდიდი<br>ელგუჯა კომეთიანი | ს. თოდუა (გურია), კუტალია, ენდელაძე (ორივე ზესტაფონი), კოშკაძე (დინამო ბთ), მერლანი, ფოფხაძე (ორივე სიონი), დ. ბოლქვაძე (ჩიხურა) | ხუხია (დინამო ბთ), გამრეკლიძე (?) | 23 იანვრიდან - ზუგდიდში<br>კოლხეთი (ხ) 3:2<br>გურია 0:0<br>ლაზიკა 2:1<br>10 თებერვლიდან - თურქეთში<br>ფალინგენი (გერმანია, მოყვ.) 8:0<br>ჩახლაული (რუმინეთი) 3:3<br>**სიონი 0:3** |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | | დ. ბოლქვაძე (ზუგდიდი), შ. კაშია (დილა) | 16 იანვრიდან - საჩხერეში<br>სიონი 1:2<br>ვიტ ჯორჯია 1:2<br>4 თებერვლიდან - თურქეთში<br>ლოკომოტივი (ბულგარეთი) 0:1<br>ცსკა (ბულგარეთი) 1:6<br>კასპიი (ყაზახეთი) 2:1<br>**შუქურა 8:0** |
| დინამო (ბთ)<br>გია გურული | დიასამიძე (დინამო თბ), ხუხია (ზუგდიდი), სიჭინავა (?), კაკულია (?), კილაძე (გურია), ბალაძე (?), კლოვისი (?), ცნობილაძე (?), ტიმჩიშინი (?), თოთაძე (დილა) | ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია), ს. გურული (დილა), გ. ჟვანია (მერანი), გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე კოლხეთი), კოშკაძე (ზუგდიდი), კიკნაველიძე (ზეტაფონი) | 16 იანვრიდან - ბათუმში<br>გურია 3:0<br>7 იანვრიდან - ანთალიაში<br>აქტობე (ყაზახეთი) 4:1<br>გლორია (ბისტრიცა) 1:1<br>**მეტალურგი 2:1** |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოციაციის თასი. 1/8-ფინალი. გადათამაშება

# რაფა ბენიტესი: მივდივარ, დაისვენეთ!



ერთ-ერთი ბანერი: „არავის შეუკვეთავს მსუქანი ესპანელი ოფიციანტი, რომან“

**მიდლსბრო-ჩელსი 0:2**

**გოლები:** 0:1 რამირესი (51), 0:2 მოზესი (73)

**მიდლსბრო:** სტილი, ბეილი, ბიკი (36. ჰაინსი), მაკმანუსი, ფრენდი, უილიამსი, ლიდბიტერი, ჰარუნი, კარაიოლი (77. ზემანა), მაკდონალდი, მეინი (62. მილერი)

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა, ივანოვიჩი, ტერი, ბერტრანი, რამირესი, აკე, მოზესი (76. ლუისი), ოსკარი (79. მარინი), ბენაიუნი (58. აზარი), ტორესი

„ჩელსიმ“ კიდევ ერთი თამაში ჩაატარა მეტისმეტად უნიათოდ. მართალია, დედაქალაქური კლუბი ასოციაციის თასის 1/4-ფინალში გავიდა, მაგრამ გულშემატკივართა გულები ამან ოდნავადაც ვერ მოალბო. თამაში რივერსაიდელთა შეტევებით დაიწყო. რომ არა სიჩქარე გადამწყვეტ მომენტებში, მასპინძლები აუცილებლად მოახერხებდნენ ანგარიშის გახსნას. ერთ მომენტში არადამაჯერებლად ითამაშა **პეტრ ჩეხმა**, ვინც საჯარიმოს გარედან ძლიერად დარტყმული ცხვირწინ მოიგერია. მისდა ბედად ბურთთან პირველი **ჯონ ტერი** გაჩნდა და სიტუაცია განმუხტა. მეორე ტაიმში „ლურჯების“ კლასმა თავისი გაიტანა. **იოსი ბენაიუნმა** ფინტების კასკადის შემდეგ ბურთი **რამირესს** დაუგორა. ბრაზილიელის დარტყმა **ფერნანდო ტორესს** თავში მოხვდა, **ჯეისონ სტილისთვის** აულებელი ტრაექტორია შეიძინა და ბადეში გაეხვია. მეორე გოლი ლონდონელებს ბევრად უფრო ეფექტური გამოუვიდათ. **ედენ აზარის, ოსკარისა** და **ვიქტორ მოზესის** კომბინაციას მასპინძელთა მცველებმა მონმეებივით მხოლოდ თვალი მიადევნეს. ბოლო წუთებზე **ტონი მოუბრეის** შეგირდებმა კიდევ გაიბრძოლეს, მაგრამ არცთუ ისე მრისხანე მეტოქეს ვერაფერი დააკლეს. თამაში თამაშად და მთავარი მოვლენები მატჩის დასრულების შემდეგ განვითარდა. **რაფა ბენიტესი** თავად ალაპარაკდა „ჩელსიდან“ მისის წასვლის პერსპექტივაზე. იქამდე კი მან გულშემატკივრებს სთხოვა, შეწყვიტონ მისი შეურაცხყოფა, რადგან ამით ისინი ყველაზე დიდ სამსახურს გუნდს გაუწევენ. გთავაზობთ მატჩის შემდგომ მის კომენტარს:

- 26 წელიწადია, მწვრთნელი ვარ. მოვიგია ჩემპიონთა ლიგა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, ასოციაციის თასი, იტალიის სუპერთასი, ორჯერ ესპანეთის ჩემპიონატი. საერთო ჯამში ცხრა ტიტული. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი შეიძლება საკლუბო დონეზე მომეგო. გარწმუნებთ, ჩემი ლანძღვა-გინება გუნდს არაფერში წაადგება. ფანები თხზავენ სიმღერებს, ჩემი საწინააღმდეგო ბანერების დამზადებაში დროს კარგავენ. მაისში მე გუნდიდან მივდივარ. რა საჭიროა ასეთ რამეებზე ენერგიის ხარჯვა? მოდი, გუნდს დაუჭირეთ მხარი. თუკი მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოვიპოვეთ, რაც ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ არ მოხდება, ჩემი ნებით წავალ. ასეთ შემთხვევაში „ჩელსის“ კიდევ ერთხელ მოუწევს ევროპალიგაზე ასპარეზობა და ამაში გარკვეულწილად პასუხისმგებლები გულშემატკივრებიც იქნებიან. მათ უნდა ესმოდეთ, რომ როცა ფეხბურთელებს აუტანელი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აქცევენ და ტრიბუნებზე ცუდ ატმოსფეროს ქმნიან, ამით სერიოზულ შეცდომას უშვებენ. ვფიქრობ, ყველასთვის უკეთესი იქნება, თუკი ტრიბუნებზე დადებითი განწყობა შეიქმნება და მთელი ენერგია გუნდის მხარდაჭერაში დაიხარჯება. მთავარი მწვრთნელი ვარ. მე გუნდის მომზადება მავალია და არა სახელების გაფრთხილება. სანამ ამ პოსტზე ვარ, შემადგენლობას მხოლოდ მე განვსაზღვრავ, სეზონის დასრულების შემდეგ კი წავალ, რადგან როგორც ზოგიერთებმა მიწოდეს, მე მხოლოდ დროებითი მენეჯერი ვარ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ფანები ჩემს ლანძღვაში დროს ტყუილად ხარჯავენ. დარჩენილი სამი თვის განმავლობაში ყველას დავუმტკიცებ, რომ პროფესიონალი ვარ და ყველა თამაშის მოგებას ვისახავ მიზნად.

მოხარული ვარ, რომ „ჩელსიში“ ვმუშაობ, ეს ძალიან ძლიერი გუნდია, სადაც თითოეული ფეხბურთელი მაქსიმალურს აკეთებს. არავისთან ურთიერთობაში პრობლემა არ შემქმნია. პრობლემა მხოლოდ გულშემატკივართა გარკვეული ჯგუფია, რომელიც ყველაფერს აკეთებს გარდა გუნდის მხარდაჭერისა. ვილაცამ გადაწყვიტა, რომ ჩემს თანამდებობას დროებითი მენეჯერი ჰქვია? რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ყველანაირ წარუმატებლობაში ბრალი მე დამდონ? ასეთ ადამიანებს მინდა ვუთხრა, რომ ნუ ინერვიულებენ. უმჯობესი იქნება, თუკი გუნდს დაუდგებიან გვერდში. არავითარი დროებითი, მე მენეჯერი ვარ და ასეთად დავრჩები იქამდე, ვიდრე ხელმძღვანელობა სხვაგვარად არ გადაწყვეტს. ყოველი პოსტი დროებითია, რადგან შემცვლელი ოდესმე ყველას გამოუჩნდება. კლუბს ჩემი მემკვიდრე ჯერ არ უპოვია და ამიტომაც ვერ ვხვდები, რატომ არის საჭირო მუდმივად ჩემს სტატუსზე ხაზგასმა.


რაფა ბენიტესი გულშემატკივარს გუნდის წინაშე საკუთარ პასუხისმგებლობას ახსენებს

ამბები

## ჰუთი დისკვალიფიცირებულია


რობერტ ჰუთი

„ფულჰემი“-„სტოკ სიტის“ შეხვედრაში (1:0) **ფილიპ სენდეროსის** წინააღმდეგ არასპორტული თამაშისთვის სტუმართა 28 წლის ცენტრალური მცველი **რობერტ ჰუთი** საფეხბურთო ასოციაციამ 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. შეხვედრის არბიტრ **ლი პრობერტსა** და მის ასისტენტებს ეპიზოდი გამორჩათ, მაგრამ „ფულჰემის“ სარჩელის შემდეგ გერმანელს მეტოქისთვის სახეში ხელის ჩარტყმა არ შერჩა. „სტოკის“ პრესსამსახურის თქმით, კლუბი გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ გეგმავს.

## დიდი კლუბის გასაჭირი

„ნოტინგემ ფორესტის“ ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონშიპის მონაწილე კლუბებისგან ყველაზე ტიტულოვან ორგანიზაციას სერიოზული პრობლემები აქვს. კლუბმა კალენდარული წლის განმავლობაში 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი იზარალა, რაც 2 მილიონით აღემატება პროფესიულ ლიგასა და კლუბებს შორის შეთანხმებით დაშვებულ მაქსიმუმს. „მეტყევეებს“ ხარჯების სწორედ ამდენით შემცირება მოუწევთ, რათა შეთანხმება მომდევნო წელსაც არ დაირღვეს, რასაც პრემიერლიგის მხრიდან მკაცრი სანქციები მოჰყვება. კლუბი ალბათ სახელფასო ფონდს შეამცირებს, რაც 2011/12 წლების სეზონის დასრულების შემდეგ ზუსტად 1 მილიონით გაიზარდა. ზარალი მიდლანდელების სუსტმა ასპარეზობამაც გამოიწვია. „სიტი გრაუნდზე“ საშუალო დასწრება 2 300 კაცით შემცირდა, რამაც „ნოტინგემი“ წლის განმავლობაში 500 ათასი გირვანქა სტერლინგი აზარალა.

## სანია დერბის დააკლდება


ბაკარი სანია

კვირას, „ტოტენჰემი“-“არსენალის“ პრინციპულ დაპირისპირებას „მეთოფეთა“ 30 წლის მარჯვენა მცველი **ბაკარი სანია** ტრავმის გამო დააკლდება. ESPN-ის ცნობით, ვეტერან ფრანგს „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალურ შეხვედრაში (1:3) მიღებული მუხლის ტრავმა ჯერ კიდევ აწუხებს.

## ბერი მზადაა


გარეთ ბერი

„მანჩესტერ სიტის“ 32 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **გარეთ ბერიმ** კოჭზე ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და ორშაბათს „ვილა პარკზე“ „ასტონ ვილასთან“ მატჩისთვის უკვე მზადაა. ამასთან, „ტელეგრაფის“ ცნობით, „ქალაქელთა“ ვეტერანმა ფეხბურთელმა შესაძლოა, სეზონის შემდეგ გუნდი დატოვოს. მხარეთა შორის გაფორმებულ კონტრაქტს 2014 წლის ივლისამდე აქვს ვადა, თუმცა კლუბს მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება ჯერ არ შეუთავაზებია. „ეტიჰადზე“ მისი მომავალი **რობერტო მანჩინის** სურვილზე მეტად მენეჯმენტზეა დამოკიდებული. ვეტერანს ღირსეული შემცვლელი ჰყავს - 21 წლის **ჯეკ როდუელი**.

## იუნაიტედის საზაფხულო ტურნე

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ გულშემატკივარს ტრადიციული აზიური საზაფხულო მოსამზადებელი ტურნეს დეტალები გააცნო. „ეშმაკები“ პირველად ბანგკოკს ეწვევიან, სადაც 13 ივლისს ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ ტაილანდის ჩემპიონატის ვარსკვლავებთან. ამას გარდა „იუნაიტედი“ ეწვევა სიდნეის (20 ივლისი), იოკოჰამას (23 ივლისი), ოსაკასა (26 ივლისი) და ჰონკონგს (29 ივლისი).

## 20 წლის ჩეხს რიგი დაუდგა

ჩემპიონშიპის „უოტფორდში“ 20 წლის ჩეხი თავდამსხმელის, **მატეი ვიდრას** ბრწყინვალე თამაშმა ევროპული გრანდების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ჩემპიონატის 29 შეხვედრაში ახალგაზრდა ფორვარდის ანგარიშზე 20 გოლის გარდა 8 შედეგიანი გადაცემაც არის. ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები იტალიურ „უდინეზეს“ ეკუთვნის. ინგლისში ის ერთწლიანი იჯარით არის გაშვებული. ფრიულელებთან ვიდას კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება. მოსალოდნელია, რომ თუკი მას მომხიბლავი შეთავაზებები ექნა, „უდინეზესთან“ ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარს იტყვის. შესაბამისად, კლუბი იძულებული გახდება, ჩეხი შემტევი ტრანსფერზე დააყენოს. Goal.com-ის ინფორმაციით, ვიდრას თამაშს „რომა“, „იუვენტუსი“ და „მანჩესტერ სიტი“ აკვირდებიან.


მატეი ვიდრა

## ჩელსიდან მილუოლში

„ჩელსის“ რეზერვისტთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, 19 წლის ინგლისელი საყრდენი ნახევარმცველი **ჯორჯ სევილი** სეზონის დარჩენილ მონაკვეთს იჯარით ჩემპიონშიპის „მილუოლში“ გაატარებს. თინეიჯერი ფეხბურთელი მომდევნო სეზონიდან მთავარ გუნდში გადასვლის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია. მართალია, მას პროფესიონალებში დებიუტი ჯერ არ ჰქონია, მაგრამ **რაფა ბენიტესმა** ის დეკემბერში ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე იახლა თან.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ამბები



მარკო საუ

## სარდინიელი რომაელთა სამიზნეში

**მარკო საუ** „კალიარის" ღირსებას იცავს და მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს. 25 წლის ფორვარდს 22 მატჩი აქვს ჩატარებული, 11 გოლი გატანილი და არაერთი საგოლე პასი გაკეთებული. მოკლედ, საუ საუკეთესო სეზონს ატარებს და უკვე არაერთი გუნდის ყურადღება მიიპყრო.

„კორიერე დელო სპორტის" ცნობით, მარკოს გადაბირება „რომას" მესვეურებს სურთ და მზად არიან, ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაიხადონ. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, მხარეებს შორის მოლაპარაკების პირველი რაუნდი უკვე შედგა და სულ მალე, კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი. სარდინიელები თურმე 12 მილიონ ევროს ითხოვენ, რომაელებმა კი 4 მილიონის დაკლება მოითხოვეს. ვნახოთ, რით დასრულდება სარდინიულ-რომაული ვაჭრობა.

**ლაშა ნიკლაური**

## მონპელიეს ლიდერები უბრუნდებიან

დღეს, „რენთან" გასამართი მატჩის წინ, „მონპელიეს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი უბრუნდება. **ბენჟამინ სტამბული, ჟორის მარვო** და **სულეიმან კამარა** უკვე **რენე ჟირარის** განკარგულებაში არიან და მათ თამაშის უფლებაც აქვთ.

მიუხედავად სამი გამორჩეული ფეხბურთელის გამოჯანმრთელებისა, გუნდის ლაზარეთი მაინც სავსეა: **იუნეს ბელჰანდას, გარი ბოკალის, რემი კაბელიას, ჯამელ საიჰის** და **ქარიმ აიტ-ფანას** სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები აქვთ, ხოლო **სირილ ჟონშამი** ჯერ კიდევ დისკვალიფიცირებულია.

## აიუები ნაკრებში თამაშზე დროებით უარს ამბობენ

**ანდრე აიუმ** და **ჯორდან აიუმ**, განის ფეხბურთის ფედერაციას ერთობლივი წერილი მისწერეს და ეროვნულ ნაკრებში თამაშზე დროებით უარი განაცხადეს. „მარსელის" ფეხბურთელებმა წლევანდელი აფრიკის ერთა თასი გამოტოვეს და როგორც ამბობენ, **აბედი პელეს** შვილებს, ნაკრების მწვრთნელ **კვასი აპიასთან** სერიოზული უთანხმოება აქვთ, რაც გახდა კიდეც ძმების ეროვნული გუნდიდან წასვლის მიზეზი.

23 წლის ანდრე აიუს ნაკრებში დებიუტი 2007 წელს ჰქონდა და მას შემდეგ 43 „კეპიც" მოიხვეჭა (4 გოლი). 21 წლის ჯორდანმა კი ეროვნულ გუნდში პირველად 2010 წელს იასპარეზა და 10 შეხვედრაში 2 გოლიც გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**

პერსონა

# ღამის კლუბები, დამპალი ვაშლი და ქანდაკება

## ახალი ამბები სუპერმარიოს შესახებ

**მარიო ბალოტელი მილანში ჭკვიანად იქცევა, არაფერს აფუჭებს და მეტწილად, კარგი თამაშით იქცევს საფეხბურთო იტალიის ყურადღებას. ბოლო დღეებში მის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობა გავრცელდა, ან ენებავთ, მასალა დაიბეჭდა და ქვემოთ ყველაფერს ერთად მოვუყრით თავს...**

### გალიანი: დაე იაროს ღამის კლუბებში...

მარიო ბალოტელის ბევრი მილანური დერბის გმირობასაც უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი გამოდგა... სუპერმარიომ ბევრი იბრძოლა, თავი ნამდვილად არ დაუზოგავს, მაგრამ მთლიანობაში მაინც ჩრდილში იყო. 22 წლის ფორვარდის პირადმა აგენტმა **მინო რაიოლამ** განაცხადა, რომ მარიოს ჩრდილში ყოფნის მიზეზი მისი გაცივება და მაღალი ტემპერატურა გახლდათ, ეს ამბავი კი თვით კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** გაიკვირვა:

*„ბალოტელის ტემპერატურის შესახებ არც მე ვიცოდი რამე, არც მწვრთნელებმა და არც სამედიცინო შტაბის წევრებმა. როგორც ჩანს, მთავარ ექიმად მინო რაიოლა უნდა დავნიშნოთ, რომელიც სხვებზე კარგად ფლობს ინფორმაციას ფეხბურთელთა ჯანმრთელობის შესახებ. არ ვთვლი, რომ ბალოტელი ჩრდილში იყო და დერბი ჩააგდო... ბევრი იშრომა, რიგ ეპიზოდებში გაამწვავა კიდეც თამაში, გოლს კი ყოველთვის ვერ გაიტან".*

ჟურნალისტებმა ბალოტელი რამდენჯერმე ღამის კლუბშიც შენიშნეს და გალიანის ამ თემაზეც მოუხდა კომენტარის გაკეთება: *„მილანში გადმოსვლით მარიო სახლში დაბრუნდა და აქ უამრავი მეგობარი ჰყავს - შესაბამისად, მათთან ერთად ხშირად ერთობა და ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ვერ ავუკრძალავ ფეხბურთელს, თამაშისა თუ ვარჯიშის შემდეგ კლუბში განტვირთვას, სადაც იცეკვებს და დაისვენებს. მთავარია, მარიო ალკოჰოლის მიღებაში არაა შემჩნეული და დანარჩენი უკვე ჩემი საქმე არა არის. „მილანში" არასდროს ვერეოდით ფეხბურთელის პირად ცხოვრებაში და არც მახსენდება, რომ ამ მხრივ პრობლემა შეგვქმნოდეს. ბალოტელის ვენდობი, ვიცი, რომ არაფერს გააფუჭებს".*

### ბერლუსკონი: ხანდახან ჯობია, დამპალი ვაშლი იყო

ცნობილი ამბავია, რომ იტალიურ ფეხბურთში ტაქტიკა-სტრატეგიას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ექცევა და როგორც ჩანს, არა მხოლოდ მოედანზე, მის მიღმაც. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, „მილანის" პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ** საჯაროდ განაცხადა, რომ მარიო ბალოტელი დამპალი ვაშლია, რომელსაც სხვა ვაშლების გაფუჭებაც შეუძლია. პრეზიდენტმა ბალოტელის უხიაგ ხასიათს გაუსვა ხაზი, რომელსაც გასახდელში ატმოსფეროს გაფუჭება შეეძლო. მოკლედ, მაშინ ბევრმა ჩათვალა, რომ მარიოს „მილანში" გადაბარგება



**მარიო ბალოტელის სკულპტურა ასეთი იქნება**

გამორიცხული იყო, თუმცა სულ მალე, ფორვარდმა სწორედ „როსონერიში" ამოჰყო თავი. მაინც რატომ გააკეთა ასეთი წინდაუხედავი განცხადება ბერლუსკონიმ? - ამაზე თავად ისაუბრა და ყველაფერს ნათელი მოჰფინა:

*„ეს ტაქტიკაა, მეგობრებო, და მინდა გითხრათ, რომ მარიო ბალოტელიმ ჩემი განცხადების შესახებ წინასწარ იცოდა. „მანჩესტერ სიტის" მესვეურები დარწმუნებული იყვნენ, რომ სუპერმარიოს გადასაბირებლად არაფერს დავიშურებდით და ამიტომ, ფასი ხელოვნურად ჰქონდათ გაზრდილი. ადრიანო გალიანი ჩემი საუკეთესო მრჩეველია და სწორედ მან მთხოვა, რომ ასეთი განცხადება გამეკეთებინა. ამ ფანდმა მყისვე გაჭრა, ორიოდე დღეში ინგლისელებმა ბალოტელის ფასი დააგდეს და ტრანსფერიც გაიჩარხა. „მილანში" გადმოსვლა თავად მარიოსაც ძალიან სურდა და საამისოდ, მზად იყო, თუნდაც დამპალი ვაშლი ყოფილიყო".*

### პრანდელი: ასეთი ბედნიერი ბალოტელი არასდროს მინახავს

როდესაც მარიო ბალოტელი „მილანში" გადავიდა, **ჩეზარე პრანდელიმ** მყისვე გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ მარიოსა და სტეფან ელ შაარავის გუნდში ერთად თამაში მისთვის დიდი ბედნიერება იყო. „სკუადრა აძურას" თავკაცი ბალოტელის თემას კიდევ ერთხელ მიუბრუნდა და „კორიერე დელო სპორტს" შთაბეჭდილებები გაუზიარა:

*„რამდენიმე დღის წინ, მარიოს პირადად შევხვდი და ბევრი ვილაპარაკეთ. სიმართლე გითხრათ, ასეთი ბედნიერი ბალოტელი არასდროს მინახავს. თავის სახლშია, ოჯახის წევრები გარს ახვევია და თითქოს ყველა პრობლემა უკან აქვს მოტოვებული. ეს ეროვნული ნაკრებისთვისაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ბალოტელი „აძურასთვის" უაღრესად საჭირო ფიგურაა. სტეფან ელ შაარავისთან შეთამაშების სტადიაშია და ამ პროცესს გულისყურით ვაკვირდები. ბალოტელის „როსონერიში" გადასვლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ბედნიერი ვარ, რომ ეს ასეც მოხდა".*

### ბალოტელის სკულპტურა

იტალიური სპორტული პრესის ცნობით, მარიო ბალოტელიმ საკუთარი სკულპტურის გაკეთება განიზრახა და ეს საქმე უკვე დაძრა კიდეც. ჟურნალისტებმა ერთ-ერთ ცნობილ მილანელ მოქანდაკეს მიაკვლიეს, რომელსაც შეკვეთა მიუღია და ბალოტელის სკულპტურაზე მუშაობა დაწყებული აქვს. მოვუსმინოთ მოქანდაკეს:

*„პირადად მარიოს არ ვიცნობ, მაგრამ მისი ოჯახის წევრები მოვიდნენ და სკულპტურა დამიკვეთეს. მარიო ბალოტელი უნდა გამოვსახო და მუშაობა უკვე დაწყებული მაქვს. მითხრეს, რომ ქანდაკება თავად ბალოტელის სახლის წინ უნდა დაიდგას, რომელიც ბრეშაში მდებარეობს. ქანდაკებაში მარიო გოლს აღნიშნავს და რომელ გოლზეა, ლაპარაკი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს".*

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა

# ბორხა ფლორენციაშიც მეფურადაა

## და სამეფო კლუბზე არ ფიქრობს

„გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ბორხა ვალეროს** გადაბირებით თვით მადრიდის „რეალია" დაინტერესებული და დიდია შანსი, ზაფხულში 28 წლის ნახევარმცველი „ფიორენტინადან" „სამეფო კლუბში" აღმოჩნდეს. ეს ამბავი მალე მოედო საფეხბურთო იტალიას და ბუნებრივია, თავად ფეხბურთელამდეც მივიდა. ბორხას პირადმა აგენტმა **ალეჰანდრო კამანომ** შემდეგი განაცხადა:

*„მადრიდიდან ჩემთან არავის დაურეკავს, მაგრამ „რეალის" ბორხა ვალეროთი დაინტერესების შესახებ, ინფორმაცია მომივიდა. სიმართლე გითხრათ, არაფერი მიკვირს, რადგან ჩემი კლიენტი მიმდინარე სეზონში ფანტასტიკურად ირჯება. თავად ბორხა ფლორენციაში თავს შესანიშნავად გრძნობს და არსად წასვლაზე არ ფიქრობს. ველაპარაკე მას და ვიცი, რომ „ფიორენტინადან" აბარგების სურვილი არ აქვს. არც მიკვირს, „ვიოლა" ბრწყინვალე გუნდია, უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და ფლორენციასაც ცოტა ქალაქი თუ შეედრება".*

**ლაშა ნიკლაური**



ბორხა ვალერო ფლორენციაში ბედნიერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატი შენ მოიგე!

გუშინ „ბარსელონას" პრეზიდენტი **სანდრო როსელი** და ვიცე-პრეზიდენტი **ხოსეპ მარია ბარტომეუ** ნიუ იორკში გაფრინდნენ. კლუბის ბოსები იქ სამკურნალოდ მყოფ **ტიტო ვილანოვას** შეხვდნენ. ტიტო ქიმიოთერაპიის კურსს გადის ამერიკის ერთ-ერთ კლინიკაში. *„ჩვენ ესპანეთის თასიდან გამოვვარდით, მაგრამ ვაგრძელებთ ბრძოლას ჩემპიონთა ლიგაში და ეროვნულ ჩემპიონატში. ყოველთვის ვამბობდით, რომ ესპანეთის ჩემპიონობა ჩვენთვის პრიორიტეტულია და ეს ტურნირი მოიგე შენ"*, - უთხრა როსელმა ვილანოვას.

კულუარული ცნობებით, პრეზიდენტი მხოლოდ მოსაკითხად არ ესტუმრა მთავარ მწვრთნელს, მისი ასისტენტი **ჟორდი როურა** აშკარად ვერ უმკლავდება საქმეს და როსელმაც მოსინჯა ნიადაგი, იქნებ, ტიტოს შეუძლია უფრო მალე დაუბრუნდეს კლუბს, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო.

## ბენზემამ გადააჭარბა

ბოლო დროს „რეალის" 25 წლის ფრანგმა ფორვარდმა **ქარიმ ბენზემამ** საფეხბურთო თვალსაზრისით მოუკლო, სამაგიეროდ, მან გზებზე სიჩქარეს უმატა.

სამშაბათს მადრიდში პროცესი უნდა გამართულიყო ქარიმ ბენზემას საქმეზე, მაგრამ ის კლასიკოს გამო გადაიდო - ფრანგს კრიმინალური არაფერი ჩაუდენია, უბრალოდ, რადარებმა გზატკეცილზე მისი ავტომანქანა არნახული სიჩქარით მქროლავი დააფიქსირეს. მ-40 ტრასაზე ნებადართულია 100 კმ/სთ სიჩქარით მგზავრობა, ბენზემამ კი 216 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

- „ეს ამბავი 3 თებერვალს მოხდა, ქარიმი „აუდით" ჯირითობდა" - წერს ესპანური გაზეთი „ელ პაისი".

როგორი ჯარიმა ელის ბენზემას? ყველაზე ცუდ შემთხვევაში აღნიშნული დარღვევა 3-6 თვით ციხეს ითვალისწინებს, მაგრამ ბენზემა სიჩქარის გადაჭარბებისთვის პირველად გამოიჭირეს და მას ციხე არ უნდა დაემუქროს. ფრანგს შეიძლება მართვის მოწმობა ჩამოართვან 1-4 წლით და ასევე დაუწესონ ჯარიმა, რომელმაც ყველაზე მძიმე შემთხვევაში შეიძლება 15 ათას ევრომდეც კი მიაღწიოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### იტალია სერია A

**XXVII ტური**

**1 მარტი**

**ნაპოლი-იუვენტუსი** 23.45

ტრავმა: გამბერინი - დე ჩელიე, ბენდტნერი, პეპე.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=4-0 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +8=4-13, (24-33)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| *1. იუვენტუსი* | *26* | *18* | *4* | *4* | *53-17* | *58* |
| *2. ნაპოლი* | *26* | *15* | *7* | *4* | *46-21* | *52* |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 5 | 7 | 36-28 | 47 |
| 4. მილანი | 26 | 13 | 6 | 7 | 44-31 | 45 |
| 5. ინტერი | 26 | 13 | 5 | 8 | 40-33 | 44 |
| 6. ფიორენტინა | 26 | 12 | 6 | 8 | 46-32 | 42 |
| 7. კატანია | 26 | 12 | 6 | 8 | 34-31 | 42 |
| 8. რომა | 26 | 12 | 4 | 10 | 53-47 | 40 |
| 9. უდინეზე | 26 | 9 | 10 | 7 | 35-34 | 37 |
| 10. სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33-30 | 32 |
| 11. პარმა | 26 | 8 | 8 | 10 | 32-35 | 32 |
| 12. ტორინო | 26 | 7 | 11 | 8 | 32-32 | 31 |
| 13. კალიარი | 26 | 8 | 7 | 11 | 32-44 | 31 |
| 14. ბოლონია | 26 | 8 | 5 | 13 | 35-36 | 29 |
| 15. კიევო | 26 | 8 | 5 | 13 | 26-42 | 29 |
| 16. ატალანტა | 26 | 8 | 5 | 13 | 24-38 | 27 |
| 17. ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26-36 | 26 |
| 18. სიენა | 26 | 7 | 6 | 13 | 27-37 | 21 |
| 19. პესკარა | 26 | 6 | 3 | 17 | 20-53 | 21 |
| 20. პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22-39 | 20 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 16 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა), საუ (კალიარი)

### ესპანეთი

**ლა ლიგა. XXVI ტური**

**1 მარტი**

**ხეტაფე-სარაგოსა** 00:00

დისკვალიფიკაცია: ლეო ფრანკო (სარაგოსა)

ტრავმა: მანე, ლოპესი, ლაფიტა, ალკასერი, როდრიგესი, ვალერა - კარმონა, ლოოვენსი (?), ალამო, რომარიკი, სეპუნარუ (?), სუკულინი, რობერტო, ობრადოვიჩი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +0=3-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +5=5-8, (23-28)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 82-28 | 68 |
| 2. ატლეტიკო | 25 | 18 | 2 | 5 | 48-23 | 56 |
| 3. რეალი | 25 | 16 | 4 | 5 | 62-23 | 52 |
| 4. მალაგა | 25 | 12 | 6 | 7 | 37-24 | 42 |
| 5. ვალენსია | 25 | 12 | 5 | 8 | 36-37 | 41 |
| 6. სოსიედადი | 25 | 11 | 7 | 7 | 41-31 | 40 |
| 7. ბეტისი | 25 | 12 | 3 | 10 | 34-35 | 39 |
| 8. ვალეკანო | 25 | 12 | 1 | 12 | 34-43 | 37 |
| *9. ხეტაფე* | *25* | *10* | *5* | *10* | *35-44* | *35* |
| 10. ლევანტე | 25 | 10 | 4 | 11 | 30-38 | 34 |
| 11. ვალიადოლიდი | 25 | 9 | 6 | 10 | 34-33 | 33 |
| 12. სევილია | 25 | 9 | 5 | 11 | 34-37 | 32 |
| 13. ესპანიოლი | 25 | 8 | 7 | 10 | 31-35 | 31 |
| 14. ოსასუნა | 25 | 7 | 7 | 11 | 22-27 | 28 |
| 15. გრანადა | 25 | 7 | 5 | 13 | 24-36 | 26 |
| 16. ბილბაო | 25 | 7 | 5 | 13 | 30-50 | 26 |
| *17. სარაგოსა* | *25* | *7* | *4* | *14* | *25-36* | *25* |
| 18. სელტა | 25 | 6 | 5 | 14 | 24-32 | 23 |
| 19. მალიორკა | 25 | 4 | 6 | 15 | 24-48 | 18 |
| 20. დეპორტივო | 25 | 3 | 7 | 15 | 29-56 | 16 |

**ბომბარდირები:** 38 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი), რობერტო სოლდადო (ვალენსია).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კოპა დელ რეი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

# მადრიდული ფინალი კამპ ნოუზე?

## ატლეტიკო-რეალი სანჩეს პისხუანზე გაფორმდა

**სევილია-ატლეტიკო 2:2 (1:2)**

**გოლები:** 0:1 დ. კოშტა (6), 0:2 ფალკაო (29), 1:2 ხესუს ნავასი (39), 2:2 რაკიტიჩი (91)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტო - კოკე, ფასიო, ბოტია (69. სისინიო), მორენო - მედელი, კონდობია - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, რეიესი (46. დელ მორალი) - ნეგრედო.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, კატა დიასი, ფილიპე ლუიში - ტიაგო (23. მ. სუარესი), გაბი - არდა თურანი (63. კ. როდრიგესი), რაულ გარსია (72. კოკე), დ. კოშტა - ფალკაო.

**გაფრთხილება:** კონდობია, მედელი, რაკიტიჩი - რაულ გარსია, კატა დიასი

**გაძევება:** მედელი (76. სევილია), კონდობია (92)

**კუთხური:** 12-3; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 13-8 (5-5); **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 45 000



დიეგო კოშტას თამაში ამ ნახევარფინალური დაპირისპირების გადამწყვეტი ფაქტორი იყო

„სევილიას" სეზონი ოფიციალურად გამოცხადდა ჩავარდნილად - გუნდი ჩემპიონატში უიმედო, მე-12 ადგილზეა და ევრო და გასავარდნ ზონებს შორის არის გაჩხერილი, ერთმა მწვრთნელმა ვერ გაამართლა, ფეხბურთელები რუსეთში გაურბიან (თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე **ემირ სპაჰიჩი** „ანჟიში" გადავიდა) და ახლა უკანასკნელი, „სამეფო თასის" მოპოვების იმედიც მოკვდა.

მადრიდულმა კლუბმა 2-მატჩიანი დაპირისპირების ბედი პირველ ნახევარ საათში გადაწყვიტა, როცა „სანჩეს პისხუანზე" **დიეგო კოშტას** და **რადამელ ფალკაოს** გოლების წყალობით 2:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ **უნაი ემერის** გუნდს ფინალის საგზურის მოსაპოვებლად 4 გოლის გატანა მართებდა, რაც, ბუნებრივია, თითქმის შეუძლებელი რამაა. ამის მიუხედავად, „სევილიამ", რომელმაც თამაში 9 კაცის ამარა ჩაამთავრა, ორი გოლის გატანა მაინც შეძლო და შინ არ წააგო: პირველ ტაიმშივე **ხესუს ნავასმა** ლამაზი გოლი გაიტანა, მატჩის ბოლოს კი **ივან რაკიტიჩმა** აღადგინა წონასწორობა. „ატლეტიკო" ორი მატჩის ჯამში 4:3 „სამეფო თასის" ფინალში გავიდა.

„ატლეტიკოს" წარმატება ძვირი დაუჯდა - გუნდმა 2 თვით დაკარგა ნახევარმცველი **ტიაგო მენდეში**. პორტუგალიელს **გარი მედელმა** ხელი მოსტეხა. მედელი მაშინ არა და მეორე ტაიმში დაისაჯა, როცა დიეგო კოშტას ეუხეშა (თუმცა ბრაზილიელმაც ერთობ გააფორმა), შემდეგ კი გაძევებას აგრესიულად შეხვდა, სკამი ერთ-ერთ პოლიციელს ესროლა. ჩილელ ნახევარმცველს სერიოზული სანქციები ელის.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ დიეგო კოშტა იყო: მან გოლი გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა, მასთან ორთაბრძოლისთვის ჯერ მედელი, შემდეგ **ჟოფრეი კონდობია** გააძევეს.

**უნაი ემერი** (სევილია): *„ჩემი გუნდი მოტივირებული გავიდა მოედანზე, მაგრამ პირველი გაშვებული ბურთის შემდეგ ჩვენს მოქმედებაში გაურკვევლობის შეგრძნება გაჩნდა, ხოლო „ატლეტიკოს" მეორე გოლმა ძალები წაგვართვა. კი გვქონდა ბევრი მომენტი, მაგრამ იმდენის გატანა ვერ შევძელით, რამდენიც საჭირო იყო საბოლოო წარმატებისთვის. ბიჭები თავიანთ შესაძლებლობებში ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებული, სწორედ ამიტომაც მივიღეთ ორი წითელი ბარათი. მადლობა გულშემატკივრებს, ისინი ბოლომდე ჩვენთან იყვნენ, ჩვენ კი მათთან ვალში ვართ".*

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): *„მთავარია, რომ „ატლეტიკოს" გულშემატკივრები, რომლებიც ამხელა მანძილზე გამოგვყვნენ, ბედნიერები არიან. დილით გავიღვიძებ და გავიაზრებ, რა ძნელი ფინალი გველის, ახლა კი უბრალოდ ვტკბები ამ გამარჯვებით. იმაზე ფიქრი, რომ ჩემპიონატში მყარად მე-2 ადგილზე ვართ, თასის ფინალშიც გავედით კმაყოფილების შეგრძნებას ტოვებს. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ჩვენი გუნდი თავიდანვე კარგად თამაშობდა. ბიჭების თამაშში ამბიცია და მონდომება იგრძნობოდა. „სევილია" ღირსეული მეტოქე იყო".*

### 21 წლის შემდეგ

ზუსტად ამდენი დრო გავიდა მას მერე, რაც ესპანეთის თასის ფინალში ერთმანეთს „რეალი" და „ატლეტიკო" დაუპირისპირდნენ. ეს ფინალი მადრიდული კლუბებისთვის მე-5 ჯახი იქნება. აქამდე „ატლეტიკო" ფლობდა უპირატესობას - 3:4. „სამეფო კლუბმა" ის ერთი მატჩიც პენალტების სერიის წყალობით მოიგო (1975 წელს „ვისენტე კალდერონზე"). „ატლეტიკომ" სამივე შემთხვევაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" იმარჯვა: 3:1 (1960), 3:2 (1961) და 2:0 (1992).

სად და როდის გაიმართება ფინალი? გუნდები („რეალი" და „ატლეტიკო") მომავალ კვირაში შეთანხმდებიან. მატჩი 17-19 მაისს შორის უნდა ჩატარდეს, „რეალი" მხარს უჭერს ბარსელონას ან ვალენსიას კანდიდატურებს. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი მადრიდულ დერბის „კამპ ნოუზე" იხილავთ. „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ენრიკე სერესო კი მატჩის „ვისენტე კალდერონზე" გამართვას ითხოვს! და ამას კლუბებს შორის ისტორიული შეთანხმებით ხსნის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ლიბერტადორესის თასი

# ფავორიტების დღე: ბოკამ ბარსელონა დაამარცხა

**I ჯგუფი. II ტური.**

**ბარსელონა-ბოკა 1:2**

**გოლები:** 0:1 ხ. მარტინესი (59), 0:2 კ. პერესი (63), 1:2 მ. აროიო (90-პენ).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნასიონალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 2. ტოლუკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 3. ბოკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ბარსელონა | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

**IV ჯგუფი. III ტური.**

**დეპ. იკიკე-ემელეკი 2:0**

**გოლები:** 1:0 ერეროსი (15), 2:0 ვილიალობოსი (22).

**გაძევება:** ახილიერი (79. ემელეკი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| 2. პენიაროლი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 3. დეპ. იკიკე | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 4. ემელეკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |

**V ჯგუფი. II ტური.**

**კორინთიანსი-მილიონარიოსი 2:0**

**გოლები:** 1:0 გერერო (10), 2:0 პატო (49).

**გაძევება:** ხაროლ მარტინესი (77. მილიონარიოსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტიხუანა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. კორინთიანსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. სან ხოსე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 4. მილიონარიოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**VIII ჯგუფი. III ტური.**

**უაჩიპატო-ფლუმინენსე 1:2**

**გოლები:** 1:0 ბ. როდრიგესი (45), 1:1 ველინგტონ ნემი (67), 1:2 ვაგნერი (76).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 2. გრემიო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. კარაკასი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. უაჩიპატო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |

**ბომბარდირები:** 3 – ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო); 2 – ივან ალონსო (ნასიონალი), ჟო (ატლეტიკო მინეირო), ე. ბენიტესი (ტოლუკა), ხ. ოლივერა (პენიაროლი), ა. პენია (კარაკასი), ვ. სანჩესი (ნასიონალი), უბილია (უნივერსიდად დე ჩილე), გერერო (კორინთიანსი), ბ. როდრიგესი (უაჩიპატო), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე).

ლიბერტადორესის თასზე მორიგი 4 შეხვედრა გაიმართა და ოთხივეში იმ გუნდმა იმარჯვა, ვინც თავიდანვე ფავორიტად მოჩანდა.

პირველ ჯგუფში, რომელსაც ბევრი ე.წ. „სიკვდილის ჯგუფად" მოიხსენიებს, „ბოკა ხუნიორსი" ეკვადორში ჩავიდა და გუაიაკილის „ბარსელონას" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოუგო. აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, რომ გუაიაკილი ზღვის დონიდან მხოლოდ 4 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, შესაბამისად, ეს ქალაქი ეკვადორის იმ იშვიათ ქალაქებს შორისაა, სადაც სტუმარ გუნდს თამაში გაიშვიათებული ჰაერის გამო არ უჭირს.

**კარლოს ბიანკის** გუნდს პირველი თამაში წაგებული ჰქონდა, შესაბამისად, ეკვადორში დამარცხება „ბოკასთვის" დამღუპველი იქნებოდა. სტუმართა წარმატებაში უდიდესი წვლილი მცველებმა შეიტანეს. 59-ე წუთზე გოლი, „კორინთიანსიდან" გადმოსულმა **ხუან მანუელ მარტინესმა** გაიტანა, რომელსაც საგოლე პასი ცენტრალურმა მცველმა **გილერმო ბურდისომ** გაუკეთა, რამდენიმე წუთში კი თავი გუნდის მეორე ახალწვეულმა და დაცვის ცენტრში ბურდისოს პარტნიორმა, **კლაუდიო პერესმა** გამოიჩინა.

ამ გამარჯვებით „ბოკამ" ლიბერტადორესის თასზე 4-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, „ბარსელონა" კი აშკარად ცუდ ფორმაშია – ეკვადორელებს უკვე 7 თამაშია არ მოუგიათ, მათ შორის გუნდმა ბოლო 5-დან 4 წააგო.

„კორინთიანსმა" „მილიონარიოსს" უმასპინძლა და კოლუმბიის 14-გზის ჩემპიონს იოლად მოუგო. ანგარიში მე-10 წუთზე **ხოსე პაოლო გერერომ** გახსნა, რომელმაც „კორინთიანსის" რიგებში ჩატარებულ ბოლო 18 შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა. საერთაშორისო ტურნირებზე (მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი და ლიბერტადორესის თასი) გერერომ 4 შეხვედრაში ითამაშა და თავი ოთხივეში გამოიჩინა (სულ 4 გოლი).

მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა **ალეშანდრე პატომ** გაზარდა და „კორინთიანსმა" 2:0 მოიგო. შეგახსენებთ, რომ შარშან **ტიტეს** გუნდმა ლიბერტადორესის თასზე ისე იმარჯვა, რომ ერთი თამაშიც არ წაუგია, ასე რომ, ამ ტურნირზე „ტიმაოს" წაუგებელი სერია უკვე 16 მატჩია გრძელდება.

მოიგო „ფლუმინენსემაც", ვინც გასვლაზე ჩილეს ჩემპიონი „უაჩიპატო" დაამარცხა. „კორინთიანსისგან" განსხვავებით, „ფლუს" გაუჭირდა და პირველი ტაიმი წააგო კიდევაც – 45-ე წუთზე მასპინძელთა ურუგვაელმა ფორვარდმა **ბრიან როდრიგესმა** ანგარიში გახსნა და სტუმრები მძიმე მდგომარეობაში ჩაყარა.

მეორე ტაიმმა „ფლუმინენსეს" უპირატესობით ჩაიარა. **ფრედს** ამჯერად გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ, 67-ე წუთზე მან საგოლე პასი გააკეთა და **ველინგტონ ნემს** ანგარიში გაათანაბრებინა. გამარჯვების გოლი კი ცვლილებაზე შემოსულმა **ვაგნერმა** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ 28 წლის ნახევარმცველს მოედანზე წუთზე ნაკლები ჰქონდა გატარებული.



პაოლო გერერო (9) შესანიშნავ ფორმაშია

კიდევ ერთ შეხვედრაში ჩილეს მეორე გუნდმა, „დეპორტეს იკიკემ" ეკვადორის „ემელეკს" მოუგო და პირველი ქულები მოიპოვა. საინტერესოა, რომ „ემელეკმა" სამ ტურში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ისიც „ველესის" საუკეთესო ბომბარდირის, **ფაკუნდო ფერეირას** ავტოგოლი იყო.

**ტატო ბაციკაძე**

**გერმანია**

**ბუნდესლიგა. XXIV ტურის წინ**

**1 მარტი**

**აინტრახტი-გლადბახი 23:30**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 23 | 19 | 3 | 1 | 63-8 | 60 |
| 2. დორტმუნდი | 23 | 12 | 7 | 4 | 51-27 | 43 |
| 3. ლევერკუზენი | 23 | 12 | 6 | 5 | 43-30 | 42 |
| *4. აინტრახტი* | *23* | *11* | *5* | *7* | *38-34* | *38* |
| 5. ფრაიბურგი | 23 | 9 | 8 | 6 | 29-22 | 35 |
| 6. ჰამბურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 28-32 | 34 |
| 7. ჰანოვერი | 23 | 10 | 3 | 10 | 46-42 | 33 |
| 8. მაინცი | 23 | 9 | 6 | 8 | 31-28 | 33 |
| 9. შალკე | 23 | 9 | 6 | 8 | 37-38 | 33 |
| *10. გლადბახი* | *23* | *7* | *10* | *6* | *32-34* | *31* |
| 11. შტუტგარტი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-40 | 29 |
| 12. ვერდერი | 23 | 8 | 4 | 11 | 39-47 | 28 |
| 13. ფორტუნა | 23 | 7 | 6 | 10 | 28-31 | 27 |
| 14. ნიურნბერგი | 23 | 6 | 9 | 8 | 23-30 | 27 |
| 15. ვოლფსბურგი | 23 | 7 | 6 | 10 | 23-33 | 27 |
| 16. აუგსბურგი | 23 | 3 | 9 | 11 | 20-36 | 18 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 23 | 4 | 4 | 15 | 27-48 | 16 |
| 18. ფიურტი | 23 | 2 | 7 | 14 | 13-36 | 13 |

**ბომბარდირები:** 15 – კისლინგი (ლევერკუზენი), მანჯუკიჩი (ბაიერნი); 14 – ლევანდოვსკი (დორტმუნდი).

● საფრანგეთის თასი. 1/8 ფინალი

# ზედიზედ ორი პარიზული კლასიკა

**ლორიანი-ბრესტი 3:0**

**გოლები:** 1:0 ეკულე მანგა (64), 2:0 ალიადიერი (70), 3:0 ალიადიერი (90).

**რაონ ლეტაპი-ბორდო 2:2 პენ. 3:5**

**გოლები:** 0:1 ობრანიაკი (58), 1:1 ჯე (64), 2:1 ა კეიტა (98), 2:2 დიაბატე (113-პენ).

**ვენისიო-ნანსი 0:2 დ.დ.**

**გოლები:** 0:1 მუკანჯო (107), 0:2 აიასე (120).

**პსჟ-მარსელი 2:0**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (35), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (64-პენ).

„სენტ ეტიენი"-„ლილის" მსგავსად (ამაზე გუშინდელ ნომერში დავწერეთ), „პარი სენ ჟერმენი" და „მარსელი" ერთმანეთს სამივე ტურნირზე შეხვდნენ, ოღონდ ამ გუნდებმა უკვე 4 მატჩი გამართეს და ამ შეხვედრებში პსჟ-ს უპირატესობა აშკარად გამოკვეთილი იყო. ჩემპიონატის პირველ წრის მატჩის ფრედ (2:2) დასრულების შემდეგ, პარიზელებმა პროვანსელებს სამჯერ უმასპინძლეს და სამივე შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით (2:0) იმარჯვეს: 31 ოქტომბერს ლიგის თასზე, 24 თებერვალს ჩემპიონატში და 27 თებერვალს თასზე.

სათასო მატჩის გმირი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა და „პარი სენ ჟერმენი" 1/4 ფინალში გაიყვანა. შვედმა საკადრისი პასუხი გასცა **ჯოი ბარტონს**, რომელმაც იბრასთან ერთ-ერთი შეჯახების შემდეგ, ამ უკანასკნელს ცხვირის სიგრძეზე მიუთითა და ასე დასცინა. იბრამ ბარტონს სიტყვიერად იქვე უპასუხა, მეორე ტაიმში კი პენალტიც გაიტანა და საკუთარ გუნდს დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა.

სხვა შეხვედრებს რაც შეეხება: სამივე მატჩი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა, უბრალოდ „ბორდოს" და „ნანსის" საკმაოდ გაუჭირდათ. ეს განსაკუთრებით ჟირონდელებზე ითქმის – „ბორდომ" მე-4 დივიზიონის „რაონ ლეტაპის" მხოლოდ პენალტების სერიაში სძლია, თანაც **გიომ ჟიოს** გუნდი დამატებით დროში მარცხდებოდა და წაგებას **შეიკ დიაბეტეს** ზუსტად შესრულებული 11-მეტრიანის წყალობით გადაურჩა.

ლიგა 1-ის აუტსაიდერმა „ნანსიმ" კი „მინიეტ ვენისიოს" დამატებით დროში, **მუკანჯოს** და **აიასეს** გოლებით მოუგო. ასე რომ, „სტად ბორდელეის" გავარდნის შემდეგ, თასი „მინიეტ ვენისიომაც" დატოვა.

„ლორიანმა" „ბრესტს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა და განსაკუთრებული პრობლემის გარეშე მოიგო. დუბლი შეასრულა **ჟერემი ალიადიერმა**, რომელიც ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაშია – „არსენალის" ყოფილმა ფეხბურთელმა ბოლო 6 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**




ჯოი ბარტონი იბრაჰიმოვიჩის დიდი ცხვირის გამო დასცინის

გერმანიის თასი. 1/4 ფინალი ოთხშაბათის მატჩები



# ბაიერნმა დორტმუნდი თასზეც ჩამოიცილა

## რეკორდმაისტერი დუბლს უახლოვდება

ბორუსიას კარში ერთადერთი გოლი არიენ რობენმა გაიტანა

ესეც ასე: „ბაიერნმა“ „დორტმუნდთან“ ნეგატიურ სერიას ბოლო მოუღო! შესანიშნავ ფორმაში მყოფმა რეკორდმაისტერმა გერმანიის მოქმედ ჩემპიონს თასის მეოთხედფინალში მინიმალური ანგარიშით მოუგო და ნახევარფინალში გავიდა. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავარიული გრანდი გერმანიის თასის უპირობო ფავორიტია და ამ სეზონში მინიმუმ დუბლის შესრულების საუკეთესო შანსი აქვს. „ბაიერნთან“ ერთად, თასის ნახევარფინალში ოთხშაბათს „შტუტგარტმაც“ გააღწია - შვაბებმა ალექსანდრე იაშვილისა და ნიკოლოზ გელაშვილის „ბოხუმი“ საკმაოდ იოლად დაამარცხეს. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს გერმანიის თასის ნახევარფინალის საგზურები „ვოლფსბურგმაც“ („ოფენბახს“ მოუგო) და „ფრაიბურგმაც“ („მაინცი“ დაამარცხა) მოიპოვეს.

| ბაიერნი–დორტმუნდი | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 რობენი (43)

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი (78. ლუის გუსტავო), კროოსი (94. ბოატენგი), რობენი - მანჯუკიჩი (91. გომესი).

**დორტმუნდი (4-3-2-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - გიუნდოგანი, ს. ბენდერი, გროსკროიტცი (62. ბლაშჩიკოვსკი) - გიოტცე, როისი (81. შიბერი) - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** ხავი მარტინესი, კროოსი, მანჯუკიჩი

**მაყურებელი:** 71 000

| შტუტგარტი–ბოხუმი | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 გენტნერი (18), 2:0 იბიშევიჩი (81)

**შტუტგარტი (4-1-4-1):** ულრაიხი - გ. საკაი, ტასკი, ნიდერმაიერი (51. რიუდიგერი), ბოკა - კვისტი - ჰარნიკი (91. ჰოლცჰოიზერი), გენტნერი, ოკაზაკი (46. მაკედა), ტრაორე - იბიშევიჩი.

**ბოხუმი (4-2-2-2):** ლუთე - როთენბახი, მალტრიტცი, ეიოფსონი, ლუმბი - ზინკევიჩი (68. დელურა), კრამერი - გორეტცკა, ტასაკა (74. იაშვილი) - შაიდჰაუერი (74. გელაშვილი), რჟატკოვსკი.

**გაფრთხილება:** რიუდიგერი - კრამერი, მალტრიტცი

**მაყურებელი:** 20 200

ამ დღეებში საფეხბურთო გერმანია სწორედ „ბაიერნისა“ და „დორტმუნდის“ უმძაფრესი ჯახით ცხოვრობდა, თუმცა თავად გუნდების წარმომადგენლები ერთმანეთს არ უტევდნენ, რადგან ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო რეკორდმაისტერსა და „დორტმუნდს“ შორის უდიდესი ურთიერთპატივისცემაა.

ბუნდესლიგაში „ბაიერნს“ „ბორუსიასთან“ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და ამ ხუთი დაპირისპირებიდან ბავარიული გრანდი ოთხჯერ დამარცხდა. ორივე გუნდის ფეხბურთელებს კარგად ახსოვდათ გერმანიის თასის წინა ფინალიც, რომელშიც „ბორუსიამ“ „ბაიერნი“ 5:2 გაანადგურა. ახლა კი მიუნხენურმა გრანდმა მოახერხა და ამ უაღრესად ნეგატიურ სერიას ბოლო მოუღო. **იუპ ჰაინკესის** გუნდს ამის სურვილი პირველივე წუთებიდან ეტყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს“ **ფრანკ რიბერი** აკლდა, ჰაინკესის ბიჭებმა მაინც მედგრად შეუტიეს. **არიენ რობენს** და **ტონი კროოსს** კარგი მომენტები ჰქონდათ, დორტმუნდელებს კი აშკარად აკლდათ **მატს ჰუმელსი**, რომლის არყოფნა **იურგენ კლოპის** გუნდის დაცვის ხაზს მაგრად დაეტყო. თუმცა „ბორუსია“ ვერც შეტევაში ბრწყინავდა და ამრიგად, გოლი, რომლითაც რობენმა პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გახსნა, აბსოლუტურად დამსახურებული იყო. აქვე ვთქვათ, რომ ეს გოლი დორტმუნდელთა მარცხენა მცველის, **მარსელ შმელცერის** შეცდომას მოჰყვა...

### ჰიონესი: ამ თამაშმა ყველაფერი საბოლოოდ გაარკვია

მეორე ტაიმი დორტმუნდელებმა გაცილებით უკეთ დაიწყეს - **ილქაი გიუნდოგანმა მანუელ ნოიერი** პირველივე წუთებზე შეაწუხა. მართალია, კლოპის გუნდს შეტევაში უკეთესობა დაეტყო, მაგრამ ბავარიელები დაცვაშიც შეუცდომლად თამაშობდნენ და მომენტებსაც ქმნიდნენ. კროოსს და **დანტეს** ორჯერ შეეძლოთ სხვაობის გაზრდა. „ბორუსიას“ მხრიდან კი ანგარიშის გათანაბრება შეცვლაზე შესულ **იულიან შიბერს** შეეძლო. ამრიგად, თასის მფლობელი ტურნირს გამოეთიშა და ახლა გერმანიის თასის უპირობო ფავორიტი სწორედ „ბაიერნია“.

*„ამ გამარჯვებით ჩვენ საბოლოოდ დავბრუნდით გერმანული საკლუბო ფეხბურთის სათავეში. ამ თამაშის შემდეგ უკვე ყველაფერი გარკვეულია - „ბაიერნი“ გერმანიაში საუკეთესოა! აღსანიშნავია, რომ „დორტმუნდმა“ თავისი სიძლიერით ჩვენც სხვა განზომილებაში გადაგვიყვანა,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა**.

*„პირველ ტაიმში ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო, მიუნხენელებმა კი თავიანთი მომენტი გამოიყენეს. გოლის გატანა ჩვენც შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. „ბაიერნი“ გერმანიაში დღეს პირველია, მაგრამ ეს პირველობა 100 წელიწადი ნამდვილად არ გაგრძელდება,“* - ეს კი დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელის, იურგენ კლოპის სიტყვებია. მან მოგვიანებით უფრო საინტერესო კომენტარი გააკეთა - თქვა, აშკარაა, რომ **გომესი** და რობენი რეკორდმაისტერის სათადარიგოთა სკამზე ჯდომას დიდხანს ველარ აიტანენ, ეჭვი მეპარება, რომ ამაზე გაისადაც თანახმა იყვნენო...

### შტუტგარტს ბოხუმთან არ გაუჭირდა

შტუტგარტში სრულყოფილი საფეხბურთო საღამო არ შედგა, რადგან „ბოხუმთან“ მატჩს, რომელშიც **ბრუნო ლაბადიას** გუნდი აშკარა ფავორიტი იყო, მხოლოდ 20 200 მაყურებელი დაესწრო, რაც იმას ნიშნავს, რომ სტადიონი სანახევროდ ცარიელი გახლდათ. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ „შტუტგარტს“ ზედმეტად სუსტი მეტოქე ჰყავდა - ქვედალიგელი „ბოხუმი“, რომელთანაც შვაბებს აუცილებლად უნდა მოეგოთ და ეს მოახერხეს კიდეც.

*„სეზონის მეორე ნახევარი არასახარბიელოდ დავიწყეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, გერმანიის თასის ნახევარფინალში გავედით და არ დაგავიწყდეთ, რომ ევროპალიგის მერვედფინალშიც ვართ,“* - თქვა მატჩის შემდეგ შვაბთა თავკაცმა **ბრუნო ლაბადიამ**.

გერმანიის თასის ნახევარფინალის წილისყრა კვირას შედგება, მატჩები კი 16 და 17 აპრილს გაიმართება.





„ბოხუმის“ ქართველი ფეხბურთელები ალექსანდრე იაშვილი (მარცხენა ფოტოზე) და ნიკოლოზ გელაშვილი „შტუტგარტთან“ მატჩის (0:2) საფინალო სასტვენის შემდეგ

დორტმუნდი

### ცორკმა დაადასტურა: ლევანდოვსკი მიდის!

### როდის და სად?

### ამ კითხვას რობერტი მალე უპასუხებს

„ბაიერნთან“ მატჩის წინ, „დორტმუნდის“ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** „ბორუსიასთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 24 წლის გოლეადორი გერმანიის მოქმედ ჩემპიონს ან მომავალ ზაფხულს დატოვებს, ანაც გაისად, ოღონდ უფასოდ.

ფეხბურთელის მრჩეველმა **ჩეზარი კუხარსკიმ** შედარებით ადრე თქვა, ჩემს კლიენტს კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვსო და როგორც ხედავთ, გამართლდა მოლოდინი იმის შესახებ, რომ რობერტი „ბორუსიადან“ აიბარგებოდა. ახლა გასარკვევია, როდის წავა ლევანდოვსკი და მართლა „ბაიერნში“ გადავა, თუ არა.

„ბილდის“ ინფორმაციით, რეკორდმაისტერი ლევანდოვსკის სანაცვლოდ ფულის გადახდას არ აპირებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიელებს პოლონელის ხელში ჩაგდება უფასოდ უნდათ, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რობერტი „დორტმუნდში“ კიდევ ერთ სეზონს გაატარებს და რეკორდმაისტერში გაისად გადავა.



რობერტ ლევანდოვსკი

ამბები

### კირიაკოსი განაცხადში

გერმანიის თასის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ „ვოლფსბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **დიტერ ჰეკინგმა** განაცხადა, რომ ახლა მისი მიზანი ბუნდესლიგაში მოგებაა. *„მე-15 ადგილით ძალიან უკმაყოფილო ვარ. „შალკესთან“ მოსაგებად ვიბრძოლებთ, რადგან ბუნდესლიგაში სიტუაცია უნდა გამოვასწოროთ,“* - აღნიშნა დიტერმა და „მგლების“ ფანებს სენსაციური ამბავი ამცნო: გელზენკირხენულ კლუბთან მატჩის განაცხადში ჰეკინგი დიდი ხნის დავიწყებულ ვეტერან ბერძენ მცველს, **სოტირიოს კირიაკოსს** შეიყვანს. ჰეკინგის თქმით, 33 წლის კირიაკოსი ბოლო დროს უდიდესი მონდომებით ვარჯიშობდა და განაცხადში მოხვედრაც ამიტომ დაიმსახურა.

### ჰუმელსი ჰანოვერთანაც საეჭვოა

„დორტმუნდს“ „ბაიერნთან“ სათასო მატჩში დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი** გრიპის გამო დააკლდა. გუშინ გაირკვა, რომ ჰუმელსის თამაში ბუნდესლიგის მომდევნო ტურშიც (შაბათს, „ჰანოვერთან“) საეჭვოა. „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპის** თქმით, ჰუმელსის საკითხი სავარაუდოდ ხვალ, უშუალოდ მატჩის წინ გადაწყდება.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი-არსენალი

# სანტი კასორლა: კვირის მატჩი დერბიზე მეტია


სანტი კასორლა ტოტენჰემთან დიდი ლონდონური დერბისთვის მზად არის

მსოფლიოში ალბათ არც ერთ სხვა ქალაქს არ ჰყავს იმდენი საფეხბურთო კლუბი, რამდენიც ლონდონს. ბრიტანეთის დედაქალაქში რეგისტრირებულია 42 პროფესიული თუ არაპროფესიული სტატუსის მქონე საფეხბურთო ორგანიზაცია. მათ შორის ორი დერბი ყველასგან გამორჩეულია. ლაპარაკია „ვესტ ჰემი"-"მილუოლისა" და „ტოტენჰემი"-"არსენალის" დაპირისპირებებზე. მათ შორის განსაკუთრებული მტრობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ პირველი წყვილი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს, მეორე - ჩრდილოეთს.

კვირას, 3 მარტს, „უაით ჰარტ ლეინზე" დიდი მატჩია. მესამეადგილოსანი „ტოტენჰემი" ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის მებრძოლ „არსენალს" მასპინძლობს. ცხრილში გუნდებს ერთმანეთს 9 ქულა აშორებს. ცხადია, ეს გარემოება „მეთოფეებისთვის" დამატებითი მოტივატორია. „დეზებს" კი ის აცოფებთ, რომ „მოსისხლე მტერთან" ბოლო ორი დაპირისპირება ერთნაირი ანგარიშით 2:5 წააგო. შეხვედრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ხაზის გასმა ფეხბურთელებს არ სჭირდებათ. განსაკუთრებით ეს **სანტი კასორლას** ეხება, ვინც გულშემატკივარმა პირველ წრეში „ტოტენჰემთან" ეფექტური თამაშის შემდეგ საბოლოოდ მიიღო თავისიანად და შეიყვარა. აი, რას ამბობს 28 წლის ესპანელი პლეიმეიკერი: „კვირას გამარჯვება წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი იქნება და მხოლოდ იმიტომ არა, რომ ჩრდილოლონდონური დერბია. 3 ქულას განსაკუთრებულ ფასს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა სძენს. ჩვენი მიზანია, ოთხეულში მოხვედრა და შესაბამისად, იქიდან რომელიმე კონკურენტის გამოდევნა. ფეხბურთელებს ეს ყველაფერი მშვენივრად გვესმის და იმედი მაქვს, ამოცანას წარმატებით გავართმევთ თავს. ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დიდებული თამაში გაიმართება. პირველ წრეში თავად ვიგრძენი დერბის განსაკუთრებულობა. მანამ მსგავსი რამ არასოდეს განმეცადა. იყო ამ ყველაფრის ნაწილი, ეს ფანტასტიკური გრძნობაა. ნოემბერში ადებაიორის გაძევებამ ამოცანა ძალიან გაგვიადვილა, რადგან მეტოქეს შეტევაში წასვლის საშუალება აღარ ჰქონდა. კარგად მახსოვს, რამდენად ბედნიერები იყვნენ თამაშის დასრულების შემდეგ გულშემატკივრები. იმედია, ისინი ანალოგიურ განწყობაზე იქნებიან კვირასაც".

**ლევან ბიბილაშვილი**

მილანი

# ელ შაარავის ახალი კონტრაქტი



გუშინ "მილანმა" 20 წლის თავდამსხმელ **სტეფან ელ შაარავის** ახალი გაუმჯობესებული ხელშეკრულება 2018 წლის ზაფხულამდე გაუფორმა. მართალია, მხარეები გარიგების ფინანსურ დეტალებზე არ საუბრობენ, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტების ვარაუდით ფეხბურთელის ხელფასი, მინიმუმ, უნდა გაორმაგებულიყო.

**ლევან ბიბილაშვილი**

ტრანსფერი

# სპაჰიჩი რუსეთში დაბრუნდა, ჩორი ესპანეთში დარჩა

**ემირ სპაჰიჩი** სეზონის ბოლომდე „ანჟიში" ითამაშებს. „სევილიამ", სადაც 32 წლის ფეხბურთელი 2011 წელს „მონპელიედან" გადავიდა, ბოსნიელი დაღესტნურ კლუბში იჯარით გაუშვა.

სპაჰიჩი რუსეთში უკვე თამაშობდა. 2004-2009 წლებში ბოსნიელი „შინიკის", მოსკოვის „ტორპედოს" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ღირსებას იცავდა. ამ უკანასკნელში 2007 წელს რუსეთის თასიც მოიგო, 2009 წელს კი „მონპელიეში" გადავიდა.

სპაჰიჩისგან განსხვავებით, რუსეთში არ დაბრუნდება **ალეხანდრო „ჩორი" დომინგესი**, რომელსაც ყაზანის „რუბინი" ეპატიჟებოდა. 31 წლის არგენტინელი, რომელიც წელს „რაიო ვალეკანოს" ერთ-ერთი ლიდერია, რუსეთის პრემიერლიგას კარგად იცნობს - "ჩორიმ" იქ 6 წელი გაატარა (4 „რუბინში", 2 „ზენიტში"). 2007 წელს დომინგესმა „რუბინთან" ერთად რუსეთის ჩემპიონატი მოიგო, რასაც „ზენიტში" ტრანსფერი მოჰყვა, სადაც არგენტინელი კიდევ ერთხელ გახდა ჩემპიონი (2009 წელს), გარდა ამისა უეფას თასი (2008 წელს) და უეფას სუპერთასი (2008 წელს) მოიგო. საჩემპიონო სეზონში, დომინგესი რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

„რუბინში" მისი დაბრუნება თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში რუსებმა ვეტერანში 3 მილიონი ევროს გადახდა არ მოისურვეს და ტრანსფერი ჩაიშალა.

**ტატო ბაციკაძე**



ემირ სპაჰიჩი

# ბარსელონა

## თებერვლის ჩავარდნა თუ ეპოქის დასასრული





თავისუფალი დარტყმა

**ტატო ბაციკაძე**

ფეხბურთის მოყვარულებს ყველა საკითხზე საკუთარი მოსაზრება გააჩნიათ, ზოგი მცდარი, ზოგიც მართებული, თუმცა მოსაზრება სუბიექტური ცნებაა და თუ ვინმესთვის მცდარია, შესაძლოა სხვისთვის მართებული იყოს. ფეხბურთის გულშემატკივარი მოწოდებით მწვრთნელია, ტაქტიკოსია, ფსიქოლოგია... მასზე უკეთ ფეხბურთში ვერავინ ერკვევა და მხოლოდ მან იცის, როგორ უშველოს გაჭირვებაში ჩავარდნილ საყვარელ გუნდს...

მეც ერთ-ერთი ასეთი ქომაგი ვარ, უბრალოდ გამიმართლა და ფეხბურთზე საუბარსა თუ საკუთარი მოსაზრების გამოთქმაში ფულს მიხდიან.

ამ რუბრიკაში, პერიოდულად სხვადასხვა საკითზე ვისაუბრებ. ჩემს მოსაზრებებს ზოგიერთი თქვენგანი დაეთანხმება, ზოგი კი - არა. ფეხბურთის ერთ-ერთი ხიბლიც ეს არის – არ არსებობს საკითხი, რომელზეც ყველა თანხმდება და მატჩის შემდეგ კარგ და ობიექტურ კამათს თვითონ საფეხბურთო შეხვედრაზე დიდი სიამოვნების მოტანაც შეუძლია...

რუბრიკის პირველ თემად ავირჩიე საკითხი, რომელიც ჩემთვის (როგორც „ბარსელონას" გულშემატკივრისთვის) ყველაზე აქტუალურია: „ბარსელონას" ბოლო პერიოდის ჩავარდნა. გუნდი ხომ ფაქტობრივად უმწვრთნელოდ თამაშობს...

ბევრისგან მომისმენია მოსაზრება, რომ „ბარსელონას" ისეთი ფეხბურთლები ჰყავს, მას მწვრთნელი არც სჭირდება, ან „მე რომ „ბარსას" მწვრთნელი ვიყო, გვარდიოლაზე ნაკლები შედეგი არ მექნებოდა". „მილანთან" და მადრიდის „რეალთან" ჩატარებულმა ბოლო ორმა შეხვედრამ აჩვენა, რომ საქმე მთლად ასეც არ არის და მწვრთნელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც საქმე კატალონიური კლუბს ეხებოდეს.

**ჟორდი როურა** „ბარსელონაში" ტყუილად არ მოხვედრილა და **ტიტო ვილანოვას** ასისტენტიც უბრალოდ ისე არ გამხდარა, მაგრამ ის მთავარი მწვრთნელის როლზე არ გამოდგება. როურა სამი წლის განმავლობაში **ხოსეპ გვარდიოლას** სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო და ანალიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. ანუ, ის ანალიტიკოსია, დამკვირვებელია, მაგრამ ჯერ არ არის მწვრთნელი და შესაძლოა ვერც ვერასდროს გახდეს...

ტური გახდა, „ბარსელონას" თამაში კი კიდევ უფრო უნიათო.

ორივე შეხვედრაში კატალონიელები ბურთს აკონტროლებდნენ, მაგრამ მომენტებს ვერ ქმნიდნენ, რაც მათი ერთფეროვანი თამაშის ბრალი უნდა იყოს. სამწუხაროდ, „ბარსელონას" თამაშში არ მოჩანდა ალტერნატიული გზა, შეტევის განვითარების სხვა ვარიანტები. ფეხბურთელები შეტევას მუდმივად ცენტრიდან ცდილობდნენ, სადაც მეტოქის 6-7 მოთამაშე იყო განლაგებული. ამ დროს შემტევმა გუნდმა ფლანგები უნდა დატვირთოს, იმისთვის, რომ მეტოქის დაცვა „გაწელოს" მაგრამ „ბარსას" მიწინააღმდეგებმა იციან, რომ კატალონიელების „არსენალში" ფლანგური ჩაწოდება ერთ-ერთი ყველაზე სუსტი იარაღია, რადგან გუნდს არა მარტო მაღალი ან თავით კარგად მოთამაშე თავდამსხმელი, ცენტრფორვარდი საერთოდ არ ჰყავს. მიუხედავად ამისა, ფლანგების დატვირთვა მაინც კარგი იდეაა, რადგან მოწინააღმდეგის განაპირა მცველები ცენტრში მაინც ვერ დარჩებიან, იძულების წესით ფლანგისკენ გადავლენ და დაცვის ცენტრალურ ზონაში მეტი სივრცე გაჩნდება.

ასეთი დავალება საკუთარ ფეხბურთელებს მწვრთნელმა უნდა მისცეს,

> ჟორდი როურა ანალიტიკოსია, დამკვირვებელია, მაგრამ ჯერ არ არის მწვრთნელი და შესაძლოა ვერც ვერასდროს გახდეს...

„ბარსელონა", „მილანთან" და „რეალთან" სათამაშოდ ერთნაირი 11-ეულით გამოვიდა. კარში: **ვალდესი**; დაცვაში: **დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა**; ნახევარცვაში: **ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი**; და შეტევაში: **პედრო, მესი, ინიესტა.**

გუნდს ორივე მატჩში უჭირდა, მესის ბევრი არაფერი გამოსდიოდა, ერთადერთი ნათელი წერტილი ინიესტა იყო, რომელიც „რეალთან" შეხვედრაში ბოლოსკენ ჩაქრა. და რა შეცვალა როურამ? ორივე მატჩში ფაბრეგასის ნაცვლად შემოუშვა ფორვარდი („მილანთან" **სანჩესი**, „რეალთან" **ვილიას**), ინიესტა ფლანგიდან ცენტრში გადაწია, სადაც ანდრესი კიდევ უფრო ნაკლებად ეფექ-

რადგან ფეხბურთელი, ტაქტიკურად როგორი განათლებულიც უნდა იყოს, ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ჟორდი როურამ კი გააკეთა ის, რაც იცის: გაიყვანა ნახევარმცველი და შემოუშვა ფორვარდი, გუნდის თამაშში კი რეალურად არაფერი შეცვლილა. საგულისხმოა ისიც, რომ ორივე შეხვედრაში ეს ცვლილებები დაახლოებით ერთ დროს (60-62-ე წუთზე) განხორციელდა, რაც პირადად მე მიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ასეთი სახის შეცვლა მატჩამდე იყო დაგეგმილი და მოვლენების სხვანაირად განვითარების შემთხვევაშიც განხორციელდებოდა.

„ბარსელონას" მოთამაშეები ისეთი ფეხბურთის თამაშს ცდილობდნენ, რაც იციან, რაც წლების განმავლობაში აქვთ ნასწავლი და რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებთ, მაგრამ ამ ორ შეხვედრაში სიამოვნების გარდა, „ბარსელონას" ფეხბურთელებმა და ქომაგებმა ყველანაირი ემოცია გამოსცადეს.

კატალონიური გუნდის სათამაშო სტილს პატარა ბავშვიც იცნობს. საკმარისია მეტოქეს ტაქტიკურად განსწავლული ფეხბურთელები და ჭკვიანი მწვრთნელი ჰყავდეს, რომ „ბარსას" პრობლემები ექმნება. **მასიმილიანო ალეგრიმ** და **ჟოზე მოურინიომ** „ბარსა" ძალიან მარტივი, უკვე არაერთგზის აპრობირებული ტაქტიკით დაამარცხეს, კატალონიურმა გუნდმა კი მათ გუნდებს სიახლე ვერ შესთავაზა.

„მილანთან" უიმედოდ წაგების მიუხედავად, „ბარსას" გულშემატკივრები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილი და მიაჩნიათ, რომ „ნოუ კამპზე" ყველაფერი სხვანაირად იქნება. ვნახოთ, შესაძლოა, ასეც იყოს. მთავარია, რომ მწვრთნელის მნიშვნელობაზე „ბარსელონაშიც" დაფიქრდნენ და „მილანთან" საპასუხო მატჩის წინ, გუნდში ტიტო ვილანოვას დაბრუნება სურთ.

აქვე არ დავივიწყოთ ე.წ. „თებერვლის ჩავარდნა", რომელიც გვარდიოლას „ბარსელონასაც" ახასიათებდა და როგორც ჩანს, ვილანოვას გუნდსაც არ ასცდა, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ასეთი სახის ჩავარდნა, როგორც წესი, სეზონის წინა მოსამზადებელი ეტაპით უნდა იყოს განპირობებული (ტიტოს მიერ გუნდის მომზადების სტილი, პეპის სტილისგან დიდად განსხვავებული არ უნდა იყოს). თუ არ იცით, რაზეა საუბარი, მაშინ ბოლო წლებში, „ბარსას" მიერ თებერვალში დაფიქსირებულ შედეგებს გადახედეთ...

ასეა თუ ისე, ვილანოვას დაბრუნება და „თებერვლის ჩავარდნა" არის ორი მთავარი მიზეზი, რის გამოც „ბარსელონას" ქომაგები ჯერ კიდევ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. რა თქმა უნდა, ამ „ბარსელონას" ყველას დამარცხება შეუძლია, მაგრამ ამისთვის გაცილებით უკეთ თამაში და მთავარი მწვრთნელის სათადარიგო სკამზე ყოფნაა საჭირო.

12 მარტი ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია. ამ დღეს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალის საგზური არ თამაშდება – ამ დღეს გაირკვევა, რასთან გვაქვს საქმე: დროებით ჩავარდნასთან თუ მთელი ეპოქის დასრულებასთან...

ქართული სპორტი

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი

# უშედეგო და უფინალო პროგრესი

ოდენსეში, ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში იმართება, გუშინ გოგონების ტურნირში ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** იასპარეზა და 372 ქულით 50 მონაწილეს შორის მე-17 ადგილზე გავიდა. ამდენივე დააგროვეს ლატვიელმა **აგატა რასმანემ**, ბულგარელმა **ლიდია მენჩევამ** და ესპანელმა **ირენე სალგადომ**, თუმცა მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობეს ჩვენებურს. კილაძემ ცუდი სტარტი აიღო - სულ რაღაც 89 ქულა პირველ სერიაში! მომდევნოებშიც რამდენჯერმე უმტყუნა სამიზნემ, თუმცა ამაზე ბევრად მეტი დააგროვა - 94-94 და 95.

იმის მიუხედავად, რომ კილაძე ამ შედეგით ვერც ფინალში შევიდა და მით უფრო, ვერც მედალი მოიპოვა, გარკვეული ფაქტორების გამო ეს გამოსვლა მაინც დამაიმედებლად მიგვაჩნია. მთავარი, რის გამოც ამას წარუმატებლობად არ ვუთვლით, მისი ასაკია - ჯერ



ლიზი კილაძე

მხოლოდ 13 წლისაა და 6-7 წლით უფროსებთან უწევს პაექრობა. თან აშკარად აკლია საერთაშორისო შეჯიბრებების გამოცდილება. მეორე მიზეზი ისაა, რომ იანვარში, მიუნხენის საერთაშორისო ტურნირზე ნაჩვენები შედეგი მთელი 10 ქულით გააუმჯობესა, ოღონდ სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ იმის შემდეგ ერევანში 374 დააგროვა. თუმცა თუ მის გამოსვლებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ შემოდგომიდან მოყოლებული, საკმაოდ გაისწორა სამიზნე. მაგალითად, ნოემბერში თბილისში ქველიაშვილის თასზე 359 ქულა დააგროვა, ამას მიუნხენური გამოსვლა მოჰყვა, თებერვალში კი აგერ, უკვე მეორედ გადააბიჯა 370-იან მიჯნას, ანუ უახლოვდება იმ ზღვარს, რომლითაც უფროსებშიც კი ექნება ფინალურ ოქტეტში მოხვედრის შანსი. სასიხარულოა, რომ მის კარიერაში ასეთი პროგრესია. ახლაც დანიაში ფინალურ ოქტეტში მოსახვედრად განა ბევრი დააკლდა, სულ ორად ორი ქულა! დროთა განმავლობაში, როცა გამოცდილებაც მოემატება და ოსტატობაც, გვჯერა, შედეგებსაც მოუმატებს, თუმცა გუნდურ ტურნირებში ახლანდელითაც დიდ სამსახურს გაუწევს ნაკრების ლიდერ **ნინო სალუქვაძეს**. აქვე კიდევ ერთხელ სინანულით უნდა გავიხსენოთ კილაძის თანაქალაქელი **ნინო ფანჩულიძე**, რომლის საუკეთესო მაჩვენებელიც 377 ქულაა, მაგრამ გაუმართავმა საკანონმდებლო ბაზამ სტუდენტად გახდომის შემდეგ, პრაქტიკულად, ჩამოაშორა დიდ სპორტს.

დანიაში ევროპის ჩემპიონატში დღეს უკვე უფროსები ჩაებმებიან - ჯერ მხოლოდ ქალები - იასპარეზებს მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ხვალ კი ვაჟებში **ლევან ქადაგიძე** გამოვა.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა. ევროპის პირველობა



ხათუნა ნარიმანიძე

# გუნდურის იმედად

პოლონურ პრზესცოვში, მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატში გუშინ პლეი ოფები გაიმართა პირად პირველობაში და გაირკვნენ მედლებისთვის მებრძოლი წყვილები. სამწუხაროდ, მათ შორის ქართველები არ არიან.

ქალთა ტურნირში ჩვენგან ყველაზე უკეთ **ხათუნა ნარიმანიძე** გამოვიდა, რომელიც მეოთხედფინალში დამარცხდა. მან პირველ წრეში ჰოლანდიელ **ანემარიე დერ კინდერენს** 7:1 აჯობა. ჩვენებურმა მასთან დამაჯერებლად მოიგო სამი სეტი, დამატებითი სერია კი იმიტომ დასჭირდა, რომ მოულოდნელად, ფრედ დაასრულა მეორე პერიოდი. მთლიანობაში, მისი უპირატესობა საეჭვო არ იყო და ლოგიკურ დასასრულამდეც მიიყვანა შეხვედრა, თუმცა მეორე წრეში კენტად დარჩა, რადგან ორივე მისი თანაგუნდელი პირველივე რაუნდში დამარცხდა - **ასმათ დიასამიძემ** ევროპის ფრანგ ჩემპიონ **ბერენჟერე შუსთან** 0:6 წააგო, ლანა ვერულიძემ კი ასეთივე ანგარიშით დათმო რუსთა მომავალ ფინალისტ **ნატალია ერდენიევასთან**. ორივე მეტოქე ძლიერია, მაგრამ ჩვენებურთა ასეთი უპირობო მარცხი მაინც საწყენია.

პლეი ოფის მეორე წრეში ნარიმანიძე სწორედ შუს გადაეყარა და ფრიად დაძაბულ, დრამატულსა და ლამის თრილერად ქცეულ ორთაბრძოლაში დამატებითი გასროლით აჯობა, თუმცა გამარჯვებულის ვინაობა იქაც დამატებითმა მაჩვენებელმა გადაწყვიტა, თორემ შედეგი ერთნაირი იყო.

ამ სუპერდაძაბული პაექრობის პირველი სეტი ფრედ დასრულდა -30:30; მეორე კი ჩვენებურმა ერთი ქულით დათმო - 29:30. სამაგიეროდ, მესამეში მოიპოვა დიდი უპირატესობა და ფრანგი კოლოსალური სხვაობით დაამარცხა - 30:19. ამით სეტებშიც გათანაბრდა ანგარიში - 3:3. მომდევნო ორი პერიოდი კვლავაც ფრედ დასრულდა - 30:30 და 27:27. დაინიშნა დამატებითი გასროლა, რომელიც ორივემ 10-იანში გაარტყა, მაგრამ ნარიმანიძის ნატყორცნი ისარი წრის შუაგულთან უფრო ახლოს მოხვდა და გამარჯვებაც მას დარჩა. სავარაუდოდ, ასეთმა დრამატულმა შეხვედრამ ჩვენებურს ბევრი ენერგიაც წაართვა და მომდევნო პაექრობა მეოთხედფინალში იტალიელ **კლაუდია მანდიასთან** 3:7 დათმო. იტალიას ძლიერი გუნდი კი ჰყავს, ანუ იქ სუსტი მშვილდოსანი ვერ მოხვდება, მაგრამ მანდია აქამდე მათ გუნდში არასოდეს გვიხილავს. მან ამჯერად **ჯესიკა ტომასი** შეცვალა, თუმცა ჩვენებური მაინც უფრო ძლიერი სპორტსმენი გვგონია.

ნარიმანიძემ იტალიელთანაც მედგრად იომა - პირველი სეტი 28:29 დათმო, მაგრამ მეორეში იმავე ანგარიშით აჯობა და სეტებში თანაფარდობა მყისვე აღადგინა - 1:1. მესამეში ისევ მანდიამ იმარჯვა და ისევ მინიმალური სხვაობით - 30:29. ნარიმანიძეს ამჯერადაც უმალ შეეძლო საერთო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მეოთხე პერიოდში სულ ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე - 29:29. წარმატების შანსი მაინც რჩებოდა, თუ მეხუთე სეტს მოიგებდა, მაგრამ ამ რთული ამოცანის გადაჭრა ვერ შეძლო - 28:30 დათმო და შეხვედრაც წააგო.

ვაჟებში პლეი ოფში მხოლოდ ორი მონაწილე გვყავდა, რომლებიც პირველივე წრეში დამარცხდნენ. ოღონდ საკვალიფიკაციოში ჩვენგან საუკეთესო **არჩილ ფარსენაძემ** თუ კაპიტულაცია გამოაცხადა რუს **ბაირ ცუბეკდორზიევთან** - 0:6, **ლევან ჩიტიშვილმა** მცირე ომი მაინც გაუმართა უკრაინელ **ჰევორჰი ივანიცკის** - 3:7 წააგო. ცოტა უცნაურია, მაგრამ აქ პირველი სამი სეტი ფრედ დასრულდა, მომდევნო ორში კი მეტოქემ იმარჯვა, თუმცა მხოლოდ თითოქულიანი უპირატესობით.

ქალთა შორის ხვალ ფინალში ერდენიევა და იტალიელი მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონი პირადსა და გუნდურში **ნატალია ვალეევა** იასპარეზებენ. ნახევარფინალში ორივემ თანაგუნდელს აჯობა - რუსმა **ანა ბომბოევას** 7:3 მოუგო, იტალიელთა მოლდოველმა რძალმა კი ზემოხსენებულ მანდიას 6:2 სძლია. ნახევარფინალში წაგებულები ასევე ხვალ ბრინჯაოს მედლისთვის ერთმანეთს შეერკინებიან.

ვაჟებში ფინალურ პაექრობაში შესარჩევის მომგები ფრანგი **იან-კარლეს ვალადონტი** ჰოლანდიელ **რიკ ვან დერ ვენს** გაეჯიბრება. ბრინჯაოსთვის ერთმანეთს კიდევ ერთი ჰოლანდიელი - **სჯეფ ვან დერ ბერგი** და იტალიელი **მატეო ფისორე** გაეჯიბრებიან. ეს ორთაბრძოლებიც ხვალ ჩატარდება, დღეს კი გუნდური პირველობები გაიმართება. ჩვენი ქალები მეოთხედფინალის საგზურისთვის რუმინელებს გაეჯიბრებიან და მათი ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ, ვაჟები კი იმავე ეტაპზე ავსტრიელთა დამარცხებას შეეცდებიან.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ვარშავის ტურნირი

# ჟორჟოლიანი ძიუდოში ბრუნდება

გამოცხადდა საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 2-3 მარტს ვარშავაში „ევროპის ღია თასზე“ იჭიდავებს.

წინასწარვე გეტყვით, რომ იქ **ლომერ ჟორჟოლიანიც** (100) გამოვა, მის გარდა კი **პაატა მერებაშვილი, ვაჟა მარგველაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე - 73), **ლევან ნიკლაური, პაატა ღვინიაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი** (სამივე - 81), **ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ტაველური** (ორივე - 90) და **დავით ლორიაშვილი** (100) იასპარეზებენ.

თავიდან ვარშავაში ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილის** (66) ჭიდაობაც იგეგმებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან წინა კვირას ოპერაციის შემდეგ თავის პირველ ტურნირზე დიუსელდორფში ნორმალურად იასპარეზა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** ამჯერად მისი შემოწმება საჭიროდ აღარ მიიჩნია. მწვრთნელმა არც მძიმეში წაიყვანა ვინმე.

რაც შეეხება ჟორჟოლიანის დაბრუნებას, ის ჯერ კიდევ საცდელ პროცესშია - რამდენად აუღებს ალღოს ახალ წესებს. მისი მომავალიც ამის შემდეგ განისაზღვრება, მაგრამ თუ საბოლოოდ დაუბრუნდება ტატამს, მაშინ, სავარაუდოდ, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, რადგან ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქევხიშვილი,** როცა მას ამ პოსტს სთავაზობდა, იმასაც ამბობდა, რომ დათანხმების შემთხვევაში ჭიდაობის მიტოვება მოუწევდა და ორივეს ვერ შეითავსებდა.

**ირაკლი თავაძე**



ლომერ ჟორჟოლიანი

რეგიონი. ჭიდაობა



ბექა მაკარიძე

# მეოთხედ უმასპინძლა

მეოთხე წელიწადია თერჯოლა ტრადიციულად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო თასის მფლობელის, ევროპის ბრინჯაოს პრიზიორისა და სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილის **მირიან გიორგაძის** სახელობის ტურნირს (ჭაბუკთა შორის) მასპინძლობს. წლევანდელ შეჯიბრებაში საქართველოს 24 ქალაქისა და რაიონის ჭაბუკმა ფალავნებმა იასპარეზეს. შეჯიბრებას თერჯოლის სპორტის სასახლის დირექტორი **რამინ რობაქიძე** ხელმძღვანელობდა. ორთაბრძოლები 14 წონით კატეგორიაში ჩატარდა. განსაკუთრებით თავი ხულოელმა და ქუთაისელმა მოჭიდავეებმა გამოიჩინეს, რომლებმაც 33 ოქროს მედალი მოიპოვეს. მირიან გიორგაძის მიერ დაწესებული თავისივე სახელობის თასი 85 კგ-ში გამარჯვებულ თერჯოლელ ფალავანს **ბექა მაკარიძეს** გადაეცა. სხვათა შორის, მაკარიძემ ეს პრიზი გასულ წელსაც დაიმსახურა.

გაგაცნობთ ტურნირში გამარჯვებულებს: **23კგ.** გიორგი სირაძე (ამბროლაური), **26კგ.** გიორგი თოხაძე (ოზურგეთი), **29კგ.** გურამ აბრამიშვილი (გარდაბანი), **32კგ.** მერაბ ხოზრევანიძე (ხულო), **35კგ.** ოთარ აბულაძე (ხულო), **38კგ.** ნიკა შანავა (თბილისი), **42კგ.** ლერი აბულაძე (ხულო), **47კგ.** გიორგი წულუკიძე (ბათუმი), **53კგ.** თორნიკე ჯანელიძე (ქუთაისი), **59კგ.** დავით ბაკურაძე (ოზურგეთი), **66კგ.** თემურ ჭკუასელიძე (ბორჯომი), **73კგ.** დავით კელენჯერიძე (ქუთაისი), **85კგ.** ბექა მაკარიძე (თერჯოლა), **100კგ.** ოთარ ლოლაძე (ქუთაისი)

**დავით კოხრეიძე**

თვის [illegible]

**თებერვალი**

**2. რაგბი.** ერთა თასის I ტურის მატჩში საქართველომ სტუმრად დაამარცხა ბელგია - 17:13.

**2. კალათბურთი.** თურქულ „გალათასარაიში“ დებიუტი ჰქონდა **მანუჩარ მარკოიშვილს.**

**2-3. ძიუდო.** თბილისში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი - ევროპის თასი. პირველობა ქართველებიდან წილად ხვდა **ადამ ოქრუაშვილს** (100+ კგ), ვერცხლის მედალი მოიპოვა **ლაშა გურულმა** (100), ბრინჯაოს მედლები მოიგეს: **ამირან პაპინაშვილმა, პაატა მერებაშვილმა** (60), **ტრისტან ფეიქრიშვილმა** (66), **ლაშა ტაველურმა** (90), **დავით ლორიაშვილმა** (100), **გიორგი ზაქარიაძემ** (100+).

**6. ფეხბურთი.** ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 2:1 დაამარცხა ალბანეთის ნაკრები.

**9. რაგბი.** ერთა თასის II ტურში საქართველოს ნაკრებმა 25:12 მოუგო პორტუგალიას.

**9-10. ძიუდო.** პარიზის ტურნირზე **ვალერი ლიპარტელიანმა** (90 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა, ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81) - ვერცხლი, ამირან პაპინაშვილმა (60) - ბრინჯაო.

**16. ფეხბურთი.** ვარშავის „ლეგიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება **ლადო დვალიშვილმა.**

**23. რაგბი.** ერთა თასის მატჩში, საქართველოს ნაკრებმა სოჭში დაამარცხა რუსეთის ნაკრები - 23:9

**23-24. ძიუდო.** დიუსელდორფის გრან-პრიზე ქართველებმა 2 ოქროს (**ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81 კგ) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90), 2 ვერცხლის (**ლევან ნიკლაური** (81), **ადამ ოქრუაშვილი** (100+) და **3 ბრინჯაოს** (**ამირან პაპინაშვილი** (60), **ზვიად ქარდავა** (66) და **ზვიად გოგოჭური** (90) მედალი მოიპოვეს.

**23-24. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** უნგრულ სომბათჰეიში, ოქროს გრან-პრიზე ქართულმა დელეგაციამ 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო (გუნდური პირველი ადგილი) მოიპოვა. გრან-პრის გამარჯვებული გახდა **მიხეილ ქაჯაია** (96 კგ).

**27. სამბო.** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **გივი ნადარეიშვილი** (52 კგ), **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57), **პაატა მერებაშვილი** (62), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **პაატა ღვინიაშვილი** (90), **ლაშა გურული** (100) და **ონისე ბულაძე** (100+).

**27. წყალბურთი.** „ლიგამუსმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩში უნგრულ „ეგერთან“ 4:12 წააგო და ტურნირი მოუგებლად დაასრულა.

მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# გიწვევთ!

**25 წლამდე ახალგაზრდა სპორტულ ჟურნალისტთა გამოვლენისა და მათთან შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, „ლელო“ 2013 წლის მარტიდან, ყოველი თვის პირველ პარასკევს, 17 საათზე ჩაატარებს მსურველებთან შეხვედრა-გასაუბრებას. შერჩეულები ამავე გაზეთში გაივლიან სტაჟირებას და ჩაერთვებიან ჟურნალისტურ საქმიანობაში. სასურველია, მსურველებმა წარმოადგინონ თავიანთი პროექტი ან კონკრეტული რუბრიკა.**

**მისამართი: იოსებიძის 49; „პალიტრამედია“.**

**„ლელოს“ რედაქცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ

ევროპის წყალბურთელ ვაჟთა 21 კლუბი მონაწილეობდა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. 27 თებერვალს ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩები გაიმართა და საბოლოოდ გაირკვა ის 16 გუნდი, რომლებიც მერვედფინალში ითამაშებენ.

**A ჯგუფის** ბოლო ტურის პაექრობების შედეგები გაცნობეთ, ამიტომ დღეს მხოლოდ გუნდების საბოლოო მდგომარეობას შეგახსენებთ (თითოეული ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 4-4 გუნდი გავიდა).

**„ვულიაგმენი“** (საბერძნეთი) - 24 (128:55), **„სპარტაკი“** (ვოლგოგრადი) - 24 (108:65), **„ეგერი“** (უნგრეთი) - 24 (131:64), **„შუურმანი“** (ჰოლანდია) - 12 (65:108), „ვასპო-98“ (გერმანია) - 4 (44:109), „ლიგამუსი-თბილისი“ - 1 (58:133).

**B ჯგუფი.** „დუბროვნიკი“ (ხორვატია) - „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) 10:5, „კრეუცლინგენი“ (შვეიცარია) - „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 8:33.

**„დუბროვნიკი“** - 24 (129:40), **„ოლიმპიაკოსი“** - 15 (105:64), **„ცრვენა ზვეზდა“** - 15 (106:73), **„მონპელიე“** (საფრანგეთი) - 6 (65:100), „კრეუცლინგენი“ - 0 (58:186).

**C ჯგუფი.** აქ ბოლო ტურის პრინციპული შეხვედრა ნოვი სადის „ვოივოდინამ“ შინ იტალიის „ბრეშასთან“ 7:9 დათმო და მერვედფინალს მიღმა აღმოჩნდა.

„სინთეზი“ (ყაზანი) - ბარსელონეტა“ (ესპანეთი) 8:7.

**„ბარსელონეტა“** - 18 (74:51), **„სინთეზი“** - 13 (75:70), **„ბრეშა“** - 12 (72:71), **„მარსელი“** (საფრანგეთი) - 9 (72:84), „ვოივოდინა“ - 7 (58:75).

**D ჯგუფი.** „შპანდაუ-04“ (გერმანია) - „ბეტონი“ (უნგრეთი) 7:11), „გალათასარაი“ (თურქეთი) - „პარტიზანი“ (ბელგრადი) 9:7.

**„ბეტონი“** - 21 (81:56), **„პარტიზანი“** - 16 (66:51), **„გალათასარაი“** - 13 (61:60), **„ორადეა“** (რუმინეთი) - 6 (69:85), „შპანდაუ-04“ - 3 (60:85).

**ვაჟა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ



ნანა ძაგნიძე

# ᲤᲘᲓᲔᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲗ

გუშინ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ პირველი მარტისთვის გამოაქვეყნა მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ტრადიციული ყოველთვიური რეიტინგები, რომლებშიც თებერვლის მონაცემებით გარკვეული ცვლილებები მოხდა, თუმცა ქალთა საუკეთესო ათეულს 2696 პუნქტით უწინდებურად იუდით პოლგარი უდგას სათავეში. მეორე ადგილზეა მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2617), მომდევნო ადგილებზე მოდიან: ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2597), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2585), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2565), **ნანა ძაგნიძე** (2554), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2547), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2537), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2531), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2530).

ძაგნიძის გარდა, ქართველთაგან პირველ ასეულში, ასევე, არიან: 18. **ბელა ხოტენაშვილი** (2499), 31. **ლელა ჯავახიშვილი** (2464), 42. **ნინო ხურციძე** (2437), 53. **სოფიკო გურამიშვილი** (2421), 54. **სალომე მელია** (2419), 68. **ნინო ბაციაშვილი** (2394), 69. **ნაზი პაიკიძე** (2392), 74. **სოფიკო ხუხაშვილი** (2386).

ვაჟებში ისევ მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) ლიდერობს და ისევ სარეკორდო რეიტინგით - 2872. 62 პუნქტით ნაკლები აქვს მეორე ადგილზე მყოფ ვლადიმირ კრამნიკს (რუსეთი). 2809 პუნქტით მესამეზეა ლევონ არონიანი (სომხეთი). ათეულში მომდევნო შვიდ ადგილს თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2786), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2784), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2767), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2766) და ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2764) იკავებენ. ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა** 2702 პუნქტით 48-ე ადგილზეა. ჩვენებურთაგან ვაჟთა ასეულში სხვა არავინაა.

20-წლიან გოგონებში სამი ქართველი გოგონაა: 4. **ნაზი პაიკიძე** (2392), 7. **მერი არაბიძე** (2355), 26. **მარიამ დანელია** (2252). ვაჟებში მხოლოდ **ზურაბ ჯავახაძეა** (2448) - 81-ე.

**ვაჟა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

## ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐ

კაპელ-ლა-გრანდში (საფრანგეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე მე-6 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. ჩვენებურთაგან **დავით არუთინიანი** შავი ფიგურებით კენი სოლომონს დაუზავდა და 4 ქულას მოუყარა თავი, **დავით ჯოჯუას** კი, რომელმაც ალან თეითს მოუგო, 3,5 ქულა აქვს.

ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით ერთბაშად 10 მოჭადრავე მეწინავეობს. მე-7 ტურში არუთინიანი ტატიანა კოსტიუკს შეხვდება, ჯოჯუა კი კრისტიან კიფერთან გაარკვევს ურთიერთობას.

## ᲐᲖᲐᲚᲐᲫᲔ ᲛᲔᲝᲠᲔᲐ, ᲑᲔᲜᲘᲫᲔ – ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ოთხი ქართველი საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა ირანში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ხორასანმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 5 ქვეყნის 175 წარმომადგენელი მონაწილეობდა. გუშინ ბოლო მე-11 ტურის შეხვედრები გაიმართა. ლიდერთა ჯგუფში მყოფმა **შოთა აზალაძემ** შავი ფიგურებით მასპინძელი მეჰდი მაჰდავირადი დაამარცხა, **დავით ბენიძემ** ვირგინიუს გრაბლიუსკასს (ლიტვა) აჯობა, **ბაჩანა მორჩიაშვილმა** კი მაგჰამი გაემთან (ირანი) დათმო პარტია. მეწინავეთა დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ომიდ ნოროოზი (ირანი) - მორტეზა მაჰჯობი (ირანი) 1:0, ამირეზა პურამეზანალი (ირანი) - მორტეზა დარბანი (ირანი) 1:0, ჰომეინ ტუფიგი (ირანი) - მორტეზა ასვარი (ირანი) 0:1.

თერთმეტი შესაძლებლიდან 10,5 (!) ქულით პირველი ადგილი ომიდ ნოროზიმ დაიკავა, რომელმაც რეიტინგი (2374) ერთბაშად 63,5 პუნქტით გაიმდიდრა. გამარჯვებულს 2-2 ქულით ხუთი მოჭადრაკე ჩამორჩა, მათ შორის - აზალაძე და ბენიძე, რომლებსაც, შესაბამისად, მეორე და მეოთხე ადგილები ერგოთ, მესამე ადგილი მაგჰამი გაემმა დაიკავა. მორჩიაშვილი 7,5 ქულით მე-19 იყო, ხოლო აკაკი შალამბერიძე, რომელსაც გუშინ სუხეი ასნაშარისთან (ირანი) გამოუცხადებლობის გამო წაგება ჩაეთვალა, 6,5 ქულით 44-ე ადგილს დასჯერდა.

**ვაჟა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**



შოთა აზალაძე

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ. ᲰᲝᲙᲔᲘ

# ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ

ჰოკეისტებმა წლევანდელი სეზონი ოზურგეთის სპორტის სასახლეში გახსნეს, სადაც ინდორ (დარბაზის) ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები გაიმართა.

მიმდინარე გათამაშებაში ოთხი გუნდი: „ქუთაისი, „ლანჩხუთი“, „აბაშა“ და „აჭარა“ მონაწილეობს. პირველი წრის მატჩებში რამდენიმე მოულოდნელობა დაფიქსირდა. მეორე ტურის მატჩში „აბაშამ“ მასზე უფრო გამოცდილ „ლანჩხუთს“ დაძაბულ ბრძოლაში 4:3 აჯობა, ლანჩხუთელებმა ხასიათი მათი მთავარი კონკურენტის, საქართველოს მოქმედი ჩემპიონის „ქუთაისის“ დამარცხებით გამოიკეთეს. ქუთათურებს „აბაშა“ და „აჭარა“ დამარცხებული ჰყავდათ და გურულებთანაც ფავორიტად ითვლებოდნენ, მაგრამ საწყის წუთებში გაშვებული ბურთი ველარ გაქვითეს და ლიდერობა „ლანჩხუთს“ დაუთმეს, თავად კი პირველ წრეში მეორე ადგილს დასჯერდნენ.

**შედეგები:** აბაშა-ქუთაისი 1:3, აჭარა-ლანჩხუთი 2:5, აბაშა-ლანჩხუთი 4:3, ქუთაისი-აჭარა 4:0, აჭარა-აბაშა 2:0, ქუთაისი-ლანჩხუთი 0:1;

**პიპრევლი წრის სატურნირო მდგომარეობა:** 1. ლანჩხუთი - 6ქ. 2. ქუთაისი - 6, 3. აბაშა - 3, 4. აჭარა - 3.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ**

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ



მერაბ რატიშვილი (მარცხნივ) და ბესიკ ლიპარტელიანი

# ᲔᲡᲔᲪ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ: 11 ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ 25 ᲓᲦᲔᲨᲘ

## ᲑᲠᲐᲣᲜᲛᲐ ᲔᲡᲐᲝ, ᲘᲡᲐᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲝ!

სპორტის სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა მასმედიას 2013 წლის ევრობასკეტისთვის ნაკრების მზადების გეგმა გააცნეს.

*ვიდრე უშუალოდ შეხვედრაზე გადავიდოდეთ, ერთ საყურადღებო საკითხს გავუსვამთ ხაზს: საქართველოს ნაკრებს ერთ ციკლში 11 ამხანაგური თამაში აქამდე არ ჩაუტარებია. 90-იან წლებში სერიოზულ მეტოქეებს ვინ ჩივის, შეკრებებიც ვერ ეწყობოდა, 2004 წლიდან ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდა - საერთაშორისო შეჯიბრებებზე ევროგრანდები გვიწვევენ. წლეულს კი მატჩების სარეკორდო რაოდენობა დაიგეგმა. თან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: ჩვენი ნაკრები ავსტრიის ნაცვლად სლოვენიაში (სწორედ ამ ქვეყანაში დაიწყება ევროპის ჩემპიონატი 4 სექტემბერს) დაბანაკდება და იქიდან ივლის იტალიურ თუ ფრანგულ ტურნირებზე. გუნდისთვის სასარგებლო უნდა იყოს ისიც, რომ ერთ საკონტროლო მატჩს სწორედ იმ დარბაზში გამართავს, რომელიც ევრობასკეტზე ჩვენი ჯგუფის მატჩებს უმასპინძლებს - „ცელიე არენა“.*

- აქამდე ავსტრიულ ქალაქ შტაინბურნში გავდიოდით შეკრებებს. იქიდან მივემგზავრებოდით ტურნირებზე. ამჯერად გადავწყვიტეთ გუნდი უშუალოდ იქ მოემზადოს, სადაც ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. საამისოდ შევარჩიეთ სლოვენიის ქალაქი პოდჩეტრტეკი. ეს გუნდს ადაპტაციაში დაეხმარება, - აღნიშნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა**, რომელმაც შეკრების დასკვნით ნაწილზე ლაპარაკისას დასძინა: - ბოლო ამხანაგურ შეხვედრას კაუნასში ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ 1 სექტემბერს ჩავატარებთ, მეორე დღეს კი იმავე ლიტვის ეროვნულ გუნდთან ერთად სლოვენიაში ჩარტერული რეისით გავფრინდებით.

*კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** ხაზი გაუსვა, რომ მოსამზადებელი გეგმა წინა წელთან შედარებით ადრე გამოქვეყნდა.*

- მოკლე დროში ასეთი მეტოქეების მოძიება იოლი არ იყო, თუმცა მთავარი მწვრთნელის, **იგორ კოკოშკოვისგან** გვქონდა მითითება, რაც შეიძლება მეტი მატჩი დაგვეგეგმა. მწვრთნელს სურს, რომ გუნდმა მოსამზადებელ ციკლშიც ისეთივე ინტენსიურობით იმუშაოს, როგორიც უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის დროს იქნება. მოგეხსენებათ, სლოვენიაში 6 დღეში ხუთი თამაშის ჩატარება მოგვიწევს. მოსამზადებელ ეტაპთან დაკავშირებით, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული ყველაფერი გავაკეთეთ. გაცნობის მიზნით გეგმა საქართველოს ნაკრების წევრებსაც დაეგზავნათ.

*იტალიის საერთაშორისო ტურნირზე დავუპირისპირდებით ევრობასკეტზე ჩვენს პირველ მეტოქე პოლონეთს. ჩნდება კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია პოლონეთთან ამხანაგურადაც თამაში? **ბესიკ ლიპარტელიანმა** გვიპასუხა:*

- როცა ერთი ქვეყანა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გეპატიჟება, იმის გამო, რომ იქ შენი მომავალი მეტოქე დაგხვდება, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარს ვერ იტყვი.

*მერაბ რატიშვილმა განაგრძო:*

- აქამდე ყოველთვის ვცდილობდით მომავალ მოწინააღმდეგეებთან ამხანაგურად არ გვეთამაშა, თუმცა ეს მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია. მაგალითად, სლოვენია და პოლონეთი (ჩვენთან ერთად C ჯგუფში არიან) საკონტროლო მატჩებს ურთიერთშეხვედრით გახსნიან. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტექნოლოგიები საკმარისად განვითარდა და როგორც ჩვენ არ გვიჭირს, ვთქვათ, პოლონეთის თამაშების ამსახველი დისკების მოპოვება, ასევე - პოლონეთს. ფაჩულიას გორტატისგან, ან ლამპეს მარკოიშვილისგან რა აქვს დასამალი? ყველა ერთმანეთს ზედმიწევნით იცნობს.

*დაისვა კითხვა სანაკრებოდ ნატურალიზებულ ამერიკელთან დაკავშირებით. კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა თქვა, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობსო. რაც იმას ნიშნავს, რომ დიდია ალბათობა 2013 წელს ნაკრებში **ჯეიკობ პულენი** აღარ ვიხილოთ. ბატონმა ბესომ ისეთი გვარები ჩამოთვალა, გაჩნდა იმედი, რომ წლეულს ნაკრებში გამოცდილ, მაღალი დონის ამერიკელს ვიხილავთ.*

- მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით „ეფესის“ უკანახაზელ **ჯორდან ფარმართან** და მონტეპასკელ **ბობი ბრაუნთან.** სამწუხაროდ, ორივესგან უარი მივიღეთ. როგორც გვითხრეს, რთული სეზონის შემდეგ დასვენება სჭირდებათ და ამ ეტაპზე სანაკრებო მატჩებში მონაწილეობა არ სურთ. ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ.

*ერთ-ერთი კითხვა ნაკრების შემადგენლობას შეეხო. საინტერესოა, უნდა ველოდეთ გუნდში **ნიკა ცქიტიშვილისა** და **ლაშა გამყრელიძის** დაბრუნებას და როდის გამოქვეყნდება კანდიდატთა სია?*

- ამ საკითხზე იგორ კოკოშკოვთან ვისაუბრეთ. არ არის გამორიცხული, თორმეტკაციან შემადგენლობაში ცვლილებები განხორციელდეს და შესაძლოა, სია შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო გაფართოვდეს. იგორ კოკოშკოვი სამწვრთნელო შტაბთან ერთად ნაკრების შემადგენლობას სავარაუდოდ აპრილში დაასახელებს.

*საკითხავია, რა მიზნებს დაუსახავს კალათბურთის ფედერაცია ეროვნულ გუნდს 2013 წლის ევრობასკეტზე?*

- 2011 წელთან შედარებით ჯგუფიდან გასვლა რთული იქნება. პოლონეთიც იმაზე ძლიერია, ვიდრე 2010 წელს ვნახეთ, ჩეხეთსაც კარგი გუნდი ჰყავს. ესპანეთსა და სლოვენიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მასპინძელმა სლოვენიელებმა სათამაშოდ ქალაქი ცელიე შემთხვევით როდი შეარჩიეს - კარგად მოეხსენებათ, ამ ქალაქში როგორი გულშემატკივრობა იციან.

*ხორვატიის შესახებ მერაბ რატიშვილმა თქვა:*

- ფაქტობრივად ორი მასპინძლის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. ხორვატია სლოვენიის მოსაზღვრე ქვეყანაა და ცელიეს ყველაზე მაღალ ნაგებობაზე რომ დავდგეთ, ხორვატიას დავინახავთ. გულშემატკივრობას თავი რომ დავანებოთ, ხორვატებს მეტად კარგი გუნდი ჰყავთ.

**ვაჟა ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

### ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

**8-24 ივლისი.** ვარჯიშები ფიზიკურ მომზადებაში – თბილისი.

**25 ივლისი- 6 აგვისტო.** მოსამზადებელი შეკრება ქ. პოდჩეტრტეკში, სლოვენია.

**7-9 აგვისტო.** საერთაშორისო ტურნირი ქ. ტრენტოში, იტალია. მონაწილეობენ: საქართველო, იტალია, პოლონეთი, ისრაელი.

**10-13 აგვისტო.** მოსამზადებელი შეკრება ქ. პოდჩეტრტეკში (სლოვენია).

**13 აგვისტო.** ამხანაგური მატჩი საქართველო-ბოსნია ქ. ცელიეში, სლოვენია.

**14 აგვისტო.** ამხანაგური მატჩი საქართველო-ბოსნია ქ. იესენიცეში, სლოვენია.

**16-17 აგვისტო.** საერთაშორისო ტურნირი ქ. ანტიბში, საფრანგეთი. მონაწილეობენ: საქართველო, საფრანგეთი, სერბეთი.

**18-22 აგვისტო.** მოსამზადებელი შეკრება თბილისში.

**25-28 აგვისტო.** საერთაშორისო ტურნირი ქ. თელ-ავივში, ისრაელი.

**მონაწილეობენ:** საქართველო, ისრაელი, ლატვია, მეოთხე გუნდი ჯერ უცნობია.

**1 სექტემბერი.** ამხანაგური მატჩი ლიტვა-საქართველო ქ. კაუნასში, ლიტვა.

**2 სექტემბერი.** გამგზავრება სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ NBA-ᲨᲘ

## ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ** ერთმატჩიანი შესვენების შემდეგ (ტრავმა ჰქონდა) „იუტასთან“ მატჩში მიიღო მონაწილეობა და „ატლანტას“ გამარჯვებაში დაეხმარა - 102:91.

ზაზამ 12 წუთში 2-2 ქულა-პასი და 1 მოხსნა მიითვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

● მეტოქეები

# ესპანური რაგბის ჩვენებური გასაჭირი

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მომდევნო მეტოქე ესპანეთის ეროვნული გუნდია, რომელიც სამი ტურის შემდეგ სამი ქულით ბოლო ადგილზეა.

ესპანეთის რაგბის ფედერაცია ტურნირის დაწყების წინ იმედიანი განწყობით იყო და არაერთხელ ხმამაღლა განაცხადა, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურისთვის რეალურად იბრძოლებს. მეტიც, „ესპანელი ლომების" ახალზელანდიელი თავკაცი **ბრაის ბევინი**, რომელიც ამ ქვეყანაში 20 წელიწადზე მეტია მუშაობს, ამბობდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში მოხვედრა თუ გვინდა, ყველა თამაშში მინიმუმ 35 ქულა უნდა დავაგროვოთო.

თუმცა, მიმდინარე ტურნირის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ესპანელები დასახული მიზნისგან ძალიან შორს არიან. მათ სამი თამაშიდან ორი წააგეს და ერთშიც ტურნირის დებიუტანტ ბელგიის ნაკრებთან ფრეს დასჯერდნენ. ყველაზე მეტი, 21 ქულა სწორედ ამ მატჩში დააგროვეს.

ერთი სიტყვით, ესპანელები შარშანდელზე უარესად ასპარეზობენ. ამის მიზეზს ნათელი მოეფინა იქაური რაგბის ფედერაციის პრეზიდენტის, **ხავიერ გონსალეს კანჩოს** მიერ ესპანური „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

გაირკვა, რომ ესპანეთის ფედერაციის ხელმძღვანელებში არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს ეროვნულ ნაკრებში წარმოშობით ესპანელი ფრანგების მიწვევასთან დაკავშირებით. თავად პრეზიდენტი ამ პროცესის მომხრეა და მიაჩნია, რომ ესპანური რაგბი სწორედ ამ ხერხმა შეიძლება იხსნას სტაგნაციისგან.

სხვაგვარად ფიქრობენ მისი მიწინააღმდეგეები, რომლებიც, უმთავრესად, ფრანგული კლუბების თავგასულობაზე აპელირებენ. ისინი ხშირად მოთამაშეებს არ ათავისუფლებენ და ნაკრების მწვრთნელმა თამაშამდე ერთი კვირით ადრე არ იცის, იქნება თუ არა ესა თუ ის მორაგბე მის განკარგულებაში. ეს, ცხადია, დამატებით სირთულეებს ქმნის. სწორედ ეს პრობლემა აწუხებს ამჟამად ესპანეთის ნაკრებს. ფრანგული კლუბების სიჯიუტის გამო ბრაის ბევინმა ბევრ კარგ მორაგბეზე თქვა უარი.

როგორც ჩანს, ეს თემა აქტუალურობას კიდევ დიდხანს არ დაკარგავს. ახლახან ფრანგულ პრესაში გამოქვეყნდა „ტულონის" მულტიმილიონერი პრეზიდენტის **მურად ბურჯელალის** ინტერვიუ, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში მოთამაშე ლეგიონერების თემას მწვავედ შეეხო.

ბურჯელალმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ლეგიონერებისთვის ანაზღაურების გადახდა უწევს იმ პერიოდშიც, როცა ისინი კლუბის განკარგულებაში არ არიან და თავიანთი ეროვნული გუნდებისთვის ირჯებიან.

*„ნეტავ გამაგებინა, რატომ ვხარჯავ ამდენ ფულს ლეგიონერებზე. უკვე მომბეზრდა და დროა ამ პრობლემის მოგვარებაზე ვიზრუნოთ. გასაოცარია, ეს ყველაფერი. ერთი კვირის წინ, „ტულონის" მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ეხვეწებოდა - შერკინების ორი ბურჯიდან ერთი მაინც დამითმეო"* - თქვა მურად ბურჯელალმა ზემოთ ნახსენებ ინტერვიუში.

ეს ორი ბურჯი, რომელსაც ტულონელი მულტიმილიონერი ახსენებს, **დავით ქუბრიაშვილი** და **ლევან ჩილაჩავაა**. ქუბრიაშვილმა რუსეთის ნაკრებთან საქართველოს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ითამაშა და ლელო გაიტანა, ჩილაჩავა კი, როგორც ჩანს, **მილტონ ჰეიგმა** „ტულონს" დაუთმო და იმავე დღეს საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა არ უთამაშია.

ესპანეთის ნაკრებთან მატჩს თუ დავუბრუნდებით, ერთი სიახლე ისიცაა, რომ შეხვედრა 9 მარტს, „მიხეილ მესხის სახელობის" სტადიონზე გაიმართება. არადა, იყო საშიშროება, თამაში „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" გამართულიყო, რომელიც მხოლოდ 2 ათას მაყურებელს იტევს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყველაფერი ილონა და ახალგაზრდული ნაკრების მატჩის ვადა გადასწია. სტადიონი კი, მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს დაუთმო.



### ესპანეთი

გაბრიელ ორტისი (ინდეპენდიენტე), სესარ სემპერე (ელ სალვადორი), პედრო მარტინი, გლენ ლუისი (ორივე-ვალიადოლიდი), ხოსე ბლანკო (ვიგო), ხუან ანაია (ატლეტიკო მადრიდი), მეთიუ კუკი (ლა ვილა), მატიას ტუდელა (ტატამი), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), უნაი ლასა, ხუან მაგუნასელაია (ორივე-გერნიკა), ნიკოლას მარშალი, კორი სიმპსონი, ხუან ტუდელა (სამივე-ორდისია), ხუან გარსია (არასი), ლიონელ პარდო (ბეზიე), ხუან გოია (ბიარიცი), ჯო ჰატჩინსონი, ხაიმე ნავა (ბურგ ან ბრესი), ხესუს რეკუერდა (ლილი), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ტომ პარკერი (ვანი), დავით გურგენიძე (არმია).

# რუმინეთს სიურპრიზს უმზადებენ

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე და უმთავრესი კონკურენტი - რუმინეთის ეროვნული გუნდი, მორიგ ტურში ტურნირის დებიუტანტს, ბელგიის ნაკრებს ბრიუსელში დაუპირისპირდება.

ბელგიელთა თავკაცმა **რიჩარდ მაკინტოკმა** იმ მორაგბეთა სია გააცხადა, რომლებიც „სტეუარის" დაუპირისპირდებიან. „შავი ეშმაკების" განაცხადში ცვლილება არ არის. ფრანგმა სპეციალისტმა ის მოთამაშეები იხმო, რომლებიც გასულ უქმეებზე ლისაბონში პორტუგალიის ნაკრებს შეხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბელგიელებმა დებიუტანტის კვალობაზე შესანიშნავად იასპარეზეს. მათ „ლობუშებს" პირველ ტაიმში მინიმალური სხვაობით 9:8 მოუგეს, თუმცა შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება - 18:12

ბელგიის ეროვნული გუნდი ამჟამად სატურნირო ცხრილში ოთხი ქულით მე-4 ადგილზეა და რუმინეთის ნაკრებთან მატჩში ეცდება თავისი სენსაციური წინსვლის გაგრძელებას.

### ბელგია

ალექსის კუფოლო, რაფაელ ოლივიე, მაქსიმ ჯადოტი, მეტიუ ვერშელდენი, სირილ ნანა, ენდრიუ ნეილი, კორენტინ ლეკლუ, ტომას დემოლდერი, ჟულიენ ბერგერი, კარლოს ფიერო, ტიბო ანდრე, გილემ ბრებანტი, გილემ პირონი, ფრდერიკ რონჟე, ალან ვილიამსი, სეპ დებეკერი, ბასტიან ვერმიულენი, ალენ მირიალაკისი, შარლ ფურნო, ჟულიენ მორელი, მიშელ დემოლდერი, სებასტიან გუნსი, კევინ დამსი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -13 | 5 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | -10 | 4 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 4 |
| 6. ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | -14 | 3 |

### III ტური. 9 მარტი

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი



● შვიდკაცა რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი




# ახალი ზელანდია, კანადა და აშშ მოსკოვში გველოდებიან

მოსკოვში გაიმართა შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა, რომლის მიხედვითაც საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები D ჯგუფში ახალი ზელანდიის, აშშ-ისა და კანადის ნაკრებებთან მოხვდა.

შვიდკაცა რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატი რუსეთის დედაქალაქში 28-30 ივნისს გაიმართება. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა გუნდები:

*„წინა ჩემპიონატების გამოცდილებიდან ვიცი, რომ ძალიან საინტერესო შეჯიბრება გველის, რომელიც უხვად იქნება გაჯერებული სპორტული დაპირისპირებებით, ვნებათაღელვით. დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეგობრული ატმოსფერო იქნება გამეფებული. ეს აუცილებელია, რადგან წინ უმნიშვნელოვანესი ტურნირი გველის - 2016 წლის ოლიმპიური თამაშები რიო დე ჟანეიროში."* - თქვა რაგბის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნარ ლაპასემ**.

მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრის შედეგების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **კახა ალანიას**:

- ვფიქრობ, ნორმალური ჯგუფია. შეიძლებოდა უფრო რთული მეტოქეებიც შეგვხვედროდა ან უფრო სუსტიც. თუმცა ეს მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც იოლად გასავლელი ნაკრებები არ არიან.

ჩვენი ჯგუფის ფავორიტი, ცხადია, ახალი ზელანდიის ნაკრებია. ეს გუნდი მსოფლიოში საუკეთესოა და ამ ტურნირის მოგების უმთავრესი პრეტენდენტი გახლავთ. ახალზელანდიელებთან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში დიდი პატივია და მათთან ბოლომდე უდიდესი შემართებით ვიბრძოლებთ.

აშშ-სა და კანადას შვიდკაცა რაგბიში ძალიან კარგი ნაკრებები ჰყავთ. რაც მსოფლიოს სერიის თამაშებს ვუყურებ, ვხედავ, რომ კანადა ოდნავ უკეთესი გუნდია. ამერიკის ნაკრებთან თამაში გვიჭირს. მათ დიდი ხანია ერთი გუნდი ჰყავთ, რომლითაც ყველაგან ასპარეზობენ. ახლახან რამდენიმე მორაგბითაც გაძლიერდნენ. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ორივე გუნდთან შეგვიძლია მოგება. გააჩნია, ჩვენ რა შემადგენლობას წავიყვანთ მოსკოვში, გვეყოლება თუ არა ეროვნული ნაკრების მოთამაშეები.

**- აქვს თუ არა ჩვენს ნაკრებს ამ გუნდებთან თამაშის გამოცდილება?**

- აშშ-ის ნაკრებს შარშან ვეთამაშეთ და მოგვიგეს. კანადას კი დიდი ხანია არ შევხვედრივართ. მახსოვს, ბოლოს 2002 წელს ამ ნაკრებს კარდიფში დავუპირისპირდით, მაშინ მეც ვთამაშობდი. ათი ქულით ვუგებდით და ბოლო წუთებზე კურიოზულად წავაგეთ. იმ პერიოდში შვიდკაცა რაგბის ნაკრებში ეროვნული გუნდის მორაგბეები თამაშობდნენ.

**- ამჯერად ეროვნული გუნდის მორაგბეებს ვერ დაიმატებთ?**

- ჩვენ გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე, რომლებიც დიდი ხანია შვიდკაცა რაგბის ტურნირებზე ასპარეზობენ. მაგრამ თუ მათ ეროვნული ნაკრების მორაგბეებიც დაემატებიან, მაშინ შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ წარმატებაზე. მოსკოვში, სავარაუდოდ, ეროვნული ნაკრების ის მორაგბეები დაგვემატებიან, რომლებსაც აქამდეც არაერთხელ უთამაშიათ შვიდკაცა რაგბის ნაკრებში.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე თუ გეგმავთ მოსამზადებლად რომელიმე ტურნირში ასპარეზობას?**

- 6 მარტს ზიმბაბვეში მივემგზავრებით საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ. იქ ზე რაგბის გუნდები და აფრიკის ქვეყნების შვიდკაცა რაგბის ნაკრებები ითამაშებენ. მარტის ბოლოს ჰონკონგის შვიდკაცაზე მივემგზავრებით, სადაც შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიის შესარჩევ ტურნირზე ვიასპარეზებთ, ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იაპონიის, ბრაზილიისა და იამაიკის ნაკრებები იქნებიან. იქ თუ ხუთეულში გასვლა მოვახერხეთ, მერე ლონდონში იმავე რანგის ტურნირზე ვითამაშებთ. აქ კი მიზანი სამეულში მოხვედრა იქნება, რათა მერე მსოფლიოს სერიის ყველა ეტაპზე თამაშის უფლება დავიბევოთ. ეს კი ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირისთვის მოსამზადებლად დიდად წაგვადგება.

### მსოფლიოს ჩემპიონატი

### კაცები

**A ჯგუფი:** ავსტრალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ტუნისი.

**B ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია, რუსეთი, იაპონია

**C ჯგუფი:** სამოა, კენია, ზიმბაბვე, ფილიპინები

**D ჯგუფი:** ახალი ზელანდია, აშშ, კანადა, საქართველო

**E ჯგუფი:** ფიჯი, უელსი, ტონგა, ურუგვაი

**F ჯგუფი:** ინგლისი, არგენტინა, პორტუგალია, ჰონკონგი

### ქალები

**A ჯგუფი:** კანადა, ახალი ზელანდია, ჰოლანდია, ტუნისი

**B ჯგუფი:** ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი, ირლანდია

**C ჯგუფი:** აშშ, ესპანეთი, ბრაზილია, ფიჯი

**D ჯგუფი:** ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, იაპონია

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ეჭვი არ მეპარება: დიდ სლემს კიდევ მოვიგებ

**შვეიცარიული ჩოგბურთის ლეგენდა როჯერ ფედერერი, ამჟამად, საამიროების ქალაქ დუბაიში იმყოფება,სადაც ATP-ის მორიგ ტურნირში მონაწილეობს და ამერიკული მასტერსებისთვის ემზადება. გუშინ, როჯერმა ნახევარფინალის საგზური მოიპოვა, მანამდე კი ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და მათთვის პრესკონფერენცია მოაწყო...**


როჯერ ფედერერი

**- ბევრს ეგონა, რომ თქვენს ცხოვრებაში ოჯახისა და ბავშვების გამოჩენა, ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ კარიერის დასრულებას გაიძულებდათ, მაგრამ თქვენ ძველებურად თამაშობთ. თავად ფედერერმა იცის, როდის წავა დასასვენებლად?**

- ახლა, მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ვარ კონცენტრირებული და შორს არ ვიხედები. მინდა საკუთარ თავს მივცე შანსი, რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო, ამიტომაც ხშირია ჩემს სატურნირო გრაფიკში ცვლილებები. ცხადია, მოვა დრო, როცა მივხვდები, რომ წასასვლელი ვარ. მაგრამ ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცხოვრებაში მოვლენები სწრაფად იცვლება და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. გულუბრყვილო ბიჭი არ ვარ და შესანიშნავად მესმის, რომ ვერ ვითამაშებ კიდევ 15 წელს. მაგრამ ამ მომენტში შემიძლია თქვენ წინ ვიჯდე და აბსოლუტურად გულწრფელად გითხრათ: ჯანმრთელი ვარ და შემიძლია ვიბრძოლო "დიდი სლემის" ტიტულისთვისა და პირველი ნომრის სტატუსისთვის.

**- ანუ დარწმუნებული ხართ, რომ შეგიძლიათ "დიდი სლემის" კიდევ ერთი ტიტულის მოგება?**

- ამაში ეჭვი არ მეპარება. რომელი ტურნირი იქნება ეს? რა თქმა უნდა, ყოველთვის ვითვლებოდი უიმბლდონის ფავორიტად. მაგრამ არჩევანის გაკეთება რთულია.

**- შეგიძლიათ "დიდ სლემზე" ტიტულების რაოდენობა ოცამდე აიყვანოთ?**

- ჯერ მეკითხებოდით ერთ ტიტულზე, ახლა გინდათ მათი რიცხვი ოცამდე ავიყვანო (იცინის)?! ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, კიდევ რამდენ ხანს ვითამაშებ და მოვახერხებ თუ არა ტრავმების თავიდან აცილებას. თან ახალი თაობაც გვიტევს, მაგრამ არ მინდა ამაზე ვიყო დამოკიდებული. მნიშვნელოვანია თავად ვითამაშო ისე, რომ გამარჯვების შანსებმა იარსებოს. მე უკვე 30 წელს ვარ გადაცილებული და 20 წლის ბიჭებთან კონკურენცია - გარკვეული გამოწვევაა.

**- მიგაჩნიათ, რომ ჩოგბურთელის ფორმის პიკი დაახლოებით 20-22 წლის ასაკს ემთხვევა?**

- მჯერა, რომ 31 წლის ასაკშიც შესანიშნავად ვთამაშობ. მაგრამ თუ ისტორიას გადავხედავთ, გასაგები ხდება: ჩვეულებრივ, ფორმის პიკი 23-27 წლების პერიოდზე მოდის. თუმცა, რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობენ. და დღეს არიან ჩოგბურთელები, რომლებიც 30 წლის ასაკშიც კორტზე კარგად გამოიყურებიან, მაგალითად, ტომი ჰაასი.

**- ამ სეზონში თქვენ გადაწყვიტეთ ინდიან უელსის მასტერსის შემდეგ არ ითამაშოთ მაიამის სუპერტურნირზე და 6-7-კვირიანი პაუზა აიღოთ. გინდათ უკეთ მოემზადოთ გრუნტის სეზონისთვის?**

- თავიდან რამდენიმეკვირიანი დასვენება მექნება, შემდეგ კი მართლაც ვაპირებ გრუნტზე ვარჯიშის დაწყებას. ადრე მქონდა გარკვეული პრობლემები საწვრთნელი კალენდრის შედგენის მხრივ. გასული წელი, ოლიმპიადის გათვალისწინებით, ძალიან რთული გამოვიდა. ამიტომაც ახლა გრაფიკის შერბილება გადავწყვიტეთ. გავიმეორებ, რომ 22 წლის აღარ ვარ და არ ვაპირებ 25-30 ტურნირის ჩატარებას. თან არ უნდა დავივიწყო ოჯახი, რომელიც დიდ როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში.

**- ასეთი მცირე რაოდენობის ტურნირზე თამაშით შესაძლებელია მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტულისთვის გაბრძოლება?**

- ეს რეალური იქნება იმ შემთხვევაში, თუ კარგად ვითამაშებ. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, შევძლებ თუ არა ასეთ დონეზე თამაშს. ახლა, ჩემი ძირითადი ამოცანა – ყოველი ტურნირისთვის კარგად მომზადებაა. შემდეგი წლის დასაწყისში გავიგებთ, რამდენად გაამართლებს არჩეული ვარიანტი.

**- შესაძლებელია თქვენი თამაშის სტილის შეცვლა ჩოგბურთელთა ახალი თაობის გამოჩენასთან ერთად?**

- ადრე, როცა მატჩების მსვლელობისას რაღაც არ გამომდიოდა, პანიკაში ვვარდებოდი და ბადესთან გავდიოდი. ახლა კორტები უფრო ნელი გახდა, მეტოქეები კი უფრო დამაჯერებლად გრძნობენ თავს უკანა ხაზზე. ამიტომაც, ბევრი ფიქრი გჭირდება, სანამ ბადესთან გახვალ. ყველას უწევს ჩოგბურთის ახალ სტილთან ადაპტირება. ახლა უკვე აღარ არის საკმარისი ერთი კარგი მოწოდება, ბრეიკ-პოინტის მიღება ან მოგერიება... ყველაფერი მუდმივად უნდა აკეთო - მხოლოდ ამის წყალობით მიიღებ მოგების შანსს. გასულ წელს ჩვენ ვნახეთ, რომ „დიდი სლემის" ტურნირებზე ოთხმა სხვადასხვა ჩოგბურთელმა გაიმარჯვა. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო შვიდი თვის განმავლობაში რაფაელ ნადალი არ მონაწილეობდა საჩოგბურთო გარჩევებში, მისი დაბრუნებით იწყება ყველაზე საინტერესო ეტაპი. ვნახოთ, რა იქნება წელს. ნოვაკ ჯოკოვიჩი თავის თავში დარწმუნებულია, ენდი მარეიმ გასულ წელს პირველად მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი. იმედია, რაფა შეძლებს სრულფასოვანი სეზონის ჩატარებას.

**- ნადალი იხილეთ საქმეში დაბრუნების შემდეგ?**

- სიმართლე გითხრათ, არა. მისი ოთხიხუთი გათამაშება ვნახე ერთ-ერთ მატჩში. ამის მიხედვით რაიმე დასკვნის გამოტანა რთულია. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: მიხარია, რომ ის დაბრუნდა.

**- ექიმები ირწმუნებიან, რომ ნადალი ფრთხილად უნდა იყოს სატურნირო დატვირთვების მხრივ.**

- ეს ახალი ამბავი არ არის. სპორტსმენი ფრთხილად უნდა იყოს ნებისმიერი ტრავმის შემდეგ, ამიტომაც არ არის საჭირო ზედიზედ 10 ტურნირზე თამაში. ჩემი აზრით, ის მწყობრში იქნება, თუ ნაკლები რაოდენობის ტურნირზე ითამაშებს. საერთოდ, ყველა მოთამაშემ ყურადღება უნდა მიაქციოს თავის გრაფიკს. ზუსტად უნდა იცოდე, რას გაუძლებს შენი ორგანიზმი.

**- სერენა უილიამსი ორი წლის წინ თავისი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა, ახლა კი ისევ ჩაუდგა სათავეში რეიტინგს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყველაფერია შესაძლებელი?**

- დიახ, ეს ბრწყინვალე მიღწევაა. ის დაბრუნდა მწვერვალზე, თანაც სრულიად დამსახურებულად. ჩემი აზრით, ქალთა ჩოგბურთისთვის მნიშვნელოვანია, რომ დები უილიამსები ძველებურად მწყობრში იყვნენ.

## ასაკი პრობლემა არ არის

როჯერ ფედერერი „დიდი სლემის" ტურნირებზე ყველაზე ასაკოვანი ტრიუმფატორების ათეულში შედის. 2012 წლის უიმბლდონის ფინალში, ბრიტანელი **ენდი მარეის** წინააღმდეგ (4:6, 7:5, 6:3, 6:4), შვეიცარიელის ასაკი 30 წელი და 335 დღე იყო. ამ სიაში პირველია **კენ როზუოლი** - ერთადერთი, ვისაც 35 წლის შემდეგ აქვს მოგებული „დიდი სლემის" ტიტული.

XXI საუკუნეში იყვნენ ისეთი ჩოგბურთელები, რომლებმაც უფრო გვიანდელ ასაკში გაიმარჯვეს, ვიდრე ფედერერმა: **პიტ სამპრასმა** - 31 წლის და **ანდრე აგასიმ** - 32 წლის ასაკში.

| გამარჯვებული | ასაკი | ტურნირი |
|---|---|---|
| კენ როზუოლი (ავსტრა) | 37 წელი 68 დღე | ავსტრალია-1972 (8) |
| ანდრეს ხიმენო (ესპ) | 34 წელი 306 დღე | როლან გაროსი-1972 (1) |
| ანდრე აგასი (აშშ) | 32 წელი 272 დღე | ავსტრალია-2003 (8) |
| არტურ ეში (აშშ) | 31 წელი 326 დღე | უიმბლდონი-1975 (3) |
| ჯონ ნიუკომბი (ავსტრა) | 31 წელი 210 დღე | ავსტრალია-1975 (7) |
| როდ ლეივერი (ავსტრა) | 31 წელი 29 დღე | აშშ-1969 (11) |
| პიტ სამპრასი (აშშ) | 31 წელი 27 დღე | აშშ-2002 (14) |
| როჯერ ფედერერი (შვეიც) | 30 წელი 335 დღე | უიმბლდონი-2012 (17) |
| ჯიმი კონორსი (აშშ) | 30 წელი 304 დღე | აშშ-1983 (8) |
| ანდრეს გომესი (ეკვ) | 30 წელი 103 დღე | როლან გაროსი-1990 (1) |

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია „დიდი სლემის" ტურნირებზე გამარჯვებათა რიცხვი*

# ფავორიტების გასეირნება

საინტერესო ფაზაში შევიდა ATP-ის ტურნირი დუბაიში. გუშინ აქ მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა და ნახევარფინალში გავიდა პირველ ოთხ ნომრად განთესილი ჩოგბურთელი, თანაც, ოთხივემ ძალიან იოლად გაიარა გუშინდელი ბარიერი.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** საათსა და 5 წუთში მხოლოდ სამი გეიმი გაიმეტა იტალიელი **ანდრეას სეპის** წინააღმდეგ - 6:0, 6:3. ჯოკომ ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, თავად კი არც ერთი ბრეიკ-პოინტის შანსი არ მისცა მეტოქეს. გარდა ამისა, სერბმა ექვსი ეისი მოაწოდა და ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ალსანიშნავია, რომ ეს ჩოგბურთელები მეთერთმეტედ შეხვდნენ ერთმანეთს და ნოვაკმა 11:0 გახადა ანგარიში.

■ ■ ■

ჯოკოვიჩის მეტოქე არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და 25 წლის გერმანელი **დანიელ ბრანდსის** შეხვედრაში ირკვეოდა. ეს მატჩი უფრო ნაკლებ დროში (ერთი საათი და 2 წუთი) დასრულდა, მაგრამ არგენტინელს უფრო მეტი გეიმის დათმობამ მოუწია მეტოქისთვის - 6:4, 6:2.

საერთო ჯამში, ორივე ჩოგბურთელი კარგად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე. ბრანდსმა მხოლოდ სამი ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა მეტოქეს, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, სამხრეთამერიკელი ასი პროცენტით იყენებდა ბრეიკ-პოინტებს, გერმანელს კი ასეთი შანსი მთელი მატჩის განმავლობაში არ მისცემია. ალსანიშნავია, რომ არგენტინელმა რვა ეისი ჩააწოდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ ჰქონია.

■ ■ ■

იოლი გასეირნება გამოუვიდა **როჯერ ფედერერსაც**. შვეიცარიელს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ერთ დროს ძლიერმა რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ**. ამ უკანასკნელს, ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია შეხვედრაში, ფედერერმა კი თითო სეტში ორ-ორი ბრეიკი გააკეთა და 6:2, 6:2 გაიმარჯვა.

ტრადიციული მეტოქეების შეხვედრა 54 წუთს გაგრძელდა და ახლა, ფედერერისა და დავიდენკოს ურთიერთშეხვედრებში ანგარიშია - 19:2 შვეიცარიელის სასარგებლოდ.

გუშინ, კიდევ ერთი რუსი გამოეთიშა ტურნირს - **დმიტრი ტურსუნოვმა** თითქმის უშანსოდ წააგო ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან** (3:6, 2:6). სწორედ ეს უკანასკნელი იქნება ნახევარფინალში ფედერერის მეტოქე.

ნახევარფინალები დღეს გაიმართება.

**Tennis Championships**

**დუბაი (საამიროები). ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 2 მილიონი დოლარი

**1/4 ფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 4)**-დანიელ ბრანდი (გერ) 6:4, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 3)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:3, 6:2; როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:2, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:0, 6:3.


ნოვაკ ჯოკოვიჩი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1



ადრიან სუტილი

# ბოლო ვაკანსია სუტილმა შეავსო

## გერმანელი პილოტი ფორს ინდიაში დაბრუნდა

გუშინ, სტარტი აილო წინასასეზონო ტესტების დასკვნითმა სერიამ, მანამდე კი „ფორს ინდიამ“ 2013 წლის სეზონისთვის მეორე პილოტი დაასახელა- **პოლ დი რესტას** მეწყვილე **ადრიან სუტილი** გახდება.

გერმანელი ექვსი წელი მუშაობდა ინდურ გუნდთან. 2012 წელს, ის კონტრაქტის გარეშე დარჩა და პირობითი სასჯელი მიიღო შანხაიში **ერიკ ლუქსთან** ინციდენტის გამო. ბევრს მიაჩნდა, რომ ასეთი სერიოზული სკანდალის შემდეგ, სუტილს გაუჭირდებოდა ფორმულა 1-ში დაბრუნება, მაგრამ ადრიანმა ეს შეძლო.

*„თუ ადრიანი ისეთი სპორტული ფორმით დაბრუნდება გუნდში, როგორსაც 2011 წლის სეზონის მეორე ნახევარში აჩვენებდა, მაშინ „ფორს ინდია“ ახალ სეზონს ისეთივე პოზიციიდან დაიწყებს, რომლითაც გასული წელი დაასრულა“,* - განაცხადა „ფორს ინდიას“ შეფმა **ვიჯეი მალიამ.**

# ბოლო ვარჯიში დაიწყო

## ტესტების პირველი დღე უებერმა მოიგო

წინასასეზონო ტესტების ბოლო სერია ცუდი ამინდით დაიწყო - პირველ დღეს, ბარსელონას ავტოდრომზე პილოტებს სველი ტრასა დახვდათ, რის გამოც, გუნდებს კორექტირებული პროგრამით მოუწიათ მუშაობამ. სანამ მანქანები წვიმის საბურავებით მოძრაობდნენ, ინჟინრებს ბოქსებიდან წყლის გამოდევნა უწევდათ, რადგან ყველგან სათანადო დონეზე არ მუშაობდა სადრენაჟო სისტემა. წვიმა კარგა ხანი გრძელდებოდა და მზემ მხოლოდ სალამოსკენ გამოანათა.

პირველი სესია ორჯერ შეწყდა წითელი დროშებით - დილით, **რომენ გროსჟანმა** ვერ დაიმორჩილა თავისი „ლოტუსი“ მე-12 მოსახვევში, შუადღეზე კი ტრასიდან გადავარდა **ესტებან გუტიერესი.**

ამინდის მიუხედავად, ბევრი პილოტი მუშაობდა წრეების გრძელ სერიებზე, ინჟინრები აფასებდნენ გრძელ დისტანციაზე საბურავის ცვეთის ხარისხს და არჩევდნენ წვიმის საბურავებიდან საშუალედოზე გადასვლის (და პირიქით) ოპტიმალურ მომენტს. მეორე სესიის ბოლოსკენ, როცა ტრასა გაშრა, პილოტებმა „სლიკებზე“ გადასვლა მოახერხეს.

სესიის დასრულებამდე 20 წუთით ადრე, ორგანიზატორებმა მესამედააფრიალეს წითელი დროშები - **ფელიპე მასამ** გააჩერა მანქანა ერთ-ერთ მოსახვევში, თუმცა, იმ დროისთვის, ბრაზილიელს უკვე გავლილი ჰქონდა 112 წრე. ერთი წრით მეტი გაიარა **ლუის ჰემილტონმა** და ეს დღის ყველაზე გრძელი დისტანცია იყო.

ბოლო წუთებზე პილოტები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ არაოფიალური ოქმის პირველ საფეხურზე და საბოლოოდ, დღის საუკეთესო დრო დააფიქსირა „რედ ბულის“ პილოტმა **მარკ უებერმა,** რომელმაც მოკლე წრეების სერია გაიარა Soft-ის საბურავებით.

დღეს, ბარსელონაში ტესტები გაგრძელდება და კატალონიის დედაქალაქში ისევ წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი.

| I დღე | |
|---|---|
| 1. უებერი (Red Bull) | 1:22.693 (90 წრე) |
| 2. ჰემილტონი (Mercedes) | +1,655 (113) |
| 3. ვერნი (Toro Rosso) | +2,324 (59) |
| 4. ბოტასი (Williams) | +3,765 (85) |
| 5. პერესი (McLaren) | +3,845 (100) |
| 6. გუტიერესი (Sauber) | +3,881 (92) |
| 7. დი რესტა (Force India) | +4,414 (57) |
| 8. მასა (Ferrari) | +4,848 (112) |
| 9. ჩილტონი (Marussia) | +5,473 (78) |
| 10. პიკი (Caterham) | +5,951 (83) |
| 11. გროსჟანი (Lotus) | +12,235 (52) |




მარკ უებერი

# ორმაგი ინტერვიუ მაკლარენის ბაზიდან

**ბარსელონაში გამგზავრებამდე, „მაკლარენის“ პილოტები - სერხიო პერესი და ჯენსონ ბატონი უოკინგში გუნდის ბაზას ესტუმრნენ და მომავალი სეზონის შესახებ ჟურნალისტთა რამდენიმე შეკითხვას უპასუხეს...**

**- როგორ მიმდინარეობდა ვარჯიშები ზამთრის არდადეგების დროს?**

**ჯენსონ ბატონი:** ზამთრის დასვენება შესანიშნავი გამოვიდა. ჩემს განკარგულებაში იყო მთელი დეკემბერი იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოვდუნებულიყავი. ვიყავი ჰავაის კუნძულებზე – მზე, ზღვა და ქვიშა! მოსალოდნელი მომქანცველი სეზონის წინ დასვენება და ხარისხიანი ვარჯიში მართლაც ძალიან სასიამოვნო გამოდგა. მაგრამ მაინც კარგია, რომ ჩემპიონატი მალე დაიწყება.

**სერხიო პერესი:** “მაკლარენში” მოსვლის მომენტიდან ჩემი მზადება შესამჩნევად გაუმჯობესდა. ჩვენ ვმუშაობდით ფიზიკურ ფორმაზე და ვფიქრობ, აშკარა პროგრესს მივაღწიეთ. მზად ვართ ახალი სეზონისთვის. რჩება რამდენიმე კვირა, მაგრამ უკვე საუკეთესოდ ვგრძნობ თავს, ვიდრე ოდესმე.

**- როგორ ვითარდებოდა მოვლენები ესპანეთის ტესტებზე?**

**სერხიო პერესი:** ტესტები კარგად მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, სხვა გუნდების მსგავსად, სეზონის ამ სტადიაზე ჩვენც გვქონდა პრობლემები, მაგრამ ვფიქრობ, სწორი მიმართულებით მივდივართ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მუშაობისა და პროგრესის გაგრძელება.

**ჯენსონ ბატონი:** ტესტების მიმდინარეობით კმაყოფილი ვარ – სეზონის დასაწყისი ყოველთვის რთულია, რადგან თქვენ ცდილობთ გამოიცნოთ, რით არიან დაკავებული სხვები. ყოველთვის ვამბობთ, რომ არ გვაღელვებს მეტოქეების საქმიანობა, რადგან საკუთარი ამოცანების შესრულებაზე ვართ კონცენტრირებულნი. ეს მართალია, მაგრამ ყოველთვის გვინდა ვიცოდეთ, რა ფორმაში არიან სხვები.

თუ MP4-28-ზე ვილაპარაკებთ, საკმაოდ კარგი მანქანა გვყავს. რამდენიმე პრობლემა გვქონდა, რამაც ოდნავ უკან დაგვწია, მაგრამ ვგრძნობ, მელბურნში ძლიერები ვიქნებით. თუმცა, ავსტრალიის გრანპრიმდე აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი წრე გავიაროთ ტესტებზე. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დამაჯერებლობა ვიგრძნოთ იმ მომენტამდე, სანამ პარასკევს თავისუფალ პრაქტიკაზე გავიყვანთ ბოლიდებს.

**- საერთო ჯამში, რა განწყობით ხვდებით ავსტრალიის გრანპრის, რომლითაც 17 მარტს ახალი სეზონი იხსნება?**

**სერხიო პერესი:** ავსტრალია ყოველთვის მომწონდა. ყველა მოუთმენლად ელოდება სეზონის დაწყებას. ჩვეულებრივ, მელბურნში ყოველთვის შესანიშნავი ატმოსფეროა, ალბერტ-პარკზე რბოლები კი ყოველთვის ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს.

მელბურნში ძალიან საინტერესო ტრასაა, რამდენიმე სწრაფი სექტორით, მაგრამ იქ ძალიან ნელი მოსახვევებიც გვხვდება. ხანდახან ბარიერთან ძალიან ახლოს გიწევს ჩავლა, ასე რომ, დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა. ჩემი აზრით, ეს არის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო გრანპრი.

**ჯენსონ ბატონი:** მელბურნი - იდეალური ადგილია სეზონში პირველი რბოლის ჩასატარებლად. ავსტრალიელ გულშემატკივრებს ძალიან უყვართ ფორმულა 1, თავად ქალაქი კი ბრწყინვალეა. მიყვარს ეს რბოლა, რადგან სეზონის დასაწყისში ყველა შესანიშნავ ხასიათზეა. წლის ბოლოს, მომქანცველი სეზონის შემდეგ, ჩვენი ინჟინრები ძალიან დაღლილები არიან, მაგრამ პირველი გრანპრის წინ ყველას ღიმილი აკერია პირზე და ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა. გარდა ამისა, ალბერტ-პარკზე სხვადასხვა სეზონში კარგი შედეგების მიღწევას ვახერხებდი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, იქ სამი რბოლა მოვიგე, ასე რომ, ვეცდები მეოთხედაც გავიმარჯვო.




პერესი და ბატონი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# როცა 54 ქულა საკმარისი არ არის

## ნიუ იორკმა რაშიდ უოლასი სეზონის ბოლომდე დაკარგა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის მორიგ სათამაშო დღეს გამორჩეული მატჩი ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმართა, რომელშიც „ნიქსი“ „გოლდენ სტეიტს“ ილებდა. მატჩის გმირი გახდა სტუმრების მცველი **სტივენ კარი,** რომელმაც თავისი გუნდის საერთო მონაგარის ნახევარზე მეტი მიითვალა - 54 ქულა, რაც კალათბურთელის კარიერის პირადი რეკორდი გახლავთ. გარდა ამისა, ეს არის მიმდინარე სეზონში შედეგიანობის რეკორდი. მანამდე ლიდერი „ოკლაჰომას“ ფორვარდი **კევინ დურანტი** იყო, რომელმაც 52 ქულა ჩააგდო „დალასის“ წინააღმდეგ.

თუმცა კარის ახალმა მიღწევამ „მეომრებს“ გამარჯვება ვერ მოუტანა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა და მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა. „ნიქსის“ რიგებში კვლავ საუკეთესო იყო **კარმელო ენტონი,** რომელმაც 35 ქულა დააგროვა. ორმაგი დუბლი იყო **ტაისონ ჩენდლერის** ანგარიშზე - 16 ქულა და 28 მოხსნა.

„ნიუ იორკის“ გამარჯვების დღეს, ამ გუნდის ბანაკიდან ერთი უსიამოვნო ამბავიც გავრცელდა - გუნდის 38 წლის ფორვარდი **რაშიდ უოლასი** მინიმუმ რვა თვეს გამოტოვებს ტრავმის გამო. ვეტერანს ტერფის მოტეხილობა დაუდგინეს და მას ოპერაცია ელოდება. ასე რომ, ეს რეგულარული კალათბურთელისთვის დასრულებულია.

დღის განადგურება დაფიქსირდა „ოკლაჰომასა“ და „ნიუ ორლეანის“ მატჩში, რომელიც 45-ქულიანი სხვაობით დასრულდა. „ჰორნეტსი“ ასე თუ ისე იბრძოდა პირველ ორ მეოთხედში, მაგრამ ამ გუნდისთვის კოშმარული გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელიც „თანდერმა“ 19 ქულით წააგო. ამ მატჩში უნდა აღვნიშნოთ **რასელ უესტბრუკის** 29 ქულა და **კევინ დურანტის** სამმაგი დუბლი - 18 ქულა, 10 პასი და 11 მოხსნა.

დღის სენსაცია კი „სან ანტონიოს“ საშინაო მარცხი გახდა „ფინიქსის“ წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა რევანში აუღო „სპურსს“ ორი დღის წინანდელი მარცხისთვის. თამაშის ბედი ოვერტაიმში გაირკვა, რომელშიც უცნაური ანგარიში დაფიქსირდა - 5:1 სტუმრების სასარგებლოდ („სპურსში“ ერთადერთი ქულა ჯარიმით **ტონი პარკერმა** აიღო). მათ რიგებში საუკეთესო იყო **ჯერმეინ ო'ნილი** ორმაგი დუბლით (22 ქულა+13 მოხსნა).

**ორლანდო-საკრამენტო 101:125**

**22:36, 22:31, 24:31, 33:27**

ო: ჰარისი (23), აფლალო (15+7 მოხსნა+6 პასი), უდრიხი (14+8 პასი), ჰარკლესი (12), მური (11+5 პასი).

ს: სალმონსი (21+5 პასი), ტორნტონი (20+8 მოხსნა), ტ. ევანსი (17+7 პასი+4 ჩაჭრა), პატერსონი (13+7 მოხსნა), კაზინსი (13), ფრედეტი (13), ჯონსონი (10+3 ჩაჭრა).

**კლივლენდი-ტორონტო 103:92**

**20:25, 37:23, 23:23, 23:21**

კ: უეიტერსი (23+6 პასი), ლივინგსტონი (15+6 პასი), ტომპსონი (14+8 მოხსნა), ელინგტონი (13+3 ჩაჭრა), სპეიტსი (11+9 მოხსნა), მაილზი (10).

ტ: დეროზანი (34), გეი (24+8 მოხსნა+6 პასი), ლოური (11+8 პასი), ჯონსონი (10+9 მოხსნა+4 დაფარება).

**ნიუ იორკი-გ. სტეიტი 109:105**

**27:18, 31:37, 26:26, 25:24**

ნ-ი: ენტონი (35+8 პასი), სმიტი (26), ჩენდლერი (16+28 მოხსნა), სტაუდმაიერი (14), ფელტონი (10+4 ჩაჭრა).

გ-ს: კარი (54+7 პასი+3 ჩაჭრა), ლენდრი (15), ჯეკი (14).

**ვაშინგტონი-დეტროიტი 95:96**

**24:28, 31:23, 13:31, 27:14**

ვ: არიზა (22+3 ჩაჭრა), ბილი (16+3 ჩაჭრა), ოკაფორი (15), სერაფინი (12).

დ: ნაითი (32), მონრო (26+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), ინგლიში (10), კალდერონი (6+18 პასი).

**მემფისი-დალასი 90:84**

**19:38, 23:17, 24:5, 24:24**

მ: რენდოლფი (22+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), გასოლი (21+12 მოხსნა+5 პასი), პონდექსტერი (12), დეი (10).

დ: მერიონი (16+8 მოხსნა), ბრენდი (12), მაიო (11), ნოვიცკი (10).

**ჰიუსტონი-მილუოკი 107:110**

**36:33, 19:22, 25:26, 27:29**

ჰ: ჰარდენი (25+7 პასი+4 ჩაჭრა), პარსონსი (20), აშიქი (16+22 მოხსნა), მოტეიუნასი (13+7 მოხსნა+5 პასი), დელფინო (12), ლინი (10+7 პასი+3 ჩაჭრა).

მ: ელისი (27+13 პასი+6 ჩაჭრა), ილიასოვა (20+10 მოხსნა), დანლივი (16), რედიკი (14), ჰენსონი (12), სანდერსი (10+9 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 119:74**

**30:21, 32:24, 34:15, 23:14**

ო: უესტბრუკი (29), დურანტი (18+11 მოხსრა+10 პასი), იბაკა (18+7 მოხსნა+3 დაფარება), ჯექსონი (14), მარტინი (14).

ნ-ო: ანდერსონი (14).

**სან ანტონიო-ფინიქსი 101:105 (ო)**

**27:25, 25:20, 25:22, 23:33, 1:5**

ს-ა: პარკერი (22+8 პასი), დანკანი (19+11 მოხსნა), ბლეირი (15), ლეონარდი (15+3 ჩაჭრა), ჯინობილი (10).

ფ: ო'ნილი (22+13 მოხსნა), სკოლა (15), დრაგიჩი (13+13 პასი), მორისი (11), გორტატი (7+15 მოხსნა).

**იუტა-ატლანტა 91:102**

**25:30, 23:26, 18:26, 25:20**

ი: ჯეფერსონი (26+11 მოხსნა), ფეივორსი (17+15 მოხსნა+3 დაფარება), ფოიე (11), ჰეივორდი (11).

ა: ჰორფორდი (34+15 მოხსნა+5 დაფარება), სმიტი (24+14 მოხსნა+7 პასი), ტიგი (19+7 პასი+3 ჩაჭრა), ჰარისი (12+3 ჩაჭრა).

**პორტლენდი-დენვერი 109:111**

**25:31, 25:27, 32:21, 27:32**

პ: ლილარდი (26), ოლდრიჯი (22), ჰიქსონი (18+14 მოხსნა), მეტიუზი (16), ლეონარდი (13), ბატუმი (10+9 პასი+5 ჩაჭრა+3 დაფარება).

დ: ლოუსონი (30+6 პასი), იგუოდალა (29+7 მოხსნა+8 პასი+5 ჩაჭრა), კუფოსი (11+8 მოხსნა), ფარიდი (10+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), მილერი (5+10 პასი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# იტალიელი პოვეტკინის ნაცვლად

## ვლადიმერ კლიჩკო შემდეგ ბრძოლას ფრანჩესკო პიანეტას წინააღმდეგ ჩაატარებს


ვლადიმერ კლიჩკო

გუშინ გაირკვა, რომ სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** მორიგ შეხვედრას 28 წლის იტალიელ **ფრანჩესკო პიანეტას** წინააღმდეგ ჩაატარებს, რომელსაც არც ერთი მარცხი არ აქვს პროფესიულ რინგზე. შეხვედრის გამართვა 4 მაისს, გერმანიის ქალაქ მანჰაიმის საფეხბურთო არენაზე იგეგმება.

ფრანჩესკო პიანეტა 1984 წელს არის დაბადებული, პროფესიულ რინგზე დებიუტი კი 2005 წელს ჰქონდა. დღეისთვის მის ანგარიშზეა 29 ბრძოლა და 28 გამარჯვება. ერთხელ, კერძოდ კი 2009 წელს, მან ფრედ დაასრულა ორთაბრძოლა **ალბერტ სოსნოვსკის** წინააღმდეგ. მოგვიანებით, ეს პოლონელი **ვიტალი კლიჩკომ** საჩემპიონო ბრძოლაში გაანადგურა.

იტალიელი, ძირითადად, ვეტერანებზე „ნადირობს". მაგალითად, მან სასტიკი დღე აყარა 46 წლის **ფრენკ სკელტონს**, შემდეგ მოუგო 44 წლის **ფრანსუა ბოთასა** და 47 წლის **ოლივერ მაკოლს**. ასე რომ, ჯერჯერობით, პიანეტა მხოლოდ 40 წლის მოკრივეების ცემით თუ დაიკვეხნის. მისი მეტოქეების 90 პროცენტი - უცნობი მოკრივეები არიან.

საერთო ჯამში, პიანეტა იმ მოკრივეთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებსაც ძმები კლიჩკოები იოლად გაუსწორდნენ - სოსნოვსკი, **მარიუშ ვახი, მანუელ ჩარი**... ისინი, როგორც წესი, უკრაინელების წინააღმდეგ ხუთ-ექვს რაუნდს ძლებდნენ და შემდეგ დამარცხებული ტოვებდნენ რინგს. სავარაუდოდ, ასე იქნება პიანეტას შემთხვევაში.

შეიძლება ითქვას, რომ იტალიელთან შეხვედრა უმცროსი კლიჩკოსთვის საწვრთნელი ბრძოლა იქნება. როგორც ირწმუნებიან, ზაფხულში, უფრო ზუსტად კი 31 ივლისს, ვლადიმერი შეხვდება WBA-ის „რეგულარულ" ჩემპიონს, რუს **ალექსანდრ პოვეტკინს**. დღეისთვის, სწორედ ეს არის ყველაზე სასურველი ორთაბრძოლა სუპერმძიმე წონით კატეგორიაში.

● სათხილამურო სპორტი

# ნორვეგიის მეოთხე ტრიუმფი

სათხილამურო სპორტში მსოფლიოს ჩემპიონატზე გრძელდება ნორვეგიელი ქალების დომინირება - გათამაშდა მედლების მეხუთე კომპლექტი და მეოთხე ოქრო სწორედ ამ ქვეყნის ქალთა ნაკრებმა მოიგო.

ყველას კარგად ახსოვს რამდენიმე დღის წინ, სკიატლონში ნორვეგიელთა დომინირება, როცა მათ პირველი ოთხი ადგილი დაისაკუთრეს. გასაგებია, რომ გუშინ, ესტაფეტაში ყველა ნორვეგიის კვარტეტის გამარჯვებას ელოდა.

სკანდინავიური გუნდის პირველივე წევრმა დაიწყო შეტევა პირველი ადგილისთვის. **ჰაიდი ვენგმა** მოახერხა თავისი პარტნიორებისთვის კომფორტული უპირატესობის მოპოვება, რის შემდეგაც **ტერეზა იოჰაუგს, კრისტინ სტეირასა** და **მარტინ ბიორგენს** ისღა რჩებოდათ, რომ შეენარჩუნებინათ ეს ჰანდიკაპი, რაც მოახერხეს კიდეც. აღსანიშნავია, რომ მარიტ ბიორგენტისთვის ეს იყო მესამე ოქრო ამ ჩემპიონატზე, იოჰაუგი კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა.

მეორე ადგილი ასევე დამაჯერებლად დაიკავა შვედეთის ნაკრებმა, რომელიც ესტაფეტის „კლასიკურ" ნაწილში არც ისე კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ თავისუფალი სტილით რბოლაში საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი. მესამე ადგილი მოიპოვეს რუსებმა. მათი კვარტეტი ბოლო ეტაპის წინ მეხუთე იყო, მაგრამ **ჩეკალევას** ტემპი საკმარისი აღმოჩნდა ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქალთა ნაკრებმა ბოლო რვა წლის განმავლობაში პირველი მედალი მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატზე.



ესტაფეტის პოდიუმი

**ესტაფეტა. ქალები**

1. **ნორვეგია** (ვენგი, იოჰაუგი, სტეირა, ბიორგენი) - 1:00:36.5; 2. **შვედეთი** (ინგემარსდოტერი, ვიკენი, ჰააგი, კალა) - +26.2; 3. **რუსეთი** (ივანოვა, იკსანოვა, გუშჩინა, ჩეკალევა) - +45.8; 4. **აშშ** - +1:12.4; 5. **ფინეთი** - +1:23.8; 6. **საფრანგეთი** - +1:53.7...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია-ვაშინგტონი 4:1**

2:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ჟირუ-7 (ჰარტნელი-2), 2:0 სიმონდსი-8 (ჰარტნელი-3, ჟირუ-15), 3:0 საიმონ განიე-1 (ბ. შენი-12, ბრიერი-7), 4:0 ტელბოტი-1 (ლ. შენი-4, ჟურვე-2), 4:1 ჯ. უორდი-6 (პოტი-2, ბიგლი-3).

**ანაჰაიმი-ნეშვილი 5:1**

3:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბონინო-5 (ეტემი-3), 2:0 პალმიერი-5 (პერი-10, გეტცლაფი-13), 3:0 პალმიერი-6 (პერი-11, გეტცლაფი-14), 4:0 პალმიერი-7 (პერი-12, გეტცლაფი-15), 4:1 კ. სმიტი-3 (კლაინი-5, კლუნი-2), 5:1 ს. კოივუ-6 (რაიანი-9, ბოშემენი-11).

**ლოს ანჯელესი-დეტროიტი 2:1**

0:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ქუინსი-1, 1:1 ჯ. კარტერი-11 (მ. რიჩარდსი-9, კოპიტარი-11), 2:1 კოპიტარი-6 (კინგი-4, ლუისი-3).

**ტორონტო-მონრეალი 2:5**

1:1, 1:1, 0:3

**გოლები:** 1:0 მაკლარენი-2 (მ. ბრაუნი-1, მაკლემანი-5), 1:1 ემელინი-1 (კ. არმსტრონგი-3, მოენი-2), 1:2 პასიორეტი-5 (სუბანი-6, მარკოვი-7), 2:2 მაკარტური-5 (კადრი-13, ფრანსონი-11), 2:3 გალაჰერი-6 (გორგესი-3, დეშარნე-7), 2:4 პასიორეტი-6 (დეშარნე-8), 2:5 ჯონტა-4.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**საფრანგეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლანსი-ეპინალი | 2:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სერკლი-ბრიუგე | 0:3 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნავალი-ლეიქსოეში | 0:0 |

**საბერძნეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| პაოკ-ლევადია | 2:0 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბურსა-შივასი | 0:1 |

**პოლონეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ვისლა-იაგელონია | 2:0 |

**ლიბერტადორესის თასი**

| | |
|---|---|
| სპ. კრისტალი-ტიგრე | 2:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ოლიმპიაკოსი | 60:79 |
| კახა ლაბორალი-მაკაბი | 62:66 |
| ბარსელონა-ხიმკი | 71:69 |
| რეალი-ბამბერგი | 76:73 |
| მონტეპასკი-ფენერბაჰჩე | 87:69 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სევერსტალი | 3:2 |
| სკა-ატლანტი | 7:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ზალცბურგი | 2:5 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-ტონსბერგი | 7:3 |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 7:2 |
| სტორჰამარი-რუსენბორგი | 3:2 |
| სტრიერნენი-სპარტა | 3:6 |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 1:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კერპეტი-საიპა | 2:5 |
| ტპს-ბლუზი | 2:3 |
| ჰიფკ-ესეტი | 1:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-მოდო | 3:1 |
| ვექსიო-ჰვ71 | 4:1 |
| ლულეო-აიკ | 6:4 |
| როგლე-შელეფტეო | 2:3 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 4:3 |
| ფრიოლუნდა-ლინჩოპინგი | 2:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. დელრეი ბიჩი**

| | |
|---|---|
| მალისე-მუნიოსი | 6:7, 6:3, 3:6 |
| კარლოვიჩი-როჟე ვასელენი | 4:6, 5:7 |
| ბერანკისი-სოკი | 3:6, 6:4, 6:1 |
| ჰაასი-ისტომინი | 6:4, 6:1 |
| გულბისი-კუერი | 6:4, 4:6, 7:6 |
| დოდიგი-დონსკოი | 6:3, 7:5 |

**ATP. დუბაი**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-ბრანდსი | 6:4, 6:2 |
| ბერდიხი-ტურსუნოვი | 6:3, 6:2 |
| ჯოკოვიჩი-სეპი | 6:0, 6:3 |
| ფედერერი-დავიდენკო | 6:2, 6:2 |

**WTA. ფლორიანაპოლისი**

| | |
|---|---|
| მლადენოვიჩი-ჩინკი | 6:4, 6:3 |
| ნიკულესკუ-ბაბოში | 6:3, 6:2 |

**WTA. კუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| მატეკი-დუანი | 6:1, 6:4 |
| პლიშკოვა-დოი | 6:4, 7:6 |
| მორიტა-ლუანგნამი | 6:3, 6:1 |
| დიასი-ბარტი | 6:7, 4:6 |
| ნარა-ჰსიე | 7:6, 3:6, 4:6 |
| ამანმურადოვა-პავლიუჩენკოვა | 3:6, 3:6 |
| ვანგი-მეირი | 3:6, 2:6 |

● TV პროგრამა

**1 მარტი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**11:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
**16:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. სან პაულუ-ლინენსე.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ჰერენვეენი-ტვენტე.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. აინტრახტი-ბორუსია (მ) (LIVE).
**01:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ტიგრე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბორდო-დინამო (კ).
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-სარასენი.
**19:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1985-86 წლები.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
**23:00** NBA ACTION.
**00:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. IX ტური. პანათინაიკოსი-ეფესი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.
**16:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 9 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 6 | 8 | (წვიმა) |
| ბათუმი | 5 | 9 | (წვიმა) |
| ფოთი | 5 | 8 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 8 | (წვიმა) |
| გორი | 3 | 8 | (წვიმა) |
| თელავი | 3 | 10 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 2 | 9 | (წვიმა) |
| გუდაური | -7 | 1 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -2 | 3 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -1 | 3 | (თოვლი) |
| მესტია | -7 | 2 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1659 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6537 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5020 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4007 |

● NHL რეგულარული ჩემპიონატი

**1 მარტი**
სენტ ლუისი-ედმონტონი
ჩიკაგო-კოლამბუსი
ანაჰაიმი-მინესოტა

**2 მარტი**
ფილადელფია-ოტავა
ბოსტონი-ტამპა ბეი
ბაფალო-ნიუ ჯერსი
ვინიპეგი-ვაშინგტონი
მონრეალი-პიტსბურგი
კაროლინა-ფლორიდა
ფინიქსი-ანაჰაიმი
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-ნეშვილი

**3 მარტი**
დეტროიტი-ჩიკაგო
აილენდერსი-ოტავა
კოლამბუსი-კოლორადო
დალასი-სენტ ლუისი
ფლორიდა-კაროლინა
ბოსტონი-მონრეალი
რეინჯერსი-ბაფალო
მინესოტა-ედმონტონი
კალგარი-ვანკუვერი

**4 მარტი**
ტორონტო-ნიუ ჯერსი
პიტსბურგი-ტამპა ბეი
ფინიქსი-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-ნეშვილი

**5 მარტი**
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
აილენდერსი-მონრეალი
ვაშინგტონი-ბოსტონი
კაროლინა-ბაფალო
კოლამბუსი-ედმონტონი
რეინჯერსი-ფილადელფია
ფლორიდა-ვინიპეგი
დეტროიტი-კოლორადო
ჩიკაგო-მინესოტა
ვანკუვერი-სან ხოსე
ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი

**6 მარტი**
ტორონტო-ოტავა
ჩიკაგო-კოლორადო
კალგარი-სან ხოსე
ანაჰაიმი-ფინიქსი

**7 მარტი**
ბოსტონი-ტორონტო
ნიუ ჯერსი-ბაფალო
აილენდერსი-რეინჯერსი
ფილადელფია-პიტსბურგი
ვაშინგტონი-ფლორიდა
კაროლინა-მონრეალი
კოლამბუსი-ვანკუვერი
ტამპა ბეი-ვინიპეგი
დეტროიტი-ედმონტონი
ფინიქსი-სენტ ლუისი
ლოს ანჯელესი-დალასი

**8 მარტი**
რეინჯერსი-ოტავა
ფლორიდა-ვინიპეგი
ნეშვილი-ედმონტონი
კოლორადო-ჩიკაგო
ანაჰაიმი-კალგარი

**9 მარტი**
ბოსტონი-ფილადელფია
აილენდერსი-ვაშინგტონი
კოლამბუსი-დეტროიტი
სან ხოსე-სენტ ლუისი
ტორონტო-პიტსბურგი
კაროლინა-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-მონრეალი
ნეშვილი-მინესოტა
ფინიქსი-დალასი
ლოს ანჯელესი-კალგარი

**10 მარტი**
ვაშინგტონი-რეინჯერსი
დეტროიტი-კოლამბუსი
ფლორიდა-მონრეალი
ნიუ ჯერსი-ვინიპეგი
პიტსბურგი-აილენდერსი
ჩიკაგო-ედმონტონი
ფილადელფია-ბაფალო
მინესოტა-ვანკუვერი
კოლორადო-სან ხოსე
ანაჰაიმი-სენტ ლუისი

**11 მარტი**
ოტავა-ბოსტონი
ლოს ანჯელესი-კალგარი

**12 მარტი**
ბაფალო-რეინჯერსი
ვაშინგტონი-კაროლინა
კოლამბუსი-ვანკუვერი
პიტსბურგი-ბოსტონი
ფლორიდა-ტამპა ბეი
ვინიპეგი-ტორონტო
სენტ ლუისი-სან ხოსე
მინესოტა-ანაჰაიმი
დალასი-ნეშვილი
კოლორადო-ედმონტონი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი

**13 მარტი**
მონრეალი-ოტავა
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
კალგარი-დეტროიტი

**14 მარტი**
ბოსტონი-ფლორიდა
ტორონტო-პიტსბურგი
კაროლინა-ვაშინგტონი
კოლამბუსი-ჩიკაგო
ტამპა ბეი-აილენდერსი
ვინიპეგი-რეინჯერსი
სენტ ლუისი-ფინიქსი
მინესოტა-კოლორადო
დალასი-ანაჰაიმი
ვანკუვერი-ნეშვილი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

**15 მარტი**
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
კალგარი-ნეშვილი
ედმონტონი-დეტროიტი

**16 მარტი**
ბოსტონი-ვაშინგტონი
პიტსბურგი-რეინჯერსი
ბაფალო-ოტავა
კოლორადო-მინესოტა
ტორონტო-ვინიპეგი
ნიუ ჯერსი-მონრეალი
ტამპა ბეი-კაროლინა
კოლამბუსი-ფინიქსი
ფლორიდა-აილენდერსი
სენტ ლუისი-ანაჰაიმი
დალასი-ჩიკაგო
ვანკუვერი-დეტროიტი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

**17 მარტი**
პიტსბურგი-ბოსტონი
ოტავა-ვინიპეგი
ვაშინგტონი-ბაფალო
ედმონტონი-ნეშვილი

**18 მარტი**
რეინჯერსი-კაროლინა
ტამპა ბეი-ფილადელფია
დალასი-კალგარი
კოლორადო-ჩიკაგო
ვანკუვერი-მინესოტა
ანაჰაიმი-სან ხოსე
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**19 მარტი**
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
აილენდერსი-ოტავა
კაროლინა-ფლორიდა
კოლამბუსი-ნეშვილი
მონრეალი-ბაფალო
პიტსბურგი-ვაშინგტონი
ვინიპეგი-ბოსტონი
ვანკუვერი-სენტ ლუისი
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**20 მარტი**
ტორონტო-ტამპა ბეი
დეტროიტი-მინესოტა
კოლორადო-დალასი
ედმონტონი-სან ხოსე
ანაჰაიმი-ჩიკაგო

**21 მარტი**
ბაფალო-ტორონტო
აილენდერსი-მონრეალი
რეინჯერსი-ფლორიდა
კაროლინა-ნიუ ჯერსი
ოტავა-ბოსტონი
ვინიპეგი-ვაშინგტონი
ნეშვილი-კალგარი
ფინიქსი-ვანკუვერი
ლოს ანჯელესი-დალასი

**22 მარტი**
აილენდერსი-პიტსბურგი
კოლამბუსი-კალგარი
ვინიპეგი-ვაშინგტონი
ანაჰაიმი-დეტროიტი

**23 მარტი**
ოტავა-ტამპა ბეი
მინესოტა-სან ხოსე
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი
ტორონტო-ბოსტონი
მონრეალი-ბაფალო
ნიუ ჯერსი-ფლორიდა
ნეშვილი-კოლამბუსი
დალასი-კოლორადო
ედმონტონი-სენტ ლუისი

**24 მარტი**
აილენდერსი-ფლორიდა
პიტსბურგი-ფილადელფია
რეინჯერსი-ვაშინგტონი
ვინიპეგი-ტამპა ბეი
კოლორადო-ვანკუვერი
კალგარი-სენტ ლუისი
ანაჰაიმი-დეტროიტი

**25 მარტი**
ბოსტონი-ტორონტო
ოტავა-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
ნეშვილი-ედმონტონი
დალასი-მინესოტა
ფინიქსი-დეტროიტი
ანაჰაიმი-სან ხოსე

**26 მარტი**
ტორონტო-ფლორიდა
პიტსბურგი-მონრეალი
ვაშინგტონი-აილენდერსი
კაროლინა-ვინიპეგი
ფილადელფია-რეინჯერსი
ტამპა ბეი-ბაფალო
სენტ ლუისი-ედმონტონი
ჩიკაგო-კალგარი
ვანკუვერი-კოლამბუსი

**27 მარტი**
ბოსტონი-მონრეალი
მინესოტა-ფინიქსი
კალგარი-კოლორადო
სან ხოსე-ანაჰაიმი

**28 მარტი**
ტორონტო-კაროლინა
ფილადელფია-აილენდერსი
პიტსბურგი-ვინიპეგი
ოტავა-რეინჯერსი
ფლორიდა-ბაფალო
სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი
ნეშვილი-ფინიქსი
ედმონტონი-კოლამბუსი
ვანკუვერი-კოლორადო
სან ხოსე-დეტროიტი

**29 მარტი**
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-ანაჰაიმი
დალასი-მინესოტა
კალგარი-კოლამბუსი

**30 მარტი**
ფილადელფია-ბოსტონი
პიტსბურგი-აილენდერსი
ვინიპეგი-კაროლინა
კოლორადო-ნეშვილი
ბაფალო-ვაშინგტონი
მონრეალი-რეინჯერსი
ოტავა-ტორონტო
ფლორიდა-ნიუ ჯერსი
მინესოტა-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-ვანკუვერი
სან ხოსე-ფინიქსი

**31 მარტი**
დეტროიტი-ჩიკაგო
კოლამბუსი-ანაჰაიმი
დალასი-ლოს ანჯელესი
ბაფალო-ბოსტონი
ფილადელფია-ვაშინგტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზაზა
## ვიმოგზაუროთ ამერიკაში ფაჩულიასთან ერთად



„ატლანტას" კერძო თვითმფრინავი




დღევანდელი „ტაიმლაინისთვის" სხვა თემა მქონდა მომზადებული, მაგრამ „ატლანტა ჰოქსის" საიტზე **ჯო კუპერმა** ისეთი სტატია დაწერა, "ტაიმლაინისთვის" უკეთესს ვერც ვინატრებდი. აი, შესავალში რა წერია:

„ატლანტელები ქალაქიდან 11 დღით გავიდნენ. ამ დროში მათ ექვსი მატჩი უნდა მოისტუმრონ. ვოიაჟის შესახებ სხვა ვის უნდა დავეკითხოთ თუ არა **ზაზა ფაჩულიას**, რომელიც „ატლანტაში" მეცხრე წელია თამაშობს.

### 23 თებერვალი

**მილუოკი-ატლანტა 102:103**

ამინდის საპირისპიროდ ფაჩულიას მილუოკური მოგონებები მეტად თბილია. იგი „ბაქსში" 2004-05 წლების სეზონში თამაშობდა, საშუალოდ 18.9 წუთში 6.2 ქულას, 5.1 მოხსნას აგროვებდა.

*- მილუოკი ცივი და ღრუბლიანი ამინდით დამამახსოვრდა, - ამბობს ფაჩულია, - 20 წლის ვიყავი და ეს ქალაქი დამეხმარა, ფოკუსირება მხოლოდ თამაშზე მომეხდინა. მილუოკი ქართულ ქალაქებს მაგონებს ძველი და მრავალფეროვანი არქიტექტურით. იქ რამდენიმე ქართულ ოჯახს შევხვდი. გუნდის მფლობელი **ჰერბ კოლი** დიდებული პიროვნებაა, ჩემდამი კარგად იყო განწყობილი. 2005 წლის შემდეგაც მაქვს კავშირი **სკიპ რობინსონთან** (საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი, რომელიც ზაზას საქართველოშიც ახლდა). ფანები? გუნდში ერთი სეზონი დავყავი, ეს დიდი ხნის წინათ იყო და დარწმუნებული არ ვარ, რომ ისევე ვახსოვვარ, როგორც რამდენიმე წლის წინათ.*




**საყვარელი საქმიანობა მილუოკიში...**

- სიმართლე ითქვას, გასართობად ჩიკაგოში მივდიოდი. ზოგიერთი ჩემი თანაგუნდელი ჩიკაგოელი იყო და მილუოკი-ჩიკაგოს სწრაფმავალ ტრანსპორტზე ბილეთებს ხშირად ვილებდით.

**საყვარელი კვების ობიექტი...**

- მოს სტეიკის სახლის რეგულარული სტუმარი გახლდით.

**ყველაზე მეტად მჭირდება...**

- ლეპტოპი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ციოდა, ქუჩაში გასვლას ვერიდებოდი. ამიტომ მჭირდებოდა ნოუთბუკი.

### 25 თებერვალი

**დეტროიტი-ატლანტა 103:114**

მილუოკსა და დეტროიტზე ფაჩულიას ერთნაირი ამბები აქვს გასახსენებელი:

*- დეტროიტშიც სასტუმროში ვრჩები ხოლმე, რადგან იქაც ძალიან ცივა. ოთახის დატოვების სურვილი არ მიჩნდება.*

**საყვარელი კვების ობიექტი...**

- სასტუმროსთან ახლოს ხმელთაშუაზღვისპირული რესტორანია. გემრიელი კერძების მოყვარული ვარ და ამ დაწესებულებაში სტუმრობა მართლაც მსიამოვნებს. ვაგემოვნებ ქაბაბს და ა.შ.

**ყველაზე მეტად მჭირდება...**

- აქაც ლეპტოპი. როცა ოთახში ზიხარ, გართობის კარგი საშუალებაა.

### 27 თებერვალი

**იუტა-ატლანტა 91:102**

სოლტ ლეიქ სიტიში ზაზა ფაჩულიას **ანდრეი კირილენკო** ხვდებოდა ხოლმე. ახლა რუსი კალათბურთელი „მინესოტაშია". თუმცა ფაჩულიას მინეაპოლისში ეგულება კიდევ ერთი მეგობარი - **მერვინ უილიამსი**, რომელიც 7 სეზონი „ატლანტას" ღირსებას იცავდა.

*- კიდევ ერთი ცივი ქალაქი... როცა კირილენკო „იუტაში" თამაშობდა, სადილად ყოველთვის მეპატიჟებოდა. ახლა მერვინ უილიამსს დავურეკავ.*

**საყვარელი საქმიანობა...**

- ეს საქმე მერვინ უილიამსს უნდა მივანდოთ.

**საყვარელი კვების ობიექტი...**

- კირილენკოს სხვადასხვა ადგილას დავყავდი. ვიმედოვნებ, უილიამსი „ფასტ ფუდით" არ შემოიფარგლება.

**ყველაზე მეტად მჭირდება...**

- მაინც ლეპტოპი. მასში შემიძლია ქართული ტელეარხების, ქართული ფილმების ყურება. მშობლიურ ტრადიციებს დიდ პატივს ვცემ. საქართველო ძალიან მენატრება. კომპიუტერში ასევე წიგნები მაქვს, მიყვარს კითხვა და სწავლა.

### 1 მარტი

**ფინიქსი-ატლანტა**

*- მიყვარს ფინიქსი, ლამაზი ქალაქია. სასტუმროსთან, სადაც ატლანტელები ვბინავდებით, დიდი სავაჭრო ცენტრია. იქ ჰორფორდთან ერთად ხშირად დავდივარ. კარგია ფინიქსში ცხოვრება.*

**საყვარელი საქმიანობა...**

- საყიდლებზე სიარული. ეს არის და ეს. ფინიქსში ზედიზედ მეოთხე გასვლითი მატჩი გველის და დასვენებაზე უნდა ვიფიქროთ.

**საყვარელი კვების ობიექტი...**

- „კაპიტალ გრილი". იქ მე და **ვლადიმერ რადმანოვიჩი** შარშან ვიყავით და ძალიან მოგვეწონა. „სკოტსდეილიც" კარგი ადგილია.

**ყველაზე მეტად მჭირდება...**

- საცურაო კოსტიუმი. გოლფს არ ვთამაშობ და მოედანზე გასვლას არ ვაპირებ. სასტუმროში არის აუზი, ჩავალ, წიგნს წავიკითხავ ან მუსიკას მოვუსმენ.

### 3 მარტი

**ლეიკერსი-ატლანტა**

„ატლანტას" „ლეიკერსთან" ზედიზედ 6 მატჩი აქვს წაგებული...

*- ლოს ანჯელესი დიდებულია. მიყვარს „როდეო დრაივი" (სავაჭრო უბანი). იმედი მაქვს, ქალაქში გასასვლელად საკმარისი დრო გვექნება.*

**საყვარელი საქმიანობა...**

- „როდეო დრაივზე" უკვე ვთქვი. ლოს ანჯელესში უამრავი მაღაზია და საინტერესო დიზაინერია. ზოგჯერ თმასაც იქ ვიჭრი. წელიწადში ორჯერ გვიწევს ლოს ანჯელესში ჩასვლა და ვცდილობ, დრო უქმად არ დავკარგო.

**საყვარელი კვების ობიექტი...**

- „კაწია" ჩემი ფავორიტი რესტორანია. გემრიელ სუშის ამზადებენ.



ლოს ანჯელესი ზედხედში. ზაზას ფოტო

### 4 მარტი

**დენვერი-ატლანტა**

*- გასვლითი ტურნეს ბოლო თამაში დენვერში გვაქვს. დაღლილები ვიქნებით. ბევრი წყლის დალევა მოგვწევს. წნევაც მაღალი იქნება.*

**საყვარელი საქმიანობა...**

- საყვარელი საქმიანობა? - დასვენება! მატჩისთვის სერიოზული მომზადება გვმართებს, რადგან წნევის გამო მოთამაშე მალე იღლება. ამის მიუხედავად, ძალიან გვინდა ვოიაჟი გამარჯვებით დავასრულოთ.

**საყვარელი კვების ობიექტი...**

*- სასტუმროსთან ახლოს იტალიური რესტორანია. სახელი არ მახსოვს, მაგრამ ძალიან გემრიელ იტალიურ კერძებს ამზადებენ. დენვერს ისე არ ვტოვებ, იქ რომ არ შევიარო ხოლმე.*

**ვაჟა სიმონიშვილი**




ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608